

მეთოდური მითითებები რეფერატული ნაშრომებისთვის

წინასიტყვაობა

ჩვენს დღევანდელ რეალობაში, რომელსაც „ინფორმაციის ეპოქას“ უწოდებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინფორმაციასთან სწორად მუშაობის პრინციპები. უამრავი, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან ჩვენი მიზნისთვის ყველაზე გამოსადეგის მიგნება და მოპოვებული ინფორმაციის ეფექტური დამუშავება რთული და ეტაპობრივი პროცესია.

სამყაროს განვითარების, ცივილიზაციის ფუნდამენტალურ საფუძველს კვლევა წარმოადგენს; კვლევის წარმატებულობა კი სწორედ შესაბამისი ინფორმაციის სწორად მოპოვებისა და დამუშავების შედეგია. ნებისმიერი პროფესიის ადამიანის საქმიანობა დამოკიდებულია სწორედ ინფორმაციის მოძიებაზე და შეფასებაზე. დღეს, ისე როგორც არასდროს, ყველა პროფესიის ადამიანის წარმატება უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება არა იმაზე, თუ რა იცის ადამიანმა, არამედ იმაზე თუ რამდენად კარგად შეუძლია მას მიაგნოს იმას თუ რა არ იცის, მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, შეაფასოს სწორად ის, გამიჯნოს საჭირო და ზედმეტი ინფორმაცია და მოახდინოს დახარისხების შედეგად შერჩეული ინფორმაციის სინთეზი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელიც მოიცავს მითითებებს რეფერატული ნაშრომების შედგენისა და სამეცნიერო კვლევის წარმოების შესახებ.

სახელმძღვანელო დაეხმარება, პირველ რიგში, უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთა სპეციალობა ითვალისწინებს დიდი მოცულობით ინფორმაციასთან მუშაობას, საჭირო ინფორმაციის სწრაფად მოძიება-გაანალიზებას, სხვადასხვა წყაროში მოძიებული ინფორმაციიდან საჭირო ინფორმაციის ეფექტურ სინთეზს და სამიზნე აუდიტორიისთვის შესაბამისი ინფორმაციის მკაფიო, გასაგებ ენაზე გადაცემას.

არანაკლებ საინტერესო იქნება მოცემული სახელმძღვანელო როგორც მთარგმნელების, ისე თარჯიმნებისათვის, რომლებიც უწყვეტად მუშაობენ წერით და ზეპირ ტექსტებთან ამზადებენ რა რეფერატებს ან თარგმნიან მათ. რეფერირების უნარ-ჩვევების გამომუშავება დაეხმარება მათ თავიანთი საქმიანობის წარმატებულად განხორციელებაში იმდენად, რამდენადაც რეფერირება, განსაკუთრებით კი რეფერირების პროცესის რამდენიმე ეტაპი კითხვის ეტაპის ჩათვლით, წერითი და ზეპირი თარგმნისთვის მომზადების მნიშვნელოვანი ეტაპია.

სახელმძღვანელოში განხილული ტექსტთან მუშაობს სტრატეგიები ეფექტურად გამოიყენება ტექსტის ინტერპრეტაციის დროს პროგნოზირების, კითხვის წინარე აქტივობებისა და თავად კითხვის პროცესის დროს სხვადასხვა, მიზანზე ორიენტირებული სტრატეგიების შერჩევის თვალსაზრისით.

რეცენზენტები:

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ქეთევან სვანიძე

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ნინო არაშიძე

ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი ჟუჟუნა გუმბარიძე



1. ვინ არიან რეფერენტები?

სანამ უშუალოდ რეფერირების პროცესზე და ტექსტთან მუშაობის ეფექტური სტრატეგიების განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მივიჩნევთ რამდენიმე სიტყვით ავხსნათ რეფერენტის პროფესიის არსი.

გოიხმანის ახსნა-განმარტებით აღნიშნული პროფესია ჯერ კიდევ რომის იმპერიიდან იღებს სათავეს. ის სიტყვის „რეფერენტი“ ერთერთ მნიშვნელოვად იმპერატორის (ძველ რომში) პირად მდივანს და მომხსენებელს ასახელებს (გოიხმანი 1999: 9).

გოიხმანისვე მტკიცებით მოგვიანებით სიტყვის „რეფერენტი“ ერთერთი მნიშვნელობა „მომხსენებელი სამინისტროში“ გახლდათ. ის ასევე სიტყვის „რეფერენტი“ სინონიმებად ასახელებს ისეთ სიტყვებს, როგორცაა: კონსულტანტი, ექსპერტი, აგენტი, რომლებშიც მოიაზრება პირი, ადამიანი რომელიც მოქმედებს კერძო პირის, კომპანიის, დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე, ასრულებს რა მათ საქმიან დავალებას (გოიხმანი 1999: 9).

დროთა განმავლობაში, ცივილიზაციის კვალდაკვალ სიტყვის „რეფერენტი“ მნიშვნელობამ გარკვეული ცვლილებები განიცადა და მოგვიანებით სიტყვამ „ხელმძღვანელის დამხმარეს“ მნიშვნელობა შეიძინა. დამხმარე გულისხმობდა ხელმძღვანელის მიერ მიცემული სხვადასხვა დავალების შესრულებას და ამასთან ერთად მისთვის რჩევის მიცემას, კონსულტაციების გაწევას (გოიხმანი 1999: 9).

დღეს უკვე ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცნება (მომხსენებელი, კონსულტანტი, მდივანი...) ერთიანდება სიტყვაში „რეფერენტი“, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფერენტის თანამდებობაზე მომუშავე ადამიანი ხშირ შემთხვევაში ზემოთ ჩამოთვლილ თანამდებობებზე მომუშავე ადამიანების ფუნქციებს უნდა ასრულებდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს რაოდენ მნიშვნელოვანი და რთულია რეფერენტის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე მომუშავე ადამიანი ისეთი უნივერსალური თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს, როგორცაა კომპეტენტურობა, საკითხებისადმი კრიტიკულ-კონსტრუქციული მიდგომა და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე შესაბამისი მოქმედება/ზომების მიღება რასაც შედეგად დასახული მიზნის მიღწევა და წარმატება უნდა მოყვეს.

რეფერენტის წინაშე დასახული ამოცანის გადაჭრას საფუძვლად ისეთი კონკრეტული უნარები სჭირდება, როგორცაა საქმიანი დოკუმენტაციის შედგენა, რაც თავის მხრივ მოიცავს მოხსენების, ანგარიშის, დასკვნებისა თუ რეკომენდაციების მომზადებას. რეფერენტს უნდა

შეეძლოს სამეცნიერო ხასიათის მასალების მიგნება და მათი ეფექტური, კვალიფიცირებული გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის, დაწესებულებისა თუ კომპანიის საქმიანობის ოპტიმიზაციას.

პროფესიონალი რეფერენტი, თავისი კომპეტენციის ჩარჩოებში, რეცენზიას უკეთებს საქმიან ან სამეცნიერო ხასიათის მასალებს კომპანიის საქმიანობის კონტექსტში. სარეკლამო ტექსტები, განცხადებები, ანოტაციები, ბუკლეტები, საგაზეთო სტატიები რეფერენტის უშუალო მონაწილეობით მზადდება.

რეფერენტის საქმიანობა ასევე გულისხმობს შეხვედრის ოქმების მომზადებასა და გაფორმებას, ნებისმიერი წერილობითი მასალის რეფერირებას, საქმიანი წერილისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების მომზადებას.

რეფერენტის ეს ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები ხაზს უსვამს რეფერენტის უნარებისა და ცოდნის უნივერსალურობას და მისი პროფესიონალიზმის მრავალსპექტიანობას. რეფერენტის მოვალეობებისა და ფუნქციების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი, სადაც დომინანტური ადგილი დოკუმენტებთან მუშაობას უჭირავს, ხაზს უსვამს ამ პროფესიის ადამიანის ტექსტთან სწორად და ეფექტურად მუშაობის უნარის აუცილებლობას. სწორედ ტექსტთან, მონაცემებთან სწორი მუშაობა წარმოადგენს წარმატებული დასკვნებისა და რეალური შედეგების მიღების საფუძველს რასაც შემდგომ სწორი ზომების გატარება ეყრდნობა საქმის მდგრადობისა და უწყვეტობის გარანტიით.

2. ტექსტი და კითხვა, როგორც ინფორმაციის მიღების ძირითადი საშუალება

ინფორმაციის მიღების ერთერთი ძირითადი საშუალება ტექსტია რომელსაც რეფერენტი კითხულობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რეფერენტს შეხება აქვს სხვადასხვა ტიპისა თუ ჟანრის ტექსტებთან, დაწყებული საქმიანი წერილით და დამთავრებული მხატვრული ლიტერატურით. ინფორმაციის გაცნობა და შემდეგომ დასახული მიზნის მისაღწევად ტექსტის სხვადასხვა კუთხით დამუშავება ნებისმიერი ტიპის ტექსტთან მუშაობაზე ვრცელდება. ტექსტთან მუშაობა კი მრავალეტაპიანი ინტელექტუალური პროცესია, რომლის სწორად განხორციელებას შესაბამისი ცოდნა და მიზანზე ორიენტირებული უნარები სჭირდება.

თანამედროვე სამყაროში მცხოვრები ადამიანის მუდმივი პრობლემის, დროის სიმცირის გათვალისწინებით, გასაგები ხდება ინფორმაციის სწრაფად მოძიებისა და გაგების მნიშვნელობის დღის წესრიგში წამყვან საკითხად დაყენება. მაქსიმალური ინფორმაციის მოძიება მინიმალურ დროში ყველას და განსაკუთრებით ინტელექტუალურად მოღვაწის საქმიანობის ერთერთი მნიშვნელოვანი თანმდევი პრიორიტეტი გახდა. იმისათვის, რომ წავიკითხოთ დროისა და ენერჯის მინიმალური დანაკარგით და მაქსიმალური შედეგის მიღებით აუცილებელია კითხვის ტექნიკის ცოდნა.

რა არის კითხვის ტექნიკა? ეს ტექსტთან მუშაობის ისეთი მეთოდია, რაც კითხვის ტემპის ზრდის, ტექსტის შინაარსის სწრაფად და სწორად გაგების და წაკითხული ინფორმაციის დამახსოვრების საშუალებას იძლევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კითხვის ტექნიკა ტექსტთან რაციონალური მუშაობის საფუძველია.

სწორი კითხვა აუცილებელია ნებისმიერი მკითხველისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კითხვის მეთოდი დამოკიდებულია მკითხველის მიზანზე, იმაზე თუ ტექსტის გაცნობის შემდგომ რა პროდუქტი უნდა დადოს მკითხველმა. სწორედ ამის მიხედვით ირჩევს ტექსტთან მომუშავე ადამიანი კითხვის კონკრეტულ სტრატეგიას, რაც მის საქმეს გააადვილებს, მიზანზე გასვლის გზას გაამარტივებს და დროს შეამცირებს.

სწორად და მიზანზე ორიენტირებული კითხვის მეთოდის შერჩევისა და განხორციელების უნარები ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს, თუმცა ზემოთ აღნიშნული კიდევ უფრო უსვამს ხაზს კითხვის პროცესის სწორად მართვის აუცილებლობას პროფესიონალ რეფერენტებში. აქვე უნდა ითქვას რომ კითხვის პროცესის სწორად წარმართვა ასევე მნიშვნელოვანია ყველა ტექსტთან მომუშავე ადამიანისათვის განურჩევლად პროფესიისა, საადაც შეიძლება გამოიყოს ლინგვისტები, რომელთა ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი ნაწილი სწორედ ტექსტის აღქმა და ინტერპრეტაციაა.

ტექსტთან მუშაობის სწორი პრინციპები ასევე გააადვილებს და უფრო ეფექტურს გახდის უცხო ენის შესწავლის პროცესს როგორც მასწავლებლების, ისე ენის შემსწავლებლებისთვის, გახდის რა ყოველი აქტივობის მიზანს უფრო მკაფიოს და მიზანზე ორიენტირებულს.

3. აზრობრივი პროგნოზირება, როგორც ტექსტის სწორი წაკითხვის წინაპირობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ტექსტთან მუშაობა რთული ინტელექტუალური პროცესია, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება. იმისათვის, რომ ტექსტი სწორად იქნეს აღქმული და შესაბამისად მკითხველის ამოცანა სწორად შესრულებული, ყველა ეტაპი უნდა იქნეს გავლილი, დაწყებული თავად კითხვის პროცესის წინარე ეტაპიდან, დამთავრებული კითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზება-სინთეზით.

მკითხველის მიერ დასახული ამოცანის სწორად განხორციელებაზე დადებით გავლენას ახდენს კითხვის პროცესის წინარე ეტაპი ე.წ. პროგნოზირება. აქვე დავძენთ, რომ პროგნოზირება ხდება არა მხოლოდ საწყის ეტაპზე, სანამ მკითხველი უშუალოდ ჩაერთვება ტექსტის კითხვის პროცესში, არამედ კითხვის პროცესში და კითხვის შემდგომაც. მოცემულ თავში ჩვენ ძირითადად კითხვის დაწყებამდე პროგნოზირების მეთოდების გამოყენებაზე ვისაუბრებთ.

არსებობს აზრობრივი პროგნოზირების რამდენიმე სტრატეგია, რომელთა მიზანია მკითხველებისთვის დახმარების გაწევა კითხვის პროცესის სწორად წარმართვაში, ასევე თემის ირგვლივ წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის. აზრობრივი პროგნოზირების სტრატეგიებში მოვიაზრებთ ტექსტის შინაარსის ამოცნობას სათაურის ან ქვე-სათაურების ან დასკვნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაცნობით, გასაღები სიტყვების წაკითხვით და სხვ.

პროგნოზირების ერთერთი ეფექტური სტრატეგია წასაკითხი ტექსტის ირგვლივ ე.წ. დამაინტრიგებელი შეკითხვების დასმაა. ასეთი შეკითხვებია მაგალითად: რის შესახებაა ტექსტი, თქვენის აზრით ვინ არიან მთავარი მოქმედი პირები, რა ჟანრის ტექსტთან გვექნება შეხება, რა სიტყვებს შეხვდებით ტექსტში სათაურით „.....“ და ა.შ.

დამაინტრიგებელი შეკითხვები პროვოცირებას უკეთებს მკითხველს, ააქტიურებს მისი შემოქმედებითობისა და წარმოსახვის უნარს, იწვევს მის დაინტერესებას და რთავს ე. წ. ძიების პროცესში. სამიზნე ჯგუფებში ჩატარებულმა ჩვენმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ აუდიტორია, რომელიც ჩართული იყო დამაინტრიგებელ შეკითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში, უფრო მოუთმენლად ელოდებოდა ტექსტის შინაარსის გაგებას და უფრო დიდი ინტერესით მოეკიდა ტექსტის გაცნობას, ვიდრე აუდიტორია რომელმაც ტექსტზე მუშაობა პირდაპირ კითხვის

ეტაპით დაიწყო. ეს უკანასკნელი ნელი ტემპით რეაგირებდა უცხო ტექსტის წაკითხვის შესახებ მიცემულ ინსტრუქციაზე. შესაბამისად კითხვის პროცესიც მდორე და ნაკლებ ხალისიანი იყო.

აზრობრივი პროგნოზირების ერთერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას ტექსტის შინაარსთან ასოცირებული, მასთან ლოგიკურად დაკავშირებული ფოტოების ჩვენება წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ აზრობრივი პროგნოზირების ეს მეთოდი უფრო ხელსაყრელია სხვა მეთოდებთან შედარებით იმდენად, რამდენადაც ის მარტივად რთავს აზრობრივი პროგნოზირების პროცესში ყველა ტიპის შემსწავლელს/მკითხველს სთავაზობს რა უფრო კონკრეტულ ალტერნატივებს ტექსტის შინაარსის შესახებ და აძლევს ვიზუალურ მასალას, რაც უფრო ამარტივებს ტექსტის შინაარსის მიხვედრას. შესაბამისად მკითხველი უფრო თვითდარწმუნებული და მოტივირებული ხდება და აქტიურად ერთვება აზრობრივი პროგნოზირების პროცესში.

აზრობრივი პროგნოზირების ზემოთ აღნიშნული მეთოდის განხორციელებისას ფოტოების ჩვენებას შეიძლება ახლდეს ისეთი შეკითხვები, როგორცაა: დააკვირდით ფოტოებს და გამოიცანით რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი სათაურით „წყლის მცენარეები“? რა საერთო აქვს ყველა ფოტოს? არის თუ არა მოცემულ ფოტოებში რომელიმე, რომელიც არ ჯდება სხვა ფოტოებს შორის არსებულ ლოგიკურ ჯაჭვში? მოცემული ფოტოებიდან რომელი არ უკავშირდება ტექსტის „წყლის მცენარეები“ შინაარსს? და სხვ.;

აზრობრივი პროგნოზირების უფრო რთულ ფორმას წარმოადგენს მკითხველის ჩართულობის გაძლიერება შეკითხვების დასმის პროცესში. ხშირად ფოტოების ჩვენების ან ტექსტის სათაურისა თუ ქვე-სათაურის გაცნობის შემდგომ აზრთა მოზღვაგების შემდეგ მკითხველს შეუძლია თვითონვე დასვას შეკითხვები მოცემული თემატიკის ირგვლივ. უმეტეს შემთხვევაში ეს ის შეკითხვებია, რომლებზე პასუხიც ჩვეულებრივ მკითხველს არ გააჩნია და შესაბამისად აინტერესებს ამოიკითხოს ამ კითხვებზე პასუხი ტექსტში, რომელთანაც მან უნდა იმუშაოს.

აზრობრივი პროგნოზირების პროცესი კოგნიტური სტრატეგიის ერთერთი მკაფიო გამოვლინებაა, რომელიც ხელს უწყობს ტექსტის აღქმას, მისსრულყოფილად გაგება/გაანალიზებას და კონკრეტული მიზნის მიღწევას. აღნიშნული ეტაპის ცოდნა და მისი პრაქტიკულად განხორციელების უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეფერენტებისათვის, რომლებმაც მეორეული ტექსტის შექმნის პროცესი მათ წინაშე, უცნობი ტექსტის სახით, წამოჭრილი ამოცანის გადაჭრით უნდა დაიწყო. საწყისი ეტაპის სწორად და ეფექტურად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია წინარე ცოდნის გააქტიურება, სწორი

მიმართულების შერჩევა მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის/მონაცემების სწორად განსაზღვრისთვის და მიზანზე-ორიენტირებული ქმედების უზრუნველყოფისთვის.

აზრობრივი პროგნოზირების ეტაპი განსაკუთრებით საინტერესოს და ნაყოფიერს გახდის უცხო ენის მასწავლებლის მუშაობას გაკვეთილის პროცესში. ისეთი კოგნიტური სტრატეგიების განხორციელება, როგორცაა უცხო ტექსტის ირგვლივ შეკითხვების დასმა წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, უცნობი ტექსტის შინაარსის ამოცნობა, განხილვები ტექსტის თემატიკის ირგვლივ, სტუდენტების მიერ ტექსტის ირგვლივ შეკითხვების დასმა მათთვის უცნობი და საინტერესო ინფორმაციის ირგვლივ საინტერესოს, სახალისოს და მიზანზე-ორიენტირებულს გახდის როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის მუშაობის პროცესს.

რაში მდგომარეობს პროგნოზირების ეფექტურობა? საქმე იმაშია, რომ პროგნოზირების საშუალებით მკითხველისთვის გასაგები ხდება სამი მნიშვნელოვანი რამ: მან იცის რისთვის კითხულობს ტექსტს. კითხვის პროცესის დაწყებამდე მკითხველი სვამს შეკითხვას: „რისთვის უნდა წავიკითხო ეს ტექსტი?“ ამ კითხვის დასმა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მიზნის ქონა ნებისმიერი საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა. აქედან გამომდინარე, თუ მკითხველმა იცის თავისი მიზანი კონკრეტულ ტექსტთან მიმართებაში მას უკვე აქვს მოტივაცია. გარდა ამისა მიზანი ასევე განსაზღვრავს ტექსტის წაკითხვამდე პროგნოზირების მიმართულებას. მაგალითად თუ მკითხველმა იცის წამლის სახელწოდება, რომელიც მას მოცემულ შემთხვევაში სჭირდება, მაგრამ არ იცის რა დოზით უნდა მიიღოს ის ნათელია მისი მიზანი მიღების წესებისა და დოზირების შესახებ ინფორმაციის მიღება იქნება.

აზრობრივი პროგნოზირება ასევე ეფუძნება თემის ირგვლივ წინარე ცოდნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ პროგნოზირების ეტაპზე სწორი მიმართულებისთვის თემატიკის ირგვლივ წინარე ცოდნა მთავარია. მაგალითად თუ მკითხველს უჭირავს წიგნი, რომლის ყდაზეც გარეული ცხოველები ახატია ან კიდევ ტექსტის პირველი რამდენიმე წინადადება გარეული ცხოველებს ეხება, მკითხველმა უკვე იცის რომ ის მიიღებს ინფორმაციას გარეული ცხოველების შესახებ. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე ის გააქტიურებს თავის წინარე ცოდნას გარეული ცხოველებზე, გააკეთებს პროგნოზირებას ტექსტში მოცემული ინფორმაციის ირგვლივ. უფრო მეტიც, დასვამს კონკრეტულ შეკითხვებს იმასთან მიმართებაში თუ რისი გაგება სურს მას გარეული ცხოველების შესახებ და ა. შ.

მნიშვნელოვანია პროგნოზირების კავშირი წასაკითხი ტექსტის ტიპის ირგვლივ წინარე ცოდნასთან. იმის ცოდნა თუ რა სახის ან ჟანრის ტექსტთან უწევს მუშაობა გარკვეულწილად გაუადვილებს მკითხველს როგორც პროგნოზირებას ისე ტექსტის კითხვის პროცესს.

მაგალითად, თუ წასაკითხი ტექსტი ნარატივია და მკითხველმა იცნო ის ვიზუალურად ან პირველი აზრის წაკითხვის შემდგომ, აქტიურდება მისი ცოდნა მოთხრობის სტრუქტურული თავისებურების ირგვლივ და შესაბამისად მან უკვე იცის რომ რამდენიმე გვერდის წაკითხვით მას უკვე ეცოდინება სიუჟეტი, გაიგებს ვინ არიან მთავარი მოქმედი გმირები და/ან რა პრობლემის წინაშე დგანან ისინი. თუ წასაკითხი ტექსტი სტატისტიკაა, მკითხველმა იცის რომ მას შეხება ექნება ფაქტებთან, ციფრებთან, კლასიფიკაციასთან და ა. შ.

ყოველივე ზემოთ მოცემული ნებისმიერი კატეგორიის მკითხველის მოტივაციის და ტექსტის გაგების ხარისხის ამალღების წინაპირობაა.

გარდა ზემოთ მოცემულისტრატეგიებისა, აზრობრივი პროგნოზირების მეთოდები მოიცავს ტექსტის გამოცნობას პირველი და ბოლო აზრის შინაარსის გაცნობის საფუძველზე, გასაღები სიტყვების, გასაღები წინადადებების გაცნობით. არამხატვრული ტექსტის შემთხვევაში დასკვნების მიხედვით და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზირების მეთოდი ასოცირდება არა მხოლოდ ტექსტის გაცნობამდე ეტაპთან. აღნიშნული მიდგომა ასევე ეფექტურად შეიძლება გამოყენებული იყოს თვით კითხვის დროს და კითხვის დასრულების შემდგომ ეტაპზეც. პროგნოზირება ფაქტიურად კითხვის პროცესის თანმდევი მეთოდია, რომელიც უზრუნველყოფს მკითხველის მიერ ტექსტის აღქმის უწყვეტობას და ჭეშმარიტების მუდმივ ძიებას. კითხვის დროს პროგნოზირება განსხვავდება პროგნოზირებისგან კითხვის დაწყებამდე ეტაპისთვის. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით პირველი წარმოადგენს მონიტორინგის, კითხვების დასმის და ხელახლა პროგნოზირების კომბინაციას. ჭეშმარიტების ძიებაში მკითხველი განაგრძობს კითხვას ენთუზიაზმით და იმედით ამოიცნოს ტექსტში ის რაც მან იწინასწარმეტყველა. ეფექტური კითხვა ითვალისწინებს კითხვის პროცესში ეტაპობრივ პროგნოზირებას. მოტივირებული მკითხველი ხშირად ჩერდება იმისათვის, რომ გააკეთოს ახალი პროგნოზირება ან შეცვალოს პირვანდელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვის დროს პროგნოზირება უწყვეტი პროცესია, რომელიც ტექსტის ბოლომდე წაკითხვამდე გრძელდება და ხელს უწყობს მკითხველის მიერ დასკვნების დამოუკიდებლად გაკეთებას. ჭეშმარიტების ძიების პროცესში პერიოდულად შეკითხვების დასმით, საკუთარი ნაწინასწარმეტყველებისა და ტექსტში შინაარსის განვითარების შედარებით, ხელახალი პროგნოზირებით მკითხველი გაუთვინობიერებლად ავითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს რაც მას ტექსტის სრულყოფილად გაგებაში და დასახული მიზნის მიღწევაში უწყობს ხელს.

კითხვის პროცესში პროგნოზირებით მკითხველი გარდა ზემოთ მოცემული კოგნიტური უნარებისა ავითარებს ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორცაა ტექსტის გაგების სირთულეების მიზეზის დადგენა და აღმოფხვრა. გამოცდილი მკითხველი კითხვის პროცესში

ხვდება რომ ტექსტის სრულყოფილად გაგებაში მას ხელს უშლის ან უცხო სიტყვები (ტერმინები, აბრევიატურები; უცხო ენის სწავლის შემთხვევაში ახალი, უცნობი სიტყვები)ან კიდევ რთული სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც ტექსტის ავტორი იყენებს. სირთულის გამომწვევი მიზეზის მიგნება მეტად მნიშვნელოვანია ტექსტის სწორად გაგებისთვის. მას შემდეგ რაც მკითხველი თვითონ მიაგნებს ტექსტის ეფექტურად წაკითხვის ხელისშემშლელ პირობას ის იწყებს ზრუნვას სირთულის აღმოფხვრაზე. აღნიშნული პროცესი ხეს უწყობს კითხვის უნარების განვითარებას/დახვეწას მკითხველში რაც თავის მხრივ ძირითადი ამოცანის ამოხსნის, ტექსტის გაგების, აუცილებელი წინაპირობაა.

კითხვის პროცესში პროგნოზირების არაერთი სტრატეგია არსებობს. ერთერთ მათგანს წარმოადგენს კითხვა აბზაცების ჩაგდებით, როდესაც მკითხველი ეცნობა ერთ აბზაცს რის საფუძველზეც აკეთებს შემდგომი აბზაცის პროგნოზირებას; შემდეგ კითხულობს მეორე აბზაცს და აკეთებს შედარებას მის პროგნოზირებასა და აბზაცის რეალურ შინაარსს შორის. აბზაცების ჩაგდებით კითხვა-პროგნოზირება ტექსტის ბოლომდე წაკითხვამდე გრძელდება, რაც უზრუნველყოფს მკითხველის ინტენსიურ ჩართულობას. გარდა იმისა რომ მკითხველი ეცნობა ტექსტს, ის ცდილობს გამოცნობას ანუ ლოგიკური ჯაჭვის გაბმას ორ შინაარსს შორის და რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია თავისი პროგნოზირების სისწორის გადამოწმებით მონიტორინგს უკეთებს თავდ კითხვის პროცესის სწორად წარმართვას და შინაარსის სრულყოფილად გაგებას. ხშირად იმისათვის, რომ სწორად შეაფასოს მკითხველმა მსგავსება თუ განსხვავება პროგნოზირებასა და კონკრეტული აბზაცის შინაარსს შორის მას უხდება აბზაცის შინაარსის სრულყოფილად გაგება. იმ შემთხვევაში თუ მკითხველი წააწყდება გარკვეულ სირთულეებს კონკრეტულ აბზაცში გზავნილის ამოცნობის თვალსაზრით ის აუცილებლად შეეცდება შეერკინოს გამოწვევას (რაც ან გაუგებარი ლექსიკით ან რთული გრამატიკული კონსტრუქციითა გამოწვეული) და მიიღოს შესაბამისი ზომები გზავნილის ბოლომდე დეკოდირებისათვის. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კითხვის პროცესში პროგნოზირების გამოყენების დიდ წვლილის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

ტექსტის კითხვის პროცესში პროგნოზირების კიდევ ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად სახეს წარმოადგენს ტექსტის აბზაცების პირველი წინადადებების წაკითხვა, შემდგომ მთელი აბზაცის შინაარსის გამოცნობა და ბოლოს აბზაცის წაკითხვა და უკვე გაგებული შინაარსის შედარება პროგნოზირებულთან.

ტექსტის კითხვის პროცესში პროგნოზირების ერთერთ მეთოდს მიეკუთვნება შეკითხვების დასმა შემდგომი აბზაცის ან ტექსტის შემდგომი ნაწილის ირგვლივ. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ტექსტის ჟანრი და ტიპი იმდენად, რამდენადაც შეკითხვები მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ სტრუქტურასა და რეგისტრს. თუმცა არსებობს

უნივერსალური შეკითხვები, რომელთა დასმა შესაძლებელია ნებისმიერი ჟანრის ტექსტთან მუშაობის პროცესში.

კითხვის პროცესში პროგნოზირების ერთერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს მოცემული წინადადებებიდან/საკითხებიდან იმ რამდენიმეს არჩევა, რომლებიც მკითხველის აზრით ნახსენები/განხილული იქნება შემდგომ აზრაცში ან ტექსტის შემდგომ ნაწილში. მაგალითად: ტექსტის, სათაურით „ხელოვნების ნიმუში ნარჩენებისგან“, რამდენიმე აზრაცის წაკითხვის შემდგომ, მომდევნო აზრაცის პროგნოზირებისთვის მკითხველი ასე სვამს საკითხს: ვფიქრობ მომდევნო აზრაცში (ან აზრაცებში) განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: რატომ უწოდეს კონსერვების ქილისაგან აწყობილ უზარმაზარ მახინჯ ფიგურას ხელოვნების ნიმუში; ვინ არის ამ |“ხელოვნების ნიმუშის“ ავტორი; რას ფიქრობენ მეცნიერები ამ საკითხის შესახებ... აღნიშნული მეთოდური მიდგომის ალტერნატიულ ვარიანტს წარმოადგენს მკითხველის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან იმ ვარიანტის გადახაზვა, რომელიც მისი აზრით არ იქნება მოცემული ტექსტში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ნახატებით მუშაობა ძალზედ საინტერესო და გამომწვევია. ნახატებით პროგნოზირება შესაძლებელია კითხვის პროცესში პროგნოზირებისათვის. ეს მეთოდი განსაკუთრებულად საინტერესო და სასარგებლო იქნება მასწავლებლებისთვის უცხო ენის სწავლების დროს, თუმცა სხვა საგნის მასწავლებლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ თამამად და ეფექტურად აღნიშნული მეთოდით. ნახატებით პროგნოზირება, ისევე როგორც ტექსტის წაკითხვამდე ნახატებით პროგნოზირების მეთოდი, გულისხმობს ტექსტის ნაწილის გაცნობის შემდგომ ტექსტის ახალი, უცნობი ნაწილის შინაარსთან ასოცირებული ნახატების ჩვენებას მკითხველისთვის, რის საფუძველზეც მკითხველი კრავს უცნობი ნაწილის შინაარსს. ამის შემდგომ ხდება კითხვის პროცესის გაგრძელება და პროგნოზირების შედეგების გადამოწმება/ტექსტის გაგების მონიტორინგი.

აღნიშნული პროცესი, ისევე როგორც პროგნოზირების სხვა მეთოდები კითხვის უწყვეტობას და ტექსტის, როგორც ერთი მთლიანი ნაწილის სრულყოფილად აღქმას უწყობს ხელს. ამაში დიდი წვლილი მუდმივ ძიებას, ჭეშმარიტების დადგენის მცდელობის პროცესის სწორად წარმართვას მიუძღვის.

პროგნოზირების უნარების განვითარება მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენის მასწავლებლებისათვის, არამედ რეფერენტებისთვის, რომლებსაც ხშირად უხდებათ სხვადასხვა სირთულის ტექსტებთან მუშაობა. მათ მიერ ტექსტის გაგების პროცესს კიდევ უფრო ართულებს ტერმინები და უცხო ლექსიკა, რასაც ისინი ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდებიან სხვადასხვა ჟანრის ტექსტების წაკითხვის დროს. პროგნოზირებისა და მუდმივი თვითმონიტორინგი მათთვის აუცილებელია, იმდენად რამდენადაც ის მეტაკოგნიტური

უნარები, რომლებიც აღნიშნული თვითმონიტორინგის თანმდევი ელემენტებია, საშუალებას აძლევს რეფერენტებს ამოიციონ სიტყვის/ტერმინის მნიშვნელობა კონტექსტიდან გამომდინარე, ან მოითხოვს მათთან მოიძიონ უცნობი ცნების მნიშვნელობა და ასე გახადონ ტექსტზე მუშაობა ეფექტური.

პროგნოზირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც თანმიმდევრული თარგმანის შემსრულებელი თარჯიმნების, ისე სინქრონისტებისათვის იმდენად, რამდენადაც მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის დამოკიდებულება მათი პროგნოზირების უნარზე ძალზედ დიდია. სინქრონისტის ამოცანის ეფექტურად შესრულების ერთერთი წინაპირობა სწორედ გამომსვლელის სათქმელის სწორად პროგნოზირების უნარია მოფიქრებისთვის უმცირესი დროის დაგამომსვლელის საუბრის ბოლომდე მოსმენის შესაძლებლობის არ ქონის პირობებში.

უნდა ითქვას რომ პროგნოზირებას ასევე აზრობრივ გამოცნობასაც უწოდებენ. აზრობრივი გამოცნობა ლინგვისტური ერთეულის ისეთ დონეზეც ვრცელდება, როგორც არის სიტყვა. იმ შემთხვევაში თუ ადამიანს საშუალო დონეზე აქვს განვითარებული აზრობრივი გამოცნობის უნარი, მას შეუძლია სიტყვის პირველი 2-3 ასოს წაკითხვით გამოიცილოს მთლიანი სიტყვა და შემდგომი რამდენიმე სიტყვა.

4. კითხვის პროცესი. სწორი კითხვის მნიშვნელობა ტექსტთან მუშაობისას

კითხვა ინფორმაციის მიღების ერთერთი წყაროა. ტექსტთან მუშაობისას კითხვის პროცესის სწორად წარმართვას დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტის შინაარსის, ფუნქციისა და მიზნის სწორად გაგების თვალსაზრისით. სწორი კითხვა ტექსტის მკითხველის ამოცანის სწორად შესრულების საწინდარია.

კითხვას სხვაგვარად სამეტყველო საქმიანობის სახესაც უწოდებენ, რომელიც ორი ეტაპისაგან შედგება: ტექსტის აღქმა და ტექსტის ინტერპრეტაცია (გააზრება). იმისათვის, რომ კითხვის პროცესი სრულყოფილი და პროდუქტიული იყოს აუცილებელია ორივე ეტაპის შესაბამისად გავლა. პირველ ეტაპზე დიდი როლს ასრულებს კითხვის ისეთი ე.წ. ტექნიკური უნარები, როგორცაა მახვილი მხედველობა, თვალების მოძრაობის სიჩქარე და თავისებურება და მხედველობის არე. კითხვის პროცესის მეორე ეტაპი კი კითხვის ინტელექტუალურ უნარ-ჩვევებთანაა დაკავშირებული, რაც მოიცავს ძირითადი ინფორმაციის გამოყოფის და დამახსოვრების უნარს, განზოგადებას, სინთეზს და შეჯამებას. ორივე ეტაპის უნარების ერთობლიობა სწორი და ეფექტური კითხვის ტექნიკის წინაპირობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კითხვის ტექნიკა ტექსტთან მუშაობის ხერხების ერთობლიობაა, რაც საშუალებას

ამღევს მკითხველს გაზარდოს კითხვის ტემპი, გაიადვილოს ტექსტის აღქმა და გაგება და გაზარდოს წაკითხულის დამახსოვრების ხარისხი (გოიხმანი 1999: 73).

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ტექსტთან მიზანმიმართული მუშაობის ეფექტურობის და მკითხველის წინაშე დასახული ამოცანების სწორად გადაჭრის საფუძველი სწორედ სწორი კითხვის ტექნიკაა, რომლის გამომუშავებას დრო და გამოცდილება სჭირდება.

კითხვის ტექნიკაზე საუბრისას საჭიროდ მიგვაჩნია ისეთი ცნების მოყვანა, როგორცაა კითხვის კულტურა, რომლის შემადგენელ ნაწილსაც კითხვის ტექნიკა წარმოადგენს. კითხვის კულტურა იმ კითხვის უნარ-ჩვევების, კითხვის პროცესის ირგვლივ ცოდნის გამოყენებაა, რომელიც ხელს უწყობს ტექსტთან მუშაობის პროცესის პროდუქტიულობას, რასაც თავის მხრივ ე.წ. სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები განაპირობებენ.

კითხვის კულტურის ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება: მკითხველის სხეულის მდგომარეობა კითხვის დროს, განათება, ხმაური/სიჩუმე, კითხვის პროცესის უწყვეტობა/წყვეტილობა, ფიზიკური გადაღლა და ტექსტის მოცულობა. სუბიექტურ ფაქტორებს წარმოადგენს: ფსიქოლოგიური მომზადება კითხვის პროცესისთვის, მხედველობის არე, აქტიური/პასიური აზროვნება, კითხვის სტრატეგია, ფსიქოლოგიური გადაღლა, ყურადღების/კონცენტრირების განვითარების დონე (გოიხმანი 1999:74).

აღნიშნული ფაქტორების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია მკითხველისათვის იმისათვის, რომ მან სწორად წარმართოს კითხვის პროცესი. შესაბამისი ცოდნა კითხვის კულტურის შემადგენელი ფაქტორების ირგვლივ საშუალებას მისცემს მას უზრუნველყოს სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების შესაბამისობა, განსაზღვროს ხელისშემშლელი პირობები და შედეგად კითხვის პროცესი წარმართოს თავისთვის სასარგებლოდ.

გოიხმანის მიხედვით მკითხველმა უნდა უზრუნველყოს კითხვის პროცესში შესაბამისი მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვის პროდუქტიულობა მცირე ხანში მცირდება და ასევე რჩება პროცესის დასასრულამდე. ამის მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მკითხველი, ცოტა ხანში, გაუთვინობიერებლად იწყებს ხელების, ფეხების, და. ა. შ. ადგილის შეცვლას რასაც შედეგად ყურადღების გაფანტვა და შესაბამისად კითხვის ეფექტურობის/პროდუქტიულობის შემცირება მოყვება. ო. რ. გოიხმანი ყველაზე ეფექტურ მდგომარეობად კითხვის დროს მაგისდასთან ვერტიკალურად, დაუძაბავად, ჯდომას მიიჩნევს. მისი აზრით, განსაკუთრებით სასარგებლოა მარცხენა მხარეს რვეულის და კალმის ქონა კითხვის პროცესში ჩანაწერების გასაკეთებლად, რაც მასალის აღქმის ხარისხს აუმჯობესებს (გოიხმანი 1999: 74).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მეცნიერი ასევე თვლის, რომ კითხვის პროცესში კითხვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად შერჩეული მდგომარეობა ხშირად დამოკიდებულია ტექსტზე, რომელსაც მკითხველი ამუშავებს და მკითხველის მიზანზე. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ მკითხველი მუშაობს სასწავლო, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ტექსტთან, აუცილებელია ის იჯდეს მაგიდასთან, ხელებით მაგიდაზე, თვალებსა და წიგნს შორის 35-40 სმ. მანძილის დაშორებით. მხატვრული ნაწარმოების კითხვის პროცესში კი, როდესაც მკითხველის მიზანი სიამოვნების მიღებაა, მკითხველს შეუძლია სავარძელში მოკალათებულ მდგომარეობაშიც მაქსიმალურად აღიქვას ტექსტი (გოიხმანი 1999:74).

საინტერესოა ხმის/ხმაურის ზემოქმედება კითხვის პროცესზე. ო.რ. გოიხმანი ამბობს, რომ გარეშე ხმაური ამცირებს კითხვის პროცესის ეფექტურობას იმდენად, რამდენადაც მკითხველის ყურადღება გადადის ტექსტიდან ხმაურის გამომწვევ ობიექტზე. თუმცა, მეცნიერი ამბობს, რომ გარეშე ხმაურთან ბრძოლა შეუძლებელი არ არის. „ხმა შეიძლება გესმოდეს, მაგრამ არ უსმინო“. გარდა ამისა ქუჩიდან შემოსული გამაღიზიანებელი ხმების დაფარვა ადვილად შესაძლებელია თუ მკითხველი ჩართავს ტელევიზორს ან სხვა მოწყობილობას ან მუსიკას დაბალ ხმაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერების აზრით, კითხვის პროცესის სრული ეფექტურობის უზრუნველსაყოფად უმჯობესია არა იდეალური/აბსოლუტური არამედ შედარებითი სიჩუმის უზრუნველყოფა. მაგალითად ფურცლების გადაშლის ხმები ხელს უწყობს ტექსტის კარგად აღქმას. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სრულ სიჩუმეში ყურადღების შენარჩუნება უფრო რთულია, ვიდრე მცირე, მონოტონური ხმაურის პირობებში (გოიხმანი 1999:75).

კითხვის ეფექტურობის მდგრადობაში დიდ როლს ასრულებს უწყვეტი კითხვის პროცესი. კითხვის უწყვეტობა იწვევს თვალების და ადამიანის ორგანიზმის სხვა კუნთების დამაბულობას, რასაც შედეგად ფსიქოლოგიური გადაღლა მოყვება, რის ფონზეც კითხვის სურვილი ეცემა და პროდუქტიულობა მცირდება. დამტკიცებულია, რომ დაღლა ხდება კითხვის დაწყებიდან 15-20 წუთში და დამოკიდებულია ტექსტის სირთულესა და მისადმი მკითხველის დაინტერესებაზე.

იმისათვის, რომ მკითხველმა მოიხსნას დამაბულობა და დაღლა, რეკომენდირებულია ყოველ 15-20 წუთში გაკეთდეს შესვენება. სასურველია ასევე სარელაქსაციო სავარჯიშოების გაკეთება (გოიხმანი 1999: 75).

კითხვის კულტურის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების უგულვებელყოფა აუარყოფითად მოქმედებს აღნიშნულ პროცესზე და ამცირებს მის ეფექტურობას. გარდა ამისა, იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი ადამიანის კითხვის პროცესი ინდივიდუალურია და

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, აღნიშნულმა თავისებურებებმა შესაძლოა, კითხვის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების უგულვებელყოფასთან კომბინაციაში, კიდევ უფრო მეტად დააკნინოს ტექსტთან მუშაობის პროდუქტიულობა. ერთერთი ასეთი თავისებურება შეიძლება იყოს ე.წ. „რეგრესიები“ კითხვის დროს. რეგრესია წაკითხულისადმი დაუსაბუთებელი დაბრუნებაა და ერთერთ ყველაზე გავრცელებულ უარყოფით თვისებას წარმოადგენს მკითხველში. რეგრესიების რაოდენობა ასევე ინდივიდუალურია, თუმცა საშუალოდ, ყველა 100 სიტყვაზე მკითხველი შეიძლება წაკითხულ მონაკვეთს 10-15 ჯერ დაუბრუნდეს. რეგრესიების დაძლევის ყველაზე ეფექტური საშუალება თვითკონტროლია (გოიხმანი 1999: 75).

კითხვის პროცესის ეფექტურობას ასევე აფერხებს ჩურჩული კითხვისას. ეს ჩვევა ჯერ კიდევ ბავშვობაში, კითხვის სწავლის დაწყებისას, ყალიბდება. იმდენად, რამდენადაც ჩურჩულის სისწრაფე 4-ჯერ უფრო ნაკლებია ადამიანის აზროვნების სიჩქარეზე, ჩურჩული კითხვისას 3-4-ჯერ ამცირებს ტექსტთან მუშაობის ნაყოფიერებას. შესაბამისად არტიკულაციის გარეშე ტექსტთან მუშაობა 3-4-ჯერ ამცირებს ინფორმაციის გაცნობისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობას (გოიხმანი 1999: 75).

ჩავატაროთ ექსპერიმენტი ჩურჩულით და ჩურჩულის გარეშე კითხვის პროცესების ეფექტურობის შედარების მიზნით. ამისათვის გამოვიყენოთ თანაბარი სირთულის ორი ტექსტი სათაურებით „ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ სძინავთ“ და „დიდხანს ძილი სახიფათოა“.

ტექსტების წაკითხვამდე პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს:

ა. რა ჟანრის ტექსტებთან გვექნება საქმე?

ბ. არის თუ არა სახიფათო დიდხანს ძილი/უძილობა?

გ. არის თუ არა დიდხანს ძილი/უძილობა ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის მოშლის მაჩვენებელი?

დ. შეიძლება თუ არა დიდხანს ძილის/უძილობის სინდრომი დაემართოს ნებისმიერ ადამიანს?

ე. უძილობა/ხანგრძლივი ძილი მხოლოდ გენეტიკური/დაბადებიდან მოყოლებული სენია თუ აღნიშნული რამ შეიძლება ადამიანს ნებისმიერ დროს დაემართოს?

აღნიშნულ კითხვებზე თქვენი მოსაზრების გამოთქმის შემდგომ გამოყავით დრო-2 წუთი (მკაცრად განსაზღვრული)-ჯერ ერთი და შემდგომ მეორე ტექსტის წასაკითხად. პირველი ტექსტი წაკითხეთ ჩურჩულით, ხოლო მეორე ჩურჩულის გარეშე. თითოეული ტექსტის წაკითხვის შემდგომ უპასუხეთ ზემოთ მოცემულ კითხვებს ტექსტში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. შეადარეთ რომელი ტექსტის შემთხვევაში გაეცით უფრო სრულყოფილი პასუხი აღნიშნული კითხვებს.

ტექსტი 1. ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ სძინავთ

XX საუკუნის 40-იან წლებში ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ტრენტონში 90 წლის მოხუცი ალ ჰერპინი ცხოვრობდა. მას არასოდეს უძინია თავის სიცოცხლის მანძილზე. იგი ბევრმა ექიმმა გამოიკვლია, თუმცა ის სრულიად ჯანმრთელი იყო. შრომით დაღლილი ჰერპინი სავარძელში ჯდებოდა და იქამდე კითხულობდა, სანამ არ დაისვენებდა. მერე კი, ხელახლა იწყებდა მუშაობას.

ერთ უნგრელ ქალბატონს თავის ტკივილები აწუხებდა. ექიმმა ურჩია მას ნაკლები ეძინა. იმ დღიდან ქალბატონს არ ძინებია და არც თავის ტკილის შეუწყუხებია.

იუსტ ბერნეტს 81 წელი შეუსრულდა. იგი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ადამიანი იყო, სანამ ერთ დღეს ძილის სურვილი და მოთხოვნილება არ დაკარგა. მაშინ 27 წლის იყო. 54 წელი არ ეძინა. ღამდამობით კითხულობდა, მუსიკას უსმენდა და კროსვორდებს ხსნიდა.

ვიეტნამელი ტაი იგოკის ქრონიკული უძილობა 1937 წლის ციებ-ცხელების შემდეგ დაეწყო. მას შემდეგ კაცს არ სძინებია, თუმცა ეს დისკომფორტს არ უქმნიდა. ის ამ დროს კარგად იყენებდა. მაგალითად: ცხვრებს ითვლიდა, ფერმას დარაჯობდა... სამი უძილო თვე ორი უზარმაზარი ორმოს ამოთხრას მოანდომა, რომელშიც შემდეგ თევზები მოაშენა. ექიმებმა მის ორგანიზმში ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინეს. ეს ფენომენი დღემდე გამოცანად რჩება მეცნიერებისათვის.

ტექსტი 2. „დიდხანს ძილი სახიფათოა“

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დიდხანს ძილი სახიფათო ყოფილა ჯანმრთელობისთვის. დიდხანს ძილი განსაკუთრებით პრობლემას უქმნის ქალებს, რადგან გადაჭარბებულმა ძილმა შესაძლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები გამოიწვიოს სუსტი სქესის წარმომადგენლებში.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ადამიანს გადაბმულად 9 საათზე მეტ ხანს არ უნდა ეძინოს. Newinform-ის ინფორმაციით, აღნიშნული უარყოფითი ზემოქმედების დასადგენად კვლევები 13 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ დიდხანს ძილმა შეიძლება ალცჰეიმერის დაავადება გამოიწვიოს. კვლევებში მონაწილე ადამიანები სამ ჯგუფად დაყვეს. პირველი ჯგუფის წარმომადგენლებს დღე-ღამეში 6-9 საათი ეძინათ, მეორეს-6 საათზე ნაკლები, ხოლო მესამეს 10 საათზე მეტი. კვლევების დასრულების შემდგომ მესამე ჯგუფის 230 ადამიანს გონებაშეზღუდულობა დაუდგინდა, ხოლო 180-ს

აღცკეიმერის დაავადება. მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ ძილის დროს ადამიანის თავის ტვინის ზომა მცირდება, რაც დროთა განმავლობაში, გონებაშეზღუდულობას და სხვა დაავადებებს იწვევს.

(ძილი, სიზმარი და მათი ფსიქოლოგია; ინტერნეტ რესურსები. ლინკი: <https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/.../adamianebi-romlebsats-saertod-ar-sdzinavi>)

კითხვის პროცესზე საუბრისას ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მხედველობის არის ცნების განსაზღვრა. მხედველობის არე არის ტექსტის ის ნაწილი, რომელსაც ადამიანი თვალი ერთი შეხედვით აღიქვამს. გოიხმანი ამბობს, რომ ჩვეულებრივ ადამიანის მხედველობის არე 1,2 ან 2 სიტყვას ან 1-15 ასოს შეადგენს. თუმცა ადამიანს, რომელსაც კარგად აქვს განვითარებული სწორი კითხვის უნარი და ფლობს სწორად კითხვის ტექნიკას, შეუძლია თვალის ერთი ფიქსაციით აღიქვას მთელი სტრიქონი, ზოგჯერ აზრაციც კი (გოიხმანი 1999: 76).

სწორი კითხვის ტექნიკისა და კითხვის კულტურის ფლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეფერენტებისთვის, იმდენად, რამდენადაც მათი საქმიანობის პრიორიტეტი ტექსტის მინიმალურ დროში გაგება და მისი მეორეულ ტექსტში ტრანსფორმირებაა. აღნიშნული ამოცანის დროისა და ხარისხის თვალსაზრისით ეფექტურად და ხარისხიანად შესრულება კი სწორედ სწორი კითხვის შედეგია.

5. კითხვის სტრატეგიების დამოკიდებულება ტექსტზე და მკითხველის მიზანზე

ეფექტური კითხვის ზემოთ ჩამოთვლილი და დახასიათებული წინაპირობების გარდა, ტექსტთან მუშაობის პროდუქტიულობას მკითხველის მიერ შერჩეული კითხვის სტრატეგია/მეთოდი/სახე განაპირობებს.

ტექსტთან მუშაობის მაქსიმალური ეფექტურობის და კითხვის პროცესის მიზანზე-ორიენტირებულობის უზრუნველსაყოფად მკითხველმა კითხვის სტრატეგია კითხვის პროცესის დაწყებამდე უნდა შეარჩიოს. ო. რ. გოიხმანი თვლის რომ კითხვის პროცესის რეჟიმი პროცესის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს და დამოკიდებული უნდა იყოს წასაკითხ ტექსტზე და მკითხველის ტექსტთან მუშაობის მიზანზე (გოიხმანი 1999: 77).

ისევე როგორც ადამიანის ნებისმიერ საქმიანობას აქვს გარკვეული მიზანი, ტექსტთან მუშაობაც სხვადასხვა მიზნით არის განპირობებული. სხვადასხვა ჟანრისა თუ შინაარსის ტექსტი კითხვის სხვადასხვა მიზანზე არის გათვლილი, თუმცა შესაძლოა ერთიდაიგივე ტექსტი რამდენიმე მიზნით წაიკითხოს ადამიანმა.

ტექსტის წაკითხვის მიზანი შეიძლება იყოს ზოგადი ინფორმაციის მიღება, მაშინ როდესაც ხშირ შემთხვევაში ტექსტებს ასევე კითხულობენ კონკრეტული, მკითხველისთვის ყველაზე მეტად საინტერესო, ინფორმაციის მისაღებად. თუ მკითხველი ეცნობა ბროშურას მაგალითად იმისათვის, რომ გაიგოს რა ალტერნატივებს სთავაზობს მას კონკრეტული ტურისტული სააგენტო საქართველოს რეგიონებში ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად და საქართველოს კულტურის გასაცნობად, ის დეტალურად კითხულობს ბროშურას იმისათვის, რომ ქონდეს სრული ინფორმაცია და გააკეთოს მისთვის სასურველი არჩევანი.

- ო.რ გოიხმანი გვთავაზობს ტექსტთა, მკითხველის მიზნის მიხედვით, შემდეგ კლასიფიკაციას:
- ა. ტექსტები, რომლებიც უნდა წაკითხო ზოგადი ინფორმაციის მისაღებად;
 - ბ. ტექსტები, რომლებშიც უნდა მოძებნო კონკრეტული, მკითხველისათვის საჭირო, ინფორმაცია და
 - გ. ტექსტები, რომლებიც დეტალურად (სიღრმისეულად) უნდა წაკითხო (გოიხმანი 1999: 77)

მაშასადამე, კითხვის სტრატეგია მკითხველის მიერ ტექსტისადმი პრაგმატული მიდგომით განისაზღვრება. მას შემდეგ რაც მკითხველი განსაზღვრავს თავის მიზანს ტექსტთან მიმართებაში, მან უნდა შეარჩიოს შესაბამისი კითხვის სტრატეგია, რამაც უნდა უზრუნველყოს/ხელი შეუწყოს მკითხველის ამოცანის მინიმალურ დროში და მაქსიმალური ეფექტით შესრულებას.

6. კითხვის სტრატეგიები

6. 1 გაცნობითი კითხვა/კითხვა ზოგადი ინფორმაციის გაცნობის მიზნით

გაცნობითი კითხვის მიზანია ტექსტის შინაარსის ზოგადად გაცნობა. გაცნობითი კითხვის სტრატეგიის განხორციელება გულისხმობს ყურადღების გამახვილებას მხოლოდ ძირითად ინფორმაციაზე. დანარჩენი დეტალები და ავტორის შეხედულებები კი არ ექვემდებარება მკითხველის მიერ მათ დამახსოვრებას და გაანალიზებას. კითხვის მოცემული სტრატეგიის განხორციელებისას მკითხველისთვის საკმარისია გაარკვიოს არსებითი ფაქტები და დაიმახსოვროს ძირითადი მონაცემები (გოიხმანი 1999: 78).

გაცნობითი კითხვის მეთოდით დამუშავებას ექვემდებარება ისეთი ტექსტები, როგორცაა პუბლიცისტური ლიტერატურა (ჟურნალ-გაზეთების სტატიები) და ხშირ შემთხვევაში მხატვრული ლიტერატურა.

გაცნობითი კითხვის სტრატეგიის განხორციელებისას მკითხველმა ტექსტის წაკითხვის შემდგომ უნდა უპასუხოს ისეთ კითხვებს, როგორცაა მაგალითად: რას ეხება ტექსტი? რა თემა განიხილება ტექსტში? სად არის ტექსტი გამოქვეყნებული?...

გაცნობითი კითხვის სტრატეგიის განხორციელებისთვის ავიღოთ ქვემოთ მოცემული ტექსტი
„ახალი ენერგოეფექტური სახლი“

ტექსტის ირგვლივ პროგნოზირების შემდგომ მკითხველებს ვთხოვთ წაკითხონ მოცემული კითხვები, შემდეგ გაეცნონ ტექსტს და ბოლოს პასუხი გასცენ მოცემულ კითხვებს ტექსტიდან, გაცნობითი კითხვის შედეგად, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

კითხვები:

ა. რა?

ბ. სად?

ბ. როდის?

ტექსტი 3.

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის ექვსმა სტუდენტმა, ხელმძღვანელ პროფესორ X-თან ერთად, ენერგოეფექტური სახლი ააშენეს, რომელშიც წელიწადის ნებისმიერ დროს ტემპერატურა 17-18 გრადუსს არ აღემატება. სახლი მთლიანად ორგანული მასალისგან არის დამზადებული, ბზისა და თიხის გამოყენებით. ანუ სახლი მუდმივად ინარჩუნებს ტემპერატურას ისე რომ მას არ სჭირდება არც გათბობა და არც გაცივება. მისი შიდა ფართობი 16 კვადრატული მეტრია.

აღნიშნული პროექტის სამშენებლო ნაწილში დახარჯული თანხის რაოდენობა დაახლოებით 4000 ლარს შეადგენს.

ეკოლოგიურად სუფთა ენერგოეფექტური „მწვანე სახლი“ ლაბორატორიული ცდებისთვის, სამეცნიერო დაკვირვებებისთვის იქნება გამოყენებული.

სტუდენტებმა 7 000 ლარიანი გრანტი ენერგეტიკის განვითარების ფონდისგან მიიღეს.

(სტატია ელექტრონული გაზეთიდან BusinessPressNews(bpn; ლინკი: <https://bpn.ge/>)

ხშირ შემთხვევაში გაცნობითი კითხვის დაწყებამდე, შესაძლებელია ზემოთ მოცემული კითხვების უფრო დაკონკრეტება ტექსტთან მიმართებაში, რის შედეგადაც მივიღებთ ისეთ კითხვებს, როგორცაა:

- ა. რა აშენდა?
- ბ. სად აშენდა?
- გ. რისთვის აშენდა?

კითხვების მოდიფიცირების მიზანია მკითხველის შემზადება მისაღები ინფორმაციის უფრო მარტივად და სწრაფად გაგებისთვის.

მოცემულ ტექსტზე გაცნობითი კითხვის მეთოდით მუშაობის მიზანია მკითხველმა მიიღოს ზოგადი ინფორმაცია ახალი ენერგოეფექტური სახლების შექმნის შესახებ. ხოლო ისეთი დეტალები, როგორცაა სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ სახლის მშენებლობაში, პროფესორის ვინაობა, რომელიც ასევე ჩართული იყო პროექტის განხორციელებაში, პროექტის განხორციელების ღირებულება და დაფინანსების წყარო, გაცნობითიკითხვის მიზნების ფარგლებს გარეთ რჩება.

6. 2. არჩევითი კითხვა

არჩევითი კითხვის სტრატეგია მკითხველის მიერ ხორციელდება მაშინ, როდესაც მას აინტერესებს კონკრეტული ინფორმაციის მიღება, როგორცაა მაგალითად სტატისტიკური მონაცემები წყლით გამოწვეული დაავადებების შესახებ საქართველოს რომელიმე რეგიონში 2016 წლის განმავლობაში ან ბოტანიკური ბალის მუშაობის საათები და გიდების მომსახურების საფასური და ა.შ.

არჩევითი კითხვის სტრატეგიით მუშაობა ხდება ყველა ჟანრისა და სტილის ტექსტთან: სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, მხატვრული და ა.შ. ამ დროს მკითხველს არ სჭირდება ყველა ფაქტის გაგება-გაანალიზება. მისთვის საკმარისია გაიგოს ის, რაც მისთვის მნიშვნელოვანი და საჭიროა (გოიხმანი 1999: 78).

არჩევითი კითხვის სტრატეგიის კარგად გაგებისთვის ავიღოთ ტექსტი (სტატია ელექტრონული გაზეთიდან „BusinessPressNews“) სათაურით „2017 წლის ივლისში საქართველოს თითქმის მილიონი საერთაშორისო მოგზაური ეწვია“

ტექსტის პროგნოზირების შემდგომ მკითხველებს ვთხოვთ წაიკითხონ სტატია და მოიპოვონ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენით გაიზარდა უცხოელი მოგზაურების რაოდენობა საქართველოში 2017 წელს 2016 წელთან შედარებით.

ტექსტი 4. „2017 წლის ივლისში საქართველოს თითქმის მილიონი საერთაშორისო მოგზაური ეწვია“

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2017 წლის ივლისში საქართველოს თითქმის მილიონი საერთაშორისო მოგზაური ეწვია (982.487 ვიზიტორი).

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, მსგავსი მონაცემები საქართველოს ისტორიაში ჯერ არცერთ თვეში დაფიქსირებულა.

წარმოდგენილი მონაცემებით, თითქმის 33-ით არის გაზრდილი ტურისტების რიცხვიც. ივლისის თვის მაჩვენებლით, იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 519.349 შეადგინა, რაც 128.651-ით მეტია 2016 წლის ივლისის მაჩვენებელზე (ზრდა 32.9%).

2017 წლის ივლისის ყველაზე მეტი ვიზიტი რუსეთიდან (+60.4%), სომხეთიდან (+25.4%), აზერბაიჯანიდან (+13.8%), თურქეთიდან (0.6%) და ირანიდან (+85.8%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, ივლისში გამოირჩეოდნენ ნიდერლანდები+43%, გაერთიანებული სამეფო+34%, გერმანია +33% და საფრანგეთი+33%. განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა შემდეგი ქვეყნებიდან: ლიბანი +57%, იორდანია +37%, საუდის არაბეთი +254%, ქუვეითი +207%, ირანი+86% და აშშ+65%.

მოცემულ ტექსტზე არჩევითი კითხვის მეთოდით მუშაობის მიზანი ასევე შეიძლება იყოს იმ ქვეყნის დადგენა, საიდანაც ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა საქართველოში 2017 წელს. ასევე მოცემული ტექსტი შეიძლება წაიკითხო იმისათვის, რომ დაადგინო რამდენი ევროპელი ტურისტი ჩამოვიდა 2017 წლის ივლისში საქართველოში და ა.შ.

6.3. სკანირება

სკანირება არჩევითი კითხვის ერთერთი სახეობაა. კითხვის ეს მეთოდი ითვალისწინებს ტექსტის სწრაფ გადახედვას მკითხველისთვის საინტერესო, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ეს შეიძლება იყოს საინტერესო გვარები, ფაქტები, სიტყვები... კითხვის აღნიშნული მეთოდის პროცესში მკითხველის თვალები მოძრაობს ვერტიკალურად წასაკითხი ტექსტის გვერდის ცენტრზე ფოკუსირებით. შესაბამისად ადამიანის თვალი არჩევს მისთვის მხოლოდ საინტერესო ინფორმაციას. იმისათვის, რომ სკანირება ეფექტური იყოს, საჭიროა შესაბამისი უნარების განვითარება, რაც ითვალისწინებს მხედველობის არის გაზრდას და საჭირო ინფორმაციის სწრაფად არჩევის და მასზე კონცენტრირების უნარის განვითარებას. ადამიანს, რომელსაც განვითარებული აქვს სკანირების კარგი უნარი 2-3 -ჯერ

უფრო სწრაფად კითხულობს იმ ადამიანთან შედარებით, რომელიც ჩვეულებრივი, ტრადიციული კითხვის მეთოდით ხელმძღვანელობს (გოიხმანი 1999: 79).

სკანირების მეთოდით ტექსტის კითხვა ტექსტის გაცნობის ეფექტური მეთოდია უცხო ენის სწავლების პროცესშიც, განსაკუთრებით გარკვეული თემატიკის ირგვლივ ახალი ლექსიკის სწავლება/სწავლისას. სკანირების მეთოდით კითხვა უცხო ენის შემსწავლელს დაეხმარება სწრაფად აღმოაჩინოს ტექსტში მისთვის უცხო/უცნობი ლექსიკური ერთეულები და მოახდინოს პროგნოზირება ტექსტის გაგებისთვის მისთვის ხელისშემშლელი სიტყვების ირგვლივ. სკანირების ეტაპის დასრულების შემდგომ, ენის შემსწავლელს შეუძლია იმუშაოს ლექსიკონთან მისთვის უცხო/უცნობი სიტყვების მნიშვნელობების დადგენაზე, რაც მას ტექსტთან შემდგომი მუშაობის ეტაპს გაუადვილებს და ახალი სიტყვების დამახსოვრებას შეუწყობს ხელს.

სკანირების მეთოდით ასევე წამატებულად შეიძლება ისარგებლოს რეფერენტმა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის სპეციალიზირებულ, მისთვის უცხო კონკრეტული დარგის ტექსტთან იწყებს მუშაობას.

როგორც ვიცით, ყველა დარგს თავისი ლექსიკა, ტერმინოლოგია გააჩნია. ყველა დარგში ტერმინების და სპეციალიზირებული ლექსიკის ცოდნა რეფერენტისთვის შეუძლებელია და არც მის ვალდებულებას წარმოადგენს. ამავე დროს, აღნიშნული ტერმინები, რომლებიც შესაძლოა პირველად ტექსტში უხვად იყოს წარმოდგენილი, დიდი ალბათობით, რეფერენტს ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგებასა და სწორად გაანალიზებაში შეუშლის ხელს, იმდენად, რამდენადაც ეს სიტყვები და ტერმინები უმეტესწილად გასაღები ერთეულებია. შესაბამისად, რეფერირების საწყისი ეტაპის ანუ პროგნოზირების დასრულების შემდგომ, რეფერენტი იწყებს მუშაობას უცნობ სიტყვებთან. სწორედ ამ პროცესში, სკანირების მეთოდით ტექსტის გაცნობა, რეფერენტს მისთვის უცნობი ტერმინების და სიტყვების სწრაფად, დროის მინიმალური დანახარჯით, იდენტიფიცირების საშუალებას მისცემს.

განვიხილოთ მარკირების მეთოდი ამონარიდში ტექნიკური ტექსტიდან „ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობისთვის“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 17 გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე; 2014 წლის 3 იანვარი; თბილისი)

ტექსტი N 5

ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით
დამაბინძურებელი საქმიანობისთვის“

1. ტექნიკური რეგლამენტი მტკიცდება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ყველა იმ საქმიანობისთვის, რომლებიც არ ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას.
2. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების იმ საქმიანობების, რომლებიც არ ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას. განმახორციელებელი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის სავალდებულოა შემუშავდეს “ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
3. ტექნიკური რეგლამენტით დგინდება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების სტაციონარული ობიექტების ცალკეული გაფრქვევის წყაროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაქსიმალური მნიშვნელობები.
4. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების ცალკეული გაფრქვევის მიღში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაქსიმალური მნიშვნელობები (Cx, მგ/მ3) გაფრქვევის მილის სიმაღლის (Hმ), მილის დიამეტრის (D, მ) და მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაციისგან (C მ მგ/მ3) დამოკიდებულებით განისაზღვრება შემდეგი ფორმულით: $C_x = 30C_m (H+D)/D$;

სადაც მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციის მნიშვნელობები აიღება სპეციალური ცხრილის (მოცემულია ორიგინალ დოკუმენტში) მიხედვით:

5. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ სტაციონარულ ობიექტში რამდენიმე გაფრქვევის მილის არსებობის შემთხვევაში და ამავე დროს, ორი ან ორზე მეტი მათგანიდან ერთიდაიგივე სახეობის მავნე ნივთიერების გაფრქვევისას, მე-5 პუნქტის თანახმად, ცალკეულ გაფრქვევის მილში განსაზღვრული მავნე ნივთიერების გაფრქვევის მაქსიმალური მნიშვნელობა მცირდება ინდენჯერ, რამდენი გაფრქვევის მილიცაა იმავე სახეობის მავნე ნივთიერების გაფრქვევით სტაციონარულ ობიექტში.
6. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარულ ობიექტში გაფრქვევის მილის გარეშე მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემთხვევაში, თითოეული ამ წყაროსთვის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაქსიმალურ მნიშვნელობებად აიღება მე-2 პუნქტში წარმოდგენილ დოკუმენტში დადგენილ შესაბამის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაჩვენებლები.

მოცემული დოკუმენტი შეიცავს დიდი რაოდენობით ტერმინებს, რაც, როგორც უკვე ზემოთ

ვთქვით, სპეციალიზირებული ტექსტების დამახასიათებელი თვისებაა. სკანირებული კითხვის მეთოდით რეფერენტი, თვალების ჰორიზონტალური მოძრაობით, სწრაფად მოახდენს იმ ტერმინების იდენტიფიცირებას, რომელთა არ ცოდნამაც შესაძლოა მას, რეფერირების შემდგომი ეტაპის-ინტერპრეტირების-განხორციელებაში ხელი შეუშალოს. შესაბამისად, აღნიშნული ტერმინების დადგენა და მათი მნიშვნელობების გარკვევა, რეფერირებისას გონივრული და მიზანმიმართული ნაბიჯია. სკანირების შედეგად რეფერენტი აღნიშნული დოკუმენტიდან შემდეგ ტერმინებს/სიტყვებს ამოკრებს: სტაციონარული წყარო, გაფრქვეული მავნე ნივთიერება, მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაცია, სტაციონარული ობიექტი, გაფრქვევის მილი...

გარდა იმისა რომ რეფერენტი დაადგენს იმ ტერმინებს, რომელთა ცოდნაც მისთვის აუცილებელია მეორეული ტექსტის შექმნისთვის, სკანირებული კითხვის მეთოდი დაეხმარება მას ასევე სწრაფად განსაზღვროს რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული ტერმინის გადმოტანა რეფერატში, იმდენად, რამდენდაც შესაძლოა ზოგიერთი ტერმინის გარეშე მეორეული ტექსტი გასაგები და მასში მოცემული ინფორმაცია ამომწურავი იყოს მკითხველისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.

6.4 კითხვა პარაგრაფების მიხედვით

ხშირ შემთხვევაში პირველადი ტექსტები, განსაკუთრებით სამეცნიერო ლიტერატურა, დიდი მოცულობის და მრავალაზრობიანი ტექსტებია, რაც ართულებს რეფერენტის სამუშაოს ძირითადი ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ პირველადი ტექსტის ძირითადი ინფორმაცია პარაგრაფის ან პირველ, ან კიდევ ბოლო წინადადებაში იყოს წარმოდგენილი. არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე პარაგრაფი მხოლოდ მეორეხარისხოვან, ნაკლებად მიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს და ნაკლებად ღირებული იყოს რეფერირებისთვის (გოიხმანი 1999: 79).

თუ რეფერენტის ამოცანას დიდი მოცულობის სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება წარმოადგენს ამ ლიტერატურის ისეთი რეფერატის შესაქმნელად, რომელმაც მკითხველისთვის პირველადი დოკუმენტის ფუნქცია უნდა შეასრულოს, ის ვერ გაექცევა ყველა პარაგრაფის წაკითხვის საჭიროებას, თუნდაც იმ პარაგრაფისა, რომელიც მისთვის შესაძლოა ნაკლებად ინფორმაციული იყოს.

კითხვის ისეთ მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს ორიგინალი ტექსტის ყველა პარაგრაფის წაკითხვას პარაგრაფებით კითხვა ეწოდება. პარაგრაფებით კითხვის დროს რეფერენტმა თითოეული პარაგრაფის იდეა/მთავარი აზრი უნდა გაიგოს, იმისათვის, რომ დაადგინოს

რამდენად ეხმიანება ესა თუ ის პარაგრაფი მთლიანად დოკუმენტის იდეას, რათა სწორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტული პარაგრაფის იდეის მეორეულ ტექსტში გადმოტანის შესახებ.

იმისათვის, რომ რეფერენტმა მარტივად დადგინოს მოცემული პარაგრაფის იდეის კავშირი ტექსტის საერთო იდეასთან, მას სკანირებული კითხვის მეთოდი დაეხმარება. კერძოდ, სკანირებით რეფერენტს შეუძლია გაიგოს რა იდეაა გატარებული პარაგრაფის უმეტეს წინადადებებში და არის თუ არა კავშირი კონკრეტული პარაგრაფის წინადადებებსა სხვა პარაგრაფების წინადადებებს შორის. აღნიშნული კავშირი კი შეიძლება გასაღები სიტყვები იყოს, რომელთა მოძებნაც რეფერენტის ამოცანას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში თუ გასაღები სიტყვების რაოდენობა კონკრეტულ პარაგრაფში დიდია და ეს სიტყვები სხვა პარაგრაფების უმეტესობაში მეორდება, მოცემულ პარაგრაფში გატარებული იდეა მეორეული ტექსტის შექმნისთვის მნიშვნელოვანია.

6.5 დეტალური/სიღრმისეული კითხვა

დეტალური/სიღრმისეული კითხვის მიზანია ტექსტში მოცემული ინფორმაციის სრულყოფილი გაგება/გაანალიზება. მსგავსი კითხვის მეთოდი ითვალისწინებს ყურადღების გამახვილებას ტექსტის დეტალებზე, მათ გაანალიზებას და შეფასებას.

დეტალური კითხვის დროს ტექსტი ძირფესვიანად უნდა იქნეს შესწავლილი მისი ძირითადი ნაწილების დამახსოვრების აუცილებლობით, რაც შემდგომში მათი გამოყენების საფუძველი უნდა გახდეს.

სამეცნიერო ლიტერატურის დეტალური კითხვისას მკითხველი კარგად უნდა გაერკვეს იმაში, თუ რა პრობლემა აქვს დასახული ავტორს, როგორია მისი შეხედულება ამ პრობლემის ირგვლივ და როგორ წყვეტს ის აღნიშნულ პრობლემას.

დეტალური კითხვის ეფექტურად განხორციელებისთვის ასევე საჭიროა ტექსტის სტრუქტურის გააზრება, ატორისეული მსჯელობების შეფასება და მათი საკუთარ შეხედულებებთან შეჯერება.

დეტალურ კითხვას სხვაგვარად ანალიზურ, ასევე შემოქმედებით კითხვას უწოდებენ, იმდენად, რამდენადაც მსგავსი კითხვის მეთოდი მოითხოვს მიღებული ინფორმაციის ანალიზის კარგ უნარს, მკითხველის მხრიდან შემოქმედებით-კოგნიტური მიდგომას და ლოგიკური დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

დეტალური კითხვის მეთოდით ტრადიციულად მუშაობენ ისეთ ტექსტებთან, როგორცაა სასწავლო სახელმძღვანელოები და ტექსტები, რთული, უცნობი თემატიკის ტექსტები, სპეციალიზირებული ლიტერატურა (გოიხმანი 1999: 78)

დეტალური კითხვა განსაკუთრებით ეფექტურად შეიძლება იყოს გამოყენებული უცხო ენის სწავლება/სწავლის პროცესში უცხო ტექსტთან, განსაკუთრებით მხატვრულ ნაწარმოებთან, მუშაობისას. ეს საშუალებას აძლევს ენის შემსწავლელს განავითაროს ტექსტთან მუშაობის კოგნიტიურ-ინლექტუალური მექანიზმები სწავლობს რა ის ტექსტთან მუშაობისას ისეთი ამოცანების გადაჭრას, როგორცაა ტექსტის თემის, მთავარი იდეის განსაზღვრა, ავტორისეული შეხედულების მიგნება და ამ შეხედულებების გასამყარებელი არგუმენტების, მსჯელობების განსაზღვრა. გარდა ამისა ტექსტის ანალიზის დროს მკითხველი ეცნობა და ითავისებს კონკრეტული სტილისა თუ ჟანრის ტექსტის ენობრივ-სტილისტურ და სტრუქტურულ თავისებურებებს, აზრის ლექსიკური საშუალებებით გამოხატვის სპეციფიკას, რაც საშუალებას აძლევს მას გაითავისოს უცხო ენის ენობრივი-ლექსიკურ-გრამატიკული-თუ უზუალური ნორმები კონკრეტული კონტექსტუალური სიტუაციის გამოსახატავად.

თუმცა, რეფერირებასთან მიმართებაში, უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი ტექსტის დეტალური კითხვის მეთოდით ანალიზურ-სინთეზური დამუშავების შედეგად მიღებულ ტექსტში რეფერენტის შეხედულებების ასახვა დაუმზებელია. წინა აბზაცში განხილული შემთხვევისგან განსხვავებით, რეფერენტი ორიგინალი ტექსტის იდეის, ავტორის შეხედულებების, მისი მსჯელობებისა და არგუმენტაციის აღწერით უნდა შემოიფარგლოს.

დეტალური კითხვის შედეგად რეფერენტი მზად უნდა იყოს პასუხი გასცეს ისეთ კითხვებს, როგორცაა: რაზეა საუბარი ტექსტში? რა აზრს ავითარებს ავტორი აღნიშნული თემის ირგვლივ? რას ფიქრობს თვითონ ავტორი ტექსტში ასახული საკითხის ირგვლივ? მოყავს თუ არა მას არგუმენტები საკუთარი აზრის გასამყარებლად? რით ამლიერებს ავტორი თავის შეხედულებებს: ფაქტების, მაგალითების, სტატისტიკის მოყვანით თუ არგუმენტირებული, ლოგიკური მსჯელობით? რა დასკვნებს აკეთებს ავტორი ნაშრომის ბოლოს? და ა.შ.

ვნახოთ რა კითხვებს უნდა უპასუხოს მკითხველმა ტექსტის „ქართული ანბანის წარმოშობა“ დეტალური/ღრმა კითხვის შედეგად:

ტექსტი N 6

ძველი ბერძნული დამწერლობა გახდა წყარო მრავალი სხვა წერითი სისტემებისთვის, რომლებიც აღმოსავლეთსა და დასავლეთში გავრცელდა. ბერძნული დამწერლობისაგან

მომდინარე ყველა სისტემის ძირითადი სტრუქტურული მახასიათებელია მათი ანბანურობა, ე.ი. სისტემაში როგორც კონსონანტური, ისე ვოკალური ნიშნების არსებობა, რომლებიც ერთიან პარადიგმას ქმნიან.

ბერძნულმა დამწერლობამ არამართო დასაბამი მისცა მრავალ სხვა დამწერლობათა ანბანურ სისტემებს, არამედ ბერძნული წერითი სისტემის გავლენით მოდიფიკაცია განიცადა უშუალოდ ძველი სემიტური წყაროდან მომდინარე ზოგმა კონსონანტურ-სილაბურმა სისტემამ, საკუთრივ ხმოვანთა გამომხატველი ნიშნების გაჩენის მხრივ.

ბერძნული წერილობითი სისტემისაგან წარმომდგარ ანბანურ დამწერლობათა სპეციფიკურ ჯგუფს ქმნიან ქრისტიანული ხანის დამწერლობანი: კოპტური, გოთური, სომხური და სლავური ანბანური წერილობითი სისტემები. ბერძნული ანბანური დამწერლობის სახელით ცნობილი წერითი სისტემა საფუძვლად დაედო მრავალ განშტოებას და ამით დასაბამი მიეცა მსოფლიოში ამჟამად ყველაზე გავრცელებულ წერით სისტემებს.

ამავე ჯგუფში უნდა მოთავსდეს ტიპოლოგიურად კიდევ ერთი წერითი სისტემა, რომელიც ბერძნულ დამწერლობას ემყარება. ეს არის ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა.

ქართული ანბანის ბერძნული პროტოტიპის მიხედვით შექმნა და ბერძნული წერითი ნიმუშისაგან მომდინარეობა, ძველი ქართული დამწერლობის მთელი რიგი შინაგანი სტრუქტურული მონაცემების საფუძველზე და ასევე ქართული წერითი სისტემის შინაგანი წყობისა და პარადიგმატიკის მიხედვით ვლინდება.

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველთა კულტურული და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ დამწერლობის სახით წარმოიშვა ეროვნული ქართული წერითი სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ქართული ენის ზუსტი წერილობითი დაფიქსირება და ეროვნულ ენაზე მწერლობის შექმნა.

ძველი ქართული დამწერლობა შეიქმნა სათანადო პერიოდის ქართულის წერილობითი ფიქსაციისათვის ენის ბგერითი ერთეულების სპეციალური გრაფიკული სიმბოლოებით გამოხატვის საშუალებით.

არქაული ქართული ენის თანხმოდანთა კლასი არსებითად იმავე შედგენილობისაა, რაც ისტორიული ხანის ძველი ქართულისა.

არქაული ქართულის ამ ბგერითი სისტემის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო სწორედ ძველი ქართული ანბანის შექმნა, რომელიც მოწოდებული იყო წერილობით და სათანადო

გრაფიკული ნიშნების საშუალებით გამოეხატა ქართულისათვის დამახასიათებელი ბგერითი შედგენილობა.

ყოველი დამწერლობის და განსაკუთრებით ანბანური წერითი სისტემის შექმნის პირველ და აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს ენის ბგერითი სისტემის სეგმენტირება ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომლებიც უნდა გამოისახოს გრაფიკული სიმბოლოების საშუალებით. სწორედ ამაზეა დამოკიდებული შექმნილი დამწერლობის ფუნქციური სრულყოფილების ხარისხი.

ირკვევა, რომ ქართული ანბანის შემქმნელს ზედმიწევნითი სისრულით აქვს წარმოდგენილი თანადროული ქართული ენის ბგერითი სისტემა: იგი ამომწურავად ითვალისწინებს ქართული ენის ბგერათა ინვენტარს, რომელთა გრაფიკული გამოხატვა აუცილებელია ქართული ენის ადეკვატური წერილობითი გადმოცემებისათვის. იგი იმდენად სრულად და თანმიმდევრულად არის ასახული ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, რომ მას ამ თვალსაზრისით არსებითი ცვლილებები არც კი განუცდია.

თანამედროვე ქართული დამწერლობა თავისი შინაგანი სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით ასახავს ძირითადად ძველ ქართულ წერით სისტემას. (რამდენიმე ნიშნის გამოკლებით). მაგრამ ისმის კითხვა: რომელი წერითი სისტემა აქვს აღებული ქართული ანბანის შემქმნელს ნიმუშად, წერილობით პროტოტიპად, რომელ დამწერლობას უდარებს იგი ქართულ ბგერათა ინვენტარს, ქართული ენის ბგერათა სიმრავლეს, რათა მოახდინოს სისტემაში ბგერათა გარკვეული წესით დალაგება? ნიმუშად აღებული რომელი დამწერლობის მიხედვით უნდა ყოფილიყო განწყობილი ახლადშექმნილი ქართული ანბანი, რომელი წერითი სისტემა უდევს მას საფუძვლად.

ეს არის არსებითად პრობლემა ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობისა. ამ თვალსაზრისით ძველი ქართული ანბანის შესაძლებელ პროტოტიპებად წარმოგვიდგება პირველ რიგში ბერძნული ანბანური დამწერლობა. ბერძნულ სისტემასთან შედარებით ქართული ბგერითი სისტემა ხასიათდება ბგერათა უფრო დიდი რაოდენობით, რომლებიც ვერ პოვებენ ეკვივალენტებს შედარებულ სისტემაში.

ეს ქართული თანხმობები შეიძლება ამ თვალსაზრისით «დანართი» ბგერებად ჩაითვალოს.

ამგვარად, ქართული დამწერლობის შექმნის პროცესში ნიმუშად აღებულ სისტემებთან ქართულ ბგერათა შეფარდების დამყარებისას, მთელი სიმრავლე ქართული ბგერითი ერთეულებისა ორ ჯგუფად უნდა გაყოფილიყო. პირველი ჯგუფი განისაზღვრებოდა შესაძარებელი სისტემის ბგერითი ერთეულებით, მეორე ჯგუფი იქმნებოდა ქართულისთვის

შესაძარებელი სისტემის თვალსაზრისით «სპეციფიკური» და ამ აზრით იგი დამატებით ბგერათა სიმრავლეს შექმნიდა, რომელიც ანბანში «დანართ ბგერათა» სახით დაემატებოდა გარკვეული წესის მიხედვით განწყობილ ძირითად ბგერებს.

ქართული ანბანის წარმომავლობა სემიტურისაგან ნაკლებ სავარაუდოა უკვე იმის გამო, რომ ძველი სემიტური წერითი სისტემა ნარევი «კონსონანტურ-სილაბური» ტიპის დამწერლობაა, მაშინ როდესაც ქართულ დამწერლობაში მკაცრად და თანმიმდევრულადაა გატარებული წერის «ანბანური პრინციპი», ამავე დროს ქართული ანბანის შექმნისას წერით ნიმუშად სემიტური სისტემის აღების შემთხვევაში, ქართულ ანბანს სულ სხვა წყობა და სტრუქტურა ექნებოდა, ვიდრე ეს ძველ ქართულ დამწერლობაშია დადასტურებული.

ქართული ანბანის შექმნისას ბერძნული წერითი სისტემა იქნა გამოყენებული, როგორც წერითი ნიმუში, რომლის მიხედვითაც გამოიყო ბგერითი ერთეულები ქართულში.

ძველი ქართული ანბანის შექმნისთვის საყრდენ ნიმუშად ბერძნული დამწერლობის მიჩნევა სავსებით გასაგებს ხდის ქართული სისტემის სტრუქტურასა და პარადიგმატიკას, მისი «ძირითადი» და «დამატებითი» ნაწილების ხასიათსა და ბგერით შედგენილობას.

ამასთანავე საგულისხმოა, რომ ყველა ის თავისებურება ბერძნული დამწერლობისა, რითაც ეს უკანასკნელი განსხვავდება ძველი სემიტურისაგან, ყველა ის სპეციფიკური, საკუთრივ ბერძნულისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული ნიშანი, წარმოქმნილი ბერძნულ ანბანში ასახულია სრულიად ქართულ ანბანში, რაც ნათლად მოწმობს ძველი ქართული დამწერლობის ბერძნული სისტემისაგან წარმომავლობას.

ძველი ქართული დამწერლობის მთელი რიგი სტრუქტურული თავისებურებანი აიხსნება ბერძნული დამწერლობის საშუალებით, ისინი ბერძნული დამწერლობის სტრუქტურულ მახასიათებლებს იმეორებენ.

ძველი ქართული ანბანის შეპირისპირება ძველ სემიტურ სისტემასა და ბერძნულ დამწერლობასთან ავლენს ქართული სისტემის სემიტურისაგან განსხვავებულ წყობას და ქართული ბგერების ანბანთ რიგში განაწილებას ფონეტიკურად მსგავსი ბგერების ანბანური წყობის მიხედვით.

ქართული დამწერლობის სემიტური სისტემიდან მომდინარეობის შემთხვევაში ე.ი. სემიტური წერითი ნიმუშის მიხედვით ქართული ანბანის განწყობისას მოსალოდნელი იქნებოდა ხშულ თანხმოვანტა განსხვავებული წყობა ანბანთ რიგში. ამგვარად ქართული ანბანის სემიტური სისტემიდან მომდინარეობის შემთხვევაში ხშულ თანხმოვანტა სულ სხვა წყობა უნდა

გვექონოდა, ვიდრე ეს ისტორიულად დადასტურებული ძველ ქართულ წერით სისტემაში გვაქვს. ძველი ქართული ასომთავრული ანბანი ბერძნულის წყობას ასახავს

ქართული ანბანის გრაფიკული სიმბოლო, გამომხატველ განსაზღვრული ფონეტიკური მნიშვნელობებისა-გაიწყობა სისტემაში, როგორც დავინახეთ ბერძნული პროტოტიპის მიხედვით ქართული ანბანის პარადიგმატიკა ამ ნაწილში მთლიანად ბერძნულ სისტემას მისდევს და არსებითად ბერძნულისთვის დამახასიათებელ ფონეტიკურ და სტრუქტურულ თავისებურებებს ასახავს.

ამის შესაბამისად, ბერძნული ანბანის რიცხვ-ნიშანთა სისტემა მთლიანად «გადაისახა» ქართულ წერით სისტემაზე. რიცხვით მნიშვნელობათა აღნიშვნის სისტემა ქართულში მთლიანად ბერძნულს მისდევს.

რამდენადაც ქართული ბგერითი სისტემა ბგერითი ერთეულების უფრო დიდი რაოდენობით ხასიათდება, ვიდრე ბერძნული, ბერძნულთან ბგერათშესაბამისობის დამყარებისა და ქართული ბგერათა ნაწილის ბერძნული ანბანთრიგის მიხედვით გაწყობის შემდეგ ქართულში უნდა დარჩენილიყო მთელი რიგი ბგერითი ერთეულები, რომელთაც ბერძნულში ვერ მოეძებნებოდათ სათანადო ფონეტიკური ეკვივალენტები.

ქართული ანბანის «დანართი» ბგერების შედგენილობა სრულიად უდავოდ ხდის ქართული ანბანის შექმნისათვის ნიმუშად აღებული წერითი სისტემის ხასიათს და ადასტურებს იმას, რომ ქართული დამწერლობა თავის ძირითად ნაწილში ემყარება სწორედ ბერძნულ და არა სემიტურ წერით პროტოტიპს, რომ ქართული ანბანის ამ «დანართ» და სპეციფიკურ ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ ისეთი ბგერითი ერთეულები, რომლებსაც ასო მოეძებნებათ ფონეტიკური ეკვივალენტები ბერძნულ სისტემაში და ამ თვალსაზრისით საკუთრივ ქართულისთვის დამახასიათებელ ბგერებს წარმოადგენენ.

საინტერესოა, რომ ბერძნულისაგან მომდინარე კოპტური ანბანის «დანართ» ნაწილში ქართულის ფონეტიკურად მსგავსი ბგერებია წარმოდგენილი.

ქართული ანბანის ასოთა სახელები არ იმეორებენ ბერძნული პროტოტიპის სიმბოლოთა სახელწოდებებს და ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი თავისუფალი თხზვის შედეგს უნდა წარმოადგენდნენ.

ძველი ქართული ანბანის გაწყობა ბერძნული პროტოტიპის მიხედვით და ქართული დამწერლობის საფუძვლად ბერძნული წერითი სისტემის მიჩნევა ბუნებრივად სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორაა ასახული ქართულ ანბანში ბერძნული დამწერლობის

გამოხატულების პლანი, რა მიმართებაშია ძველი ქართული ანბანის ასო-ნიშანთა გრაფიკული მოხაზულობა ბერძნული სისტემის შესაბამის ნიშნებთან, რომელიც წერით ნიმუშად იყო აღებული ქართული დამწერლობის შექმნისას?

ძირითად გრაფიკულ შემადგენელ ელემენტებს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობისას წარმოადგენს სხვადასხვა სიგრძის სწორი ხაზი, სხვადასხვა სიდიდის წრეხაზი და ნახევარწრეხაზი. ამ ელემენტთა ერთმანეთთან კომბინირებით იწარმოება მონუმენტური სტილის დამწერლობა თანაზომიერი სიმაღლის გრაფიკული ნიშნებით, რომლებიც ორხაზოვან სისტემაშია მოქცეული.

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ასო-ნიშანთა შედარებითი გრაფიკული ანალიზი ბერძნული წრის დამწერლობასთან ავლენს ქართული დამწერლობის ორიგინალობას, მის ერთგვარ დამოუკიდებლობას ისტორიულად ცნობილ დამწერლობათა გრაფიკისაგან. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა ვერ დაიყვანება მთლიანად რომელიმე კონკრეტული ისტორიულად ცნობილ გრაფიკულ სისტემაზე. ქართული ასომთავრული გრაფიკების შედარებითმა შესწავლამ ცხადყო ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ძველი ქართულის წარმოშობისა და ისტორიის თვალსაზრისით, რომ ეს ნიშნები ვერ ჩაითვლება ერთი რომელიმე წერითი სისტემის (ბერძნულის ან სემიტურის) ბუნებრივ გრაფიკულ განვითარებად. თუმცა ცალკეულ ქართულ ასომთავრულ ნიშნებს შეიძლება დაეძგნოს სხვადასხვა ხასიათის გრაფიკული ანალოგიები სხვადასხვა წერით სისტემებში. ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიშანთა გრაფიკა უფრო ხელოვნურად შექმნილი გრაფიკების შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლებიც ხასიათდებიან სხვადასხვა ტიპის სწორი ხაზებისა და წრეხაზების გრაფიკული კომბინაციით.

ძველი ქართული წერილობითი სისტემის წარმომავლობა ბერძნული დამწერლობისაგან, ან უფრო ზუსტად ძველი ქართული ანბანის შექმნისას წერილობით ნიმუშად და მოდელად ბერძნული ანბანის გამოყენება გვასრულებინებს ქართულ გრაფიკულ ნიშნებს.

ქართული წერილობითი სისტემა იმეორებს ბერძნულ სისტემას, უპირველეს ყოვლისა გამოხატულების პლანის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელში-წერით მიმართულებაში მარცხნიდან-მარჯვნივ. საპირისპიროდ სემიტური სისტემისა-მარცხნივ მიმართული წერისა.

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ასახავს ბერძნულ გრაფიკას აგრეთვე თავისი ზოგადი მონუმენტურობით და გრაფიკათა გეომეტრიული ხასიათით. ქართული ასომთავრული გრაფიკები, ისევე როგორც კაპიტალური ბერძნული დამწერლობის ნიშნები თითქოს ერთ კვადრატულ უჯრედში ჩახაზულ გეომეტრიულ ფიგურებს წარმოადგენს შედგენილს სწორი ხაზისა და ნახევარწრეხაზის სხვადასხვა კონფიგურაციებისაგან.

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შემოდებული იქნა საქართველოში ქართლის მონათვლასა და გაქრისტიანებასთან დაკავშირებით.

დაბოლოს ქართული ანბანი, რომ ბერძნულის კვალობაზე არის შექმნილი ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება:

ა) ქართული წერა მარცხნიდან მარჯვნივ მიიმართება, როგორც ბერძნულში და არა მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც ეს არის სემიტურში.

ბ) ქართული ანბანი შეიცავს როგორც თანხმოვნებს, ისე ხმოვნებს, როგორც ეს არის ბერძნულში, საწინააღმდეგოდ სემიტური ანბანისა, რომელმაც მხოლოდ თანხმოვნები იცის.

გ) ქართულ ანბანში შეყვანილია ორი ხმოვანი, რომელთა უქონლობა არაფერს დააკლებდა ძველ ქართულ მწერლობას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ისინი შექმნილია ბერძნული ანბანის მიხედვით, რომლებიც გრძელ ხმოვნებს გადმოსცემენ. გრძელი ხმოვნები ქართულ ენას არ გააჩნდა მწერლობის შექმნის ხანაში და არც ახლა გააჩნია, მაგრამ რაკი ბერძნულ ანბანში იყო ეს ასოები, ქართულშიც შეიქმნა მისი შესატყვისი ნიშნები.

დ) ქართულში იყო და არის ხმოვანი «უ», მაგრამ მისი გამომხატველი ნიშანი არ შეუქმნიათ. ეს გამონაკლისი იმის გამო არის, რომ იმდროინდელ ბერძნულში ხმოვანი «უ» ორი ნიშნით გადმოიცემოდა. ამის მიხედვით «უ» ბგერისთვის ქართულშიც ბერძნულის შესატყვისი ორი ნიშანი იქნა გამოყენებული-ე, რომლებიც თავისი შედგენილობითა და თვითოეული ასოს მნიშვნელობით შეესატყვისება ბერძნულ-OV-ს.

ე) ბერძნულ ანბანს ალფა იწყებს და ომეგა ამთავრებს. ამგვარადვეა ქართულშიც: პირველი ასოა ანი (ფ) და უკანასკნელი ოჰი.

ვ) ანბანის ასოებს, ბგერითი მნიშვნელობის გარდა რიცხვითი მნიშვნელობაც აქვთ.

თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, ნეკრესში აღმოჩენილია ქვა, რომელიც I საუკუნეს განეკუთვნება.

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველთა კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ დამწერლობის სახით წარმოიშვა ეროვნული ქართული წერითი სისტემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ქართული ენის ზუსტი წერილობითი ფიქსირება და ეროვნულ ენაზე მწერლობის შექმნა.

(ქართული ანბანის წარმოშობა; ინტერნეტ რესურსი; ლინკი:www.bu.org.ge/books/2174).

მოცემული ტექსტის დეტალური/ღრმა კითხვა ითვალისწინებს პასუხის გაცემას ისეთ კითხვებზე, როგორცაა: რაზეა საუბარი ტექსტში? რა აზრს ავითარებს ავტორი აღნიშნული

ქართული დამწერლობის წარმომავლობის შესახებ? რას ფიქრობს თვითონ ავტორი ქართული წარმომავლობის შესახებ? მოყავს თუ არა მას არგუმენტები საკუთარი აზრის გასამყარებლად? რით აძლიერებს ავტორი თავის შეხედულებებს: ფაქტების, მაგალითების, სტატისტიკის მოყვანით თუ არგუმენტირებული, ლოგიკური მსჯელობით? რა დასკვნებს აკეთებს ავტორი ნაშრომის ბოლოს ქართული დამწერლობის წარმომავლობის შესახებ?

მკითხველი მოცემული ტექსტის გაცნობამდე, ჩამოწერს კითხვებს, რაც მისთვის ერთგვარი სახელმძღვანელოს ფუნქციას შეასრულებს მიმართულებას მისცემს რა მოსაპოვებელი ინფორმაციის შესახებ. ამის შემდგომ ტექსტთან მუშაობა ითვალისწინებს ტექსტის რამდენჯერმე ყურადღებით წაკითხვას, იმდენად რამდენადაც ზემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემისთვის საჭირო ინფორმაციის დამახსოვრებისთვის ერთხელ წაკითხვა საკმარისი არ არის. აქედან გამომდინარე აუცილებელია ტექსტის ყველა დეტალის გაცნობა და შემდგომ გაანალიზება/შეფასება შეიცავს თუ არა ტექსტის ესა თუ ის მონაკვეთი, აზნაცი თუ წინადადება, ტექსტის წაკითხვამდე განსაზღვრულ კითხვებზე პასუხს.

6. 6. კითხვა-გადახედვა

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კითხვის სტრატეგია არჩევითი კითხვის ერთერთ სახეობას წარმოადგენს. კითხვა-გადახედვა კითხვის ერთერთი გავრცელებული სახეობაა და გამოიყენება მაშინ, როდესაც მკითხველი ეცნობა მაგალითად რაიმე წიგნს. უფრო კონკრეტულად, კითხვა-გადახედვის სტრატეგიას მკითხველი მიმართვას მაშინ, როდესაც მას სურს მიიღოს გარკვეული ინფორმაცია წიგნის შესახებ და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება იყიდოს თუ არა ის (გოიხმანი 1999: 79).

მსგავს შემთხვევებში მკითხველი კითხულობს მხოლოდ წიგნის სარჩევს (რომელიც მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვან დებულებებს), წინასიტყვაობას და დასკვნებს და სწორედ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ღებულობს მისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას წიგნის შემენის თვალსაზრისით. გარდა წიგნის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა, კითხვა-გადახედვა საშუალებას აძლევს მკითხველს განსაზღვროს წიგნის თავისთვის ყველაზე ხელსაყრელი და ამოცანის შესაბამისი კითხვის მეთოდი.

6. 7. სწრაფი კითხვა

სწრაფი კითხვა კითხვის მეთოდია, რომლისაც სპეციალური სწავლება სჭირდება. კითხვის ეს მეთოდი გულიხმობს არა მხოლოდ კითხვის სწრაფ ტემპს, არამედ წაკითხულის აღქმას

მაღალი ხარისხით. წაკითხული ინფორმაციის გაგების/ გაანალიზებისა და დამახსოვრების თვალსაზრისით სწრაფი კითხვის მეთოდი არ ჩამოუვარდება დეტალური/დრმა კითხვის მეთოდს (გოიხმანი 1999: 79).

მაშასადამე, არსებობს ტექსტის წაკითხვის რამდენიმე მეთოდი/ტექნიკა, რაც აადვილებს ტექსტთან მუშაობას, მასში მოცემული ინფორმაციის ანალიზს და შეფასებას. კითხვის მეთოდის შერჩევა განპირობებულია თავად კითხვის პროცესის მიზანზე, კერძოდ იმაზე თუ რისი გაგება სურს მკითხველს და რისთვის გამოიყენებს ის მიღებულ ინფორმაციას.

კითხვის კონკრეტული მეთოდის შერჩევა ასევე დამოკიდებულია ამოსავალი ტექსტის თემის, იდეის განვითარების ენობრივ-სტრუქტურულ მახასიათებლებზე, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ინფორმაციის გადმოსაცემად გამოყენებული კონკრეტული ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური თავისებურებების კომბინაციას კონკრეტული სფეროს/დარგისა და დანიშნულების ტექსტში შინაარსის გადმოცემის სტრუქტურულ მოთხოვნებთან.

7. რეფერატის განსაზღვრება; რეფერატის მიზნისა და მისი მკითხველის მიზნის ურთიერთდამოკიდებულება

სიტყვა რეფერატი ლათინური წარმომავლობისაა (რეფერო-ვატყობინებ, მოვახსენებ) და ნიშნავს მოხსენებას განსაზღვრულ თემაზე, რომელიც მოიცავს შესაბამისი ლიტერატურული მასალების და სხვა წყაროების განხილვას (გოიხმანი 1999: 8)

რეფერატული ჟურნალის სამშობლოდ შეიძლება მივიჩნიოთ საფრანგეთი, სადაც 1665 წელს გამოიცა პირველი რეფერატული ჟურნალი. აღნიშნულ ჟურნალს მეცნიერთა ჟურნალი ეწოდებოდა. ის გამოდიოდა თვეში ერთხელ და მოიცავდა მასალებს ახალი წიგნების და პუბლიკაციების შესახებ; ასევე ცნობებს ავტორებზე. ჟურნალი არსებობდა 130 წლის განმავლობაში.

გერმანიაში პირველი რეფერატული ჟურნალი 1703 წელს გამოვიდა და ყოველთვიურ გამოცემას წარმოადგენდა.

საინტერესოა რეფერატის განსაზღვრებათა ნაირსახეობა. თუმცა, მიუხედავად არაერთი განმარტებისა, ყველა ერთ პრინციპზეა აგებული, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ყველა მეცნიერი ცდილობს გაითვალისწინოს მეორეული დოკუმენტის ყველა ნიშან-თვისება, ასევე მისი დანიშნულება, ფუნქცია და მიზანი. აქედან გამომდინარე გვაქვს რეფერატის რამდენიმე უნივერსალური განსაზღვრება, რაც აღნიშნული მეორეული დოკუმენტის არსის, ფუნქციისა და დანიშნულების სრულყოფილ სურათს წარმოგვიდგენს. ერთერთი ასეთი განსაზღვრებით რეფერატი არის „ტექსტი, რომელიც მოიცავს სარეფერატო დოკუმენტის სამეცნიერო ინფორმაციას; ის არ უნდა ასახავდეს რეფერენტის შეხედულებებს ან შეფასებებს“. ერთერთი განმარტებით რეფერატი არის „პირველადი დოკუმენტის ძირითადი შინაარსის შეძლებისდაგვარად სრული, სემანტიკურად ადეკვატური გადმოცემა მოცულობით მცირე ფორმით; ის გამოირჩევა მყარი სტრუქტურით და ასრულებს სხვადასხვა საინფორმაციო ფუნქციას სხვადასხვა კატეგორიის მკითხველისთვის“

შმიდტის განმარტებით რეფერატი არის „ზეპირად ან წერილობით ფიქსირებული ტექსტის შინაარსის გადაცემა მსმენელთა იმ წრისათვის, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ ორიგინალის ტექსტზე“ (გოიხმანი 1997: 72).

სიტყვის „ზეპირად“ არსებობა მოცემულ განმარტებაში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რეფერატი შეიძლება არსებობდეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. სწორედ ზეპირი ფორმით არსებული რეფერატის მაგალითია სინქრონული თარგმანი იმ განსხვავებით, რომ ტერმინი რეფერატი გულისხმობს პირველადი დოკუმენტიდან მეორეული დოკუმენტის მიღებას ერთი ენის ფარგლებში, მაშინ როდესაც სინქრონული თარგმანი მოიცავს ორი ან მეტი ენის ფარგლებში მუშაობას ზეპირ ტექსტებზე.

სინქრონულ თარგმანსა და რეფერატს შორის მსგავსება-განსხვავების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, რეფერატზე საუბრისას, დავასახელოთ ისეთი ტერმინები, როგორცაა ანალიზი და სინთეზი. კერძოდ, სინქრონული თარგმანის პროცესში ხდება მინიმალურ დროში ერთ ენაზე მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და მიღებული ინფორმაციის სემანტიკური კოდის შენარჩუნებით, თუმცა, შეკუმშული ფორმით გადაცემა მეორე ენაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ პირველ ეტაპზე-ინფორმაციის მიღებისას- მთარგმნელი აკეთებს მიღებული ტექსტის ანალიზს, ხოლო მეორე ეტაპზე-მიღებული, გაანალიზებული ინფორმაციის შეკუმშული ფორმით გადაცემისას-ახდენს მსმენელთათვის საჭირო, აუცილებელი ინფორმაციის შეკრებას პირველადი ინფორმაციის სახით მიღებული ცნობებისა თუ ფაქტების სწორი სინთეზით. მაშასადამე, ხარისხიანი სინქრონული თარგმანის შესრულება მოითხოვს ორი ისეთი კოგნიტურ-ინტელექტუალური მექანიზმის ამუშავებას, როგორცაა ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი. რეფერატის შედგენაც სწორედ ამ ორი პროცესის სწორად განხორციელებას ეფუძნება. კერძოდ, რეფერენტი ეცნობა პირველად ტექსტს, აკეთებს მის ანალიზს, გამოყოფს მსმენელთათვის თუ მკითხველთათვის ყველაზე მეტად საჭირო და ღირებული ინფორმაციის ამოკრებას და ამოკრებილი ინფორმაციის შეჯამებით ახდენს ინფორმაციის სინთეზს; სწორედ სინთეზის შედეგად მიღებული პროდუქტი უნდა გადაეცეს ადრესატს.

ზემოთ აღწერილი პროცესები განაპირობებს რეფერატის კიდევ ერთი საინტერესო განსაზღვრების არსებობას: „რეფერატი არის ორიგინალი ტექსტის შინაარსის ანალიზურ-სინთეზური დამუშავების შედეგი-კომპრესირებული მეორეული ტექსტი განსაზღვრული მოცულობითა და საინფორმაციო ფუნქციით“ (გოხმანი 1997: 73)

ის ფაქტი, რომ რეფერატი გაანალიზებული და შემდგომ სინთეზირებული ტექსტია, ნიშნავს იმას რომ რეფერატი პირველადი ტექსტის რეპროდუქციის შედეგია. რეპროდუქციისას კი გათვალისწინებული უნდა იყოს მაქსიმალური თანხვედრა ამოსავალ და მიღებულ ტექსტებს შორის, რაც მდგომარეობს ორ ტექსტს შორის მაქსიმალურ მსგავსებაში ინფორმაციის მატარებელი საკვანძო სიტყვებისა თუ წინადადებების სემანტიკური და სტილისტურ-ჟანრობრივ იდენტურობის თვალსაზრისით.

მაშასადამე, რეფერატის მიზანია ამოსავალი ტექსტის ძირითადი, მთავარი ინფორმაციის

სწრაფად, მინიმალურ დროში მიწოდება ადრესატისთვის პირველადი ტექსტის გზავნილის აზრობრივი რეპროდუქციის საფუძველზე.

საინტერესოა გოიხმანის შეხედულება რეფერატის მიზნის შესახებ. როგორც მეცნიერი ამბობს: „რეფერატმა საშუალება უნდა მისცეს მომხმარებელს გადაწყვიტოს ღირს თუ არა მიმართოს პირველად დოკუმენტს (გოიხმანი 1990: 90).

ზემოთ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ რეფერატს არაერთგვაროვანი მიზანი აქვს. კერძოდ, ორიგინალი ტექსტის შინაარსის მინიმალურ დროში გადმოცემასთან ერთად, დოკუმენტმა ასევე გადაწყვეტილება უნდა მიაღებინოს მკითხველს პირველადი ტექსტის გაცნობა-არ გაცნობის საჭიროების შესახებ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეფერატის მიზანი მისი მომხმარებლის მიზნით არის განპირობებული. შესაბამისად რეფერირების პროცესში საჭირო ინფორმაციის განსაზღვრა მომხმარებლის მიზნის შესაბამისად ხდება (უმეტეს შემთხვევაში).

მაშ ვინ არიან რეფერატის მომხმარებლები? ვისთვის იწერება რეფერატი? როგორ განვსაზღვროთ საჭირო ინფორმაცია მომხმარებლისთვის?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეფერატს აქვს სხვადასხვა საინფორმაციო ფუნქცია სხვადასხვა კატეგორიის მკითხველთათვის. რეფერატის მომხმარებლები ორ ჯგუფად იყოფა:

1. საინფორმაციო ორგანოები და
2. ინდივიდუალური მომხმარებელი, რომელსაც ტრადიციულად მკითხველს ვუწოდებთ.

პირველი ტიპის მომხმარებლები კოლექტიური მომხმარებლები არიან. მაგალითად: დარგობრივი საინფორმაციო ცენტრები, განყოფილებები, რომლებიც თვითონ კი არ არიან დაინტერესებულნი ინფორმაციის მიღებით, არამედ იყენებენ რეფერატს საცნობარო-ინფორმაციული კარტოტეკების, კატალოგების შესადგენად იმისათვის, რომ მეორე ტიპის ანუ ინდივიდუალურ მომხმარებლებს გაუადვილონ ინფორმაციის მოძებნა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ პირველი ტიპის მომხმარებელთა მიერ რეფერატით სარგებლობა დაიყვანება მეორე ტიპის მომხმარებელთა საინფორმაციო მოძახურებაზე (გოიხმანი 1999: 107).

ინდივიდუალურ მომხმარებელთა წრე საკმაოდ დიდია. რეფერატს ერთნაირი წარმატებით კითხულობს მეცნიერი, ასპირანტი, სტუდენტი ან ნებისმიერი დარგის სპეციალისტი. რეფერატს შეიძლება გაეცნოს ნებისმიერი მკითხველი, რომელიც უბრალოდ დაინტერესებულია რაიმე თემატიკით ან სურს რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება აღნიშნული თემატიკის ირგვლივ.

მაშასადამე, ინდივიდუალური მომხმარებლები რეფერატს სხვადასხვა მიზნით ეცნობიან. მაგალითად მაგისტრანტმა, რომელმაც უნდა გააკეთოს კვლევა/სამაგისტრო ნაშრომი კონკრეტულ სფეროში შეიძლება წაიკითხოს აღნიშნული სფეროს ირგვლივ არსებული სხვა კვლევების რეფერატები, იმისათვის რომ მიიღოს გადაწყვეტილება რომელიმე ლიტერატურის სრულად გაცნობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი რეფერატების გასაცნობად აირჩევს კითხვა-დათვალიერების მეთოდს, რაც დაეხმარება მას სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება რომელიმე, მისთვის ყველაზე მეტად საჭირო, წყარო ტექსტის სრულად გაცნობის შესახებ.

იგივე მაგისტრანტს შესაძლოა დასჭირდეს კვლევის თემატიკის ირგვლივ არსებული წყაროების მიმოხილვა, რასაც დიდი დრო დასჭირდება. შესაბამისად მაგისტრანტი გაეცნობა არსებული წყაროების მეორეულ დოკუმენტებს-რეფერატებს-რაც მას დროის რაციონალურად გამოყენების საშუალებას მისცემს.

სამეცნიერო კონფერენციის „გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების პერსპექტივები“ საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც უნდა შეაფასოს კონფერენციაზე მომხსენებელთა მიერ წარსადგენი თემატიკის შესაბამისობა კონფერენციის თემატიკასთან, დროის მოგების და კონკრეტული მოხსენების მიღება-არ მიღების შესახებ სწორი გადაწყვეტილების მიღებისთვის, გაეცნობა არა მოხსენებებს, არამედ წარმოდგენილი მოხსენებების რეფერატებს და ა.შ.

მაშასადამე, რეფერატის მიზანი რეფერატის მკითხველის მიზნით არის განპირობებული. ზემოთ მოცემული მაგალითები მოწმობს, რომ რეფერატი გარკვეულ შემთხვევებში მომხმარებელთათვის ასრულებს სწორი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს, ხოლო ზოგ შემთხვევაში ის მკითხველისთვის პირველადი დოკუმენტია.

აქედან გამომდინარე, რეფერატი ორიგინალი ტექსტის მიმართვის გარეშე უნდა იყოს გასაგები, ინფორმაციული და სწორი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. მკითხველის მიზნისგან დამოუკიდებლად ის მაქსიმალურად უნდა იყოს პირველადი ტექსტის იდენტური სემანტიკური თვალსაზრისით.

რეფერატების მიზნის მრავალგვარობის გამო მათი ერთიანი კლასიფიკაცია არ არსებობს. აქედან გამომდინარე განსაზღვრებები აღნიშნული მეორეული დოკუმენტების მიზნისა და დანიშნულების შესახებ იკვეთებიან. თუმცა ჩვენთვის ამოსავალია ის, რომ რეფერატი პირველადი დოკუმენტის ანალიზურ-სინთეზური დამუშავების შედეგად მიღებული მეორეული დოკუმენტია, რომელსაც თავისი ნიშან-თვისებები გააჩნია. ამ ნიშან-თვისებებზე კი მოგვიანებით ვისაუბრებთ.

8. ამოსავალ ტექსტში მოცემული ინფორმაციის ანალიზი. ძირითადი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გამიჯვნის ხერხები

დასაწყისში ჩვენ ვისაუბრეთ ტექსტთან მუშაობის სირთულეზე. ვთქვით, რომ ტექსტთან მუშაობა რთული ინტელექტუალური პროცესია, რომელიც რამდენიმე ეტაპისაგან შედგება, რომელთა სწორი და სრულყოფილი გავლა მკითხველის ამოცანის სწორად და ხარისხიანად შესრულების წინაპირობაა.

იმდენად, რამდენადაც რეფერატი ტექსტია, მისი შედგენაც ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი ეტაპების სრულად გავლას მოითხოვს, რასაც კიდევ ერთი ეტაპი-ინფორმაციის განზოგადება და სინთეზი- ემატება.

რეფერატი რეფერირების პროცესის შედეგია. ნებისმიერი პირველადი დოკუმენტის რეფერირებისათვის კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველად ტექსტთან მუშაობის ინტელექტუალურ მექანიზმში შეღწევას. რადგანაც რეფერატი, როგორც მეორეული დოკუმენტი, მიზნად ისახავს პირველადი დოკუმენტის შინაარსის ისე გახსნას, რომ მკითხველის ყურადღება ძირითად ინფორმაციაზე გაამახვილოს, ცხადია რეფერირების პროცესის სწორად შესრულება არა მხოლოდ ჩვენი, მიღებული ინფორმაციის სწორად აღქმის, არამედ რეფერირების პროცესში ძირითადი და დამატებითი ინფორმაციის ერთმანეთისგან სწორად გამიჯვნის, გამიჯნული ინფორმაციის სწორად სინთეზის და განზოგადებით გადმოცემის კარგი უნარებითაა განპირობებული.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ორიგინალი ტექსტის სტილისა და რეგისტრის ადეკვატურობის შენარჩუნების აუცილებლობა რეფერატში, რაც კიდევ უფრო ართულებს რეფერენტის ამოცანას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყველა ეს მოთხოვნა რეფერატის ენობრივი და სტრუქტურული თავისებურებების კრიტერიუმებთან თავსებადი უნდა იყოს.

რეფერირების რთული კოგნიტურ-ინტელექტუალური პროცესის სწორად განხორციელებაში რეფერენტს ეხმარება ისეთი უნარების ქონა, როგორიცაა: ანალიზი, სინთეზი, აბსტაქირება და განზოგადება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ანალიზი მონაცემების, ინფორმაციის სისტემური ხასიათის შესწავლა და შეფასებაა მისი კომპონენტების ცალ-ცალკე შესწავლის საფუძველზე, რაც აღნიშნული კომპონენტების

ერთმანეთთან კავშირის, მიზეზ-შედეგობრიობის დადგენის წინაპირობაა, რის საფუძველზეც, თავის მხრივ, სწორი გადაწყვეტილების მიღება ხდება (გოიხმანი 1982: 108)

რეფერირების დროს ანალიზის პროცესი ითვალისწინებს ინფორმაციასთან მუშაობის მიზნის განსაზღვრას. მიზანი კი ხშირ შემთხვევაში მთავარი, საჭირო ინფორმაციის მოპოვება და მიგნებაა. სწორედ ამ მიზნით რეფერენტი, კარგად, გულდასმით კითხულობს პირველად დოკუმენტს და ეძებს მთელს დოკუმენტში იმ ძირითად, საჭირო ინფორმაციას, რომელიც მან მეორეულ დოკუმენტში უნდა ასახოს. რეფერირების დროს რეფერენტმა უნდა გაანალიზოს სწორად თუ რა ფაქტები, რა მონაცემები თუ მოვლენები წარმოადგენს იმ აუცილებელ თუ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომელთა სინთეზიც მან შემდგომ უნდა მოახდინოს. რეფერირების პროცესში ინფორმაციის ანალიზის უნარი გულისხმობს ტექსტის აბზაც-აბზაც წაკითხვას და წითხვის პროცესში ძირითადი, მთავარი სიტყვების, წინადადებების თუ სიტყვათშეთანხმებების მონიშვნას და შემდგომ მათ ცალკე ჩანიშვნას. კარგი ანალიზის უნარი ნიშნავს ამოკრებილი სიტყვებისა თუ წინადადებებისა საკუთარი სიტყვებით შეცვლას, რაც მიღებული ინფორმაციის სწორად გაგების და მისი გადმოცემის უნარის გადამოწმების საშუალებას იძლევა.

მაგალითად მოვახდინოთ „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს“ 2013 წლის 30 აპრილის N1 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად მიღებული მოზრდილებში შიზოფრენიის მკურნალობისა და მართვის გაიდლაინებიდან ამონარიდის ანალიზი რეფერატის მისაღებად.

ტექსტი N 7 „შიზოფრენია“ (ამონარიდი)

შიზოფრენია არის მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე მისი აზრების, ემოციებისა და ქცევების ჩათვლით. ეს არ არის ერთგვაროვანი მდგომარეობა და საკმაოდ ინდივიდუალურია, თუმცა ყველა შემთხვევაში გვხვდება ძირითადი ე.წ. „ფსიქოზური სიმპტომები“. ესენია: 1. არარსებული ხმების გაგონება და ნახვა ისეთი საგნებისა, რომლებიც სინამდვილეში გარშემო არ იმყოფება (ეწოდებათ ჰალუცინაციები); 2. ურყევი რწმენა-შეხედულებები იმისა, რაც მცდარია, მაგრამ პიროვნებას მთელი სიცხადით სჯერა (ეწოდება ბოდვა).

ამ სიმპტომების გამო შესაძლოა ადამიანმა დაკარგოს საღი აზროვნების ან ყურადღების კონცენტრაციის უნარი. შიზოფრენიის მქონე ადამიანმა, შეიძლება, დაკარგოს ძველი ინტერესები და მოტივაცია, სურვილები, რაც მას ირგვლივ მყოფებისგან გარიყავს.

აღნიშნული სიმპტომები შეიძლება პიროვნებისთვის გახდეს მტანჯველი, ხოლო ოჯახის

წევრებისა და ახლობლებისათვის იმედგაცრუების მიზეზი.

გარკვეული დრო სჭირდება ადამიანის მიერ ამ სიმპტომების ავადმყოფობად აღიარებას და დახმარების თუ მკურნალობის მიღებას. ზოგი ადამიანი არ ეთანხმება „შიზოფრენიის“ ტერმინის გამოყენებას თავიანთი სიმპტომების აღწერისათვის. ადამიანთა დაახლოებით 1%-ს, მათი ცხოვრების გარკვეულ მომენტში, შიზოფრენია ემართება. უმეტესობას ახალგაზრდა ასაკში ეწყება, თუმცა შეიძლება ეს სიმპტომები ნებისმიერ ასაკში აღმოცენდეს. ზოგიერთის სიმპტომები ხანმოკლეა, ზოგს შეიძლება გაუხანგრძლივდეს წლების განმავლობაში.

არსებობს სრული განკურნების შემთხვევები. ზოგიერთის მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა ავადმყოფობის განმეორებაც არის შესაძლებელი.

შიზოფრენიის მქონე ადამიანებს შესაძლებელია ასევე აღენიშნებოდეთ დეპრესია, შფოთვა, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, ნარკოტიკების და ალკოჰოლის გამოყენების პრობლემები...

აღნიშნული ამონარიდის რეფერირებისთვის პირველ რიგში, როგორც ჩვეულებრივ, ხდება ინფორმაციის ანალიზი. ამისათვის რეფერენტი კითხულობს ტექსტს და არჩევს სიტყვებს ან წინადადებებს, რაც მისი აზრით ძირითადი და მნიშვნელოვანია მოცემული ორიგინალი ტექსტის მთავარი ინფორმაციის გადმოცემისთვის.

ეს სიტყვები და წინადადებები შეიძლება იყოს: შიზოფრენია, გავლენის მოხდენა, ადამიანის ფსიქიკა, აზრები, ემოცია, ქცევა, დეპრესია, შფოთვა, აშლილობა, ნარკოტიკები, ალკოჰოლი... არარსებული ხმების გაგონება, საგნების დანახვა, რომლებიც სინამდვილეში გარემოში არ არსებობს, მცდარი შეხედულებები, ინტერესების და მოტივაციის დაკარგვა, სიმპტომები შეიძლება ნებისმიერ ასაკში აღმოცენდეს, არსებობს სრული განკურნების შემთხვევები, ავადმყოფობა შესაძლოა განმეორდეს...

შესაძლოა მოცემული ამონარიდის ანალიზის შედეგად სხვადასხვა რეფერენტმა მცირეოდენი განსხვავებით შეარჩიოს სიტყვები და წინადადებები, თუმცა უმეტეს შემთხვევაში შერჩეული სიტყვები თუ წინადადებები უნდა ემთხვეოდეს.

ანალიზის პროცესის ერთერთ მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს ის, რომ ამოსავალი ტექსტიდან ამოკრებილი წინადადებები რეფერენტმა თავისი სიტყვებით უნდა შეცვალოს და ცალკე ფურცელზე (კომპიუტერზე მუშაობის დროს-ეკრანზე) გადაიტანოს, რაც რეფერირების პროცესის შემდგომი ეტაპის საფუძველია.

პირველად დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის ანალიზზე საუბრისას ადგილი აქვს ტერმინების-ანალიზი და აბსტრაჰირება-ურთიერთგადაკვეთას. აბსტრაჰირება

გულისხმობს ტექსტში მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გამიჯვნას. აბსტრაქტების პროცესი ეხმარება რეფერენტს საწყისი ტექსტიდან ამოკრიფოს, გამოყოს მნიშვნელოვანი ცნებები, ფაქტები თუ სხვა მონაცემები, რაც მეორეულ დოკუმენტში ამოსავალი დოკუმენტის ძირითადი ინფორმაციის წარმოდგენის გარანტიაა (გოიხმანი 1999: 108)

აბსტრაქტების პროცესის სწორად განხორციელება არც ისე მარტივი საქმეა რასაც პირველად დოკუმენტში მოცემული ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაირსახეობა განაპირობებს. ლინგვისტიკაში განასხვავებენ ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ისეთ სახეებს, როგორცაა: ჭარბი ინფორმაცია, დამატებითი ინფორმაცია, მეორეხარისხოვანი ინფორმაცია, განმეორებადი ინფორმაცია და პერიფერიული ინფორმაცია, რომელსაც ტექსტის ძირითად ინფორმაციასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ტექსტში ასევე გვხვდება ე.წ. გაუგებარი ინფორმაცია, როგორცაა მაგალითად: ცხრილები, დიაგრამები და სხვ.;

გავეცნოთ ზემოთ მოცემული ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გარკვეულ სახეობას ტექსტში „თიხის ფირფიტაზე ევროპაში უძველესი ტექსტი აღმოაჩინეს“ მოცემული ინფორმაციის აბსტრაქტების საშუალებით:

ტექსტი N 8 300 წლის თიხის ფირფიტა

3000 წლის წინანდელი თიხის ფირფიტა აღმოაჩინეს იკლენას ბორცვზე, ათენის სამხრეთ-დასავლეთით. მასზე მოცემულია ევროპაში უძველესი და გაშიფვრადი ტექსტი. მიქაელ კოსმოპულოსი, მისურის უნივერსიტეტის პედაგოგი, ხელმძღვანელობს გათხრების იმ ოპერაციას, რომელმაც ამ აღმოჩენამდე მიგვიყვანა. მან AFP-ს -საფრანგეთის პრესის სააგენტოს- დაუდასტურა, რომ ათენის სამხრეთ-დასავლეთით 300 კიომეტრში საოცარი აღმოჩენა გამოვლინდა.

პატარა თიხის ფირფიტა გათხრების დროს აღმოჩენილ ყველა საგანზე ერთი საუკუნით ძველია. პროფესორი აცხადებს: „საქმე ეხება საბერძნეთში, თავისთავად, ევროპაში აღმოჩენილ უძველეს ფირფიტას“. არქეოლოგები ვარაუდობენ რომ ეს არის ჩვ.წ.ალ-მდე 1450-1350 წლებში შექმნილი დოკუმენტი.

National Geographic-ის განმარტებით, აღნიშნული წარწერა მიკენელების მიერ არის გაკეთებული ბრინჯაოს ხანაში. გამოყენებული დამწერლობის ტიპი წარმოადგენს “ხაზოვან B., სისტემას, რომელსაც 87 სიმბოლო გააჩნია და თითოეული შეესაბამება მარცვალს. ეს დამწერლობა გამოიყენებოდა ეკონომიკური ტექსტებისათვის. „ფირფიტის ერთ მხარეს ციფრებია, მეორეზე კი-ზმნა, რომელიც მიესადაგება ზმნას „მომზადება“- აზუსტებს მიქაელ კოსმოპულოსი.

ამ ტიპის დოკუმენტი, ძირითადად, ერთი საბიუჯეტო წლისათვის მზადდებოდა, და არ იყო შესაძლებელი განკუთვნილი. ფირფიტები არც ქურაში იწვებოდა და არც მზეზე შრებოდა, ამიტომ ისინი ძალიან ფაქიზი და მსხვრევადი იყო. თუ ამ არტეფაქტმა შეძლო წლების გადალახვა, ამის მიზეზი ცეცხლი თუ ხანძარი უნდა ყოფილიყო, რომლის წყალობითაც იგი გამოიწვა და გამყარდა. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ იმ ეპოქაში ვიღაცამ ეს ფირფიტა ნაგვის საწვავ ორმოში გადააგდო.

(ელექტრ. ერონული სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ლინკი: www.sciencelib.ge/node/1536).

მოცემული ტექსტის ნაწილი- მიქაელ კოსმოპულოსი, მისურის უნივერსიტეტის პედაგოგი, ხელმძღვანელობს გათხრების იმ ოპერაციას, რომელმაც ამ აღმოჩენამდე მიგვიყვანა. მან AFP-ს -საფრანგეთის პრესის სააგენტოს- დაუდასტურა, რომ ათენის სამხრეთ-დასავლეთით 300 კილომეტრში საოცარი აღმოჩენა გამოვლინდა- მეორეხარისხოვან ინფორმაციას წარმოადგენს, რომელიც აბსტრაქტების პროცესში გამოეყოფა მთავარ, მნიშვნელოვან ინფორმაციას.

წინადადება-პატარა თიხის ფირფიტა გათხრების დროს აღმოჩენილ ყველა საგანზე ერთი საუკუნით ძველია-დამატებით ინფორმაციას გვაძლევს. შესაბამისად აბსტრაქტების დროს ეს წინადადება არ განიხილება როგორც წინადადება, რომელიც მეორეულ დოკუმენტში უნდა მოხვდეს, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნული წინადადება შერჩეული იქნება რეფერენტის მიერ გარკვეული ტიპის რეფერატების შედგენისას.

წინადადება-გამოყენებული დამწერლობის ტიპი წარმოადგენს “ხაზოვან B., სისტემას, რომელსაც 87 სიმბოლო გააჩნია და თითოეული შეესაბამება მარცვალს-ნაწილობრივ გაუგებარი წინადადებაა, რომელიც არ გადავა პირველადი დოკუმენტიდან მეორეულ დოკუმენტში.

წინადადება-თუ ამ არტეფაქტმა შეძლო წლების გადალახვა, ამის მიზეზი ცეცხლი თუ ხანძარი უნდა ყოფილიყო, რომლის წყალობითაც იგი გამოიწვა და გამყარდა. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ იმ ეპოქაში ვიღაცამ ეს ფირფიტა ნაგვის საწვავ ორმოში გადააგდო-პერიფერიულ ინფორმაციას მოიცავს, რომელიც ასევე არ იქნება მოცემული რეფერატში.

თითოეული ის მონაკვეთი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ და მივაკუთვნეთ ამა თუ იმ სახის, მეორეული დოკუმენტისთვის, ნაკლებად მნიშვნელოვან ინფორმაციას

აბსტრაქტების დროს გაიმიჯნება მნიშვნელოვანი ინფორმაციისაგან, რომელიც ტექსტის დანარჩენ ნაწილში მოცემული სიტყვებისა და წინადადებების საშუალებით არის გადმოცემული.

ისეთი ინფორმაცია, როგორცაა მაგალითები, სავარჯიშოები და ფორმულები, რაც ხშირია სამეცნიერო დოკუმენტებისთვის, უმეტეს შემთხვევაში არ ფიგურირებს მეორეულ დოკუმენტებში, თუმცა თუ მათი მოყვანა აუცილებელია ძირითადი ინფორმაციის მკითხველისთვის გასაგებად მიწოდების და სამეცნიერო კვლევის დასკვნების ილუსტრირებისთვის, ასეთ შემთხვევაში მაგალითები თუ სავარჯიშოები მეორად დოკუმენტში შესაბამისი კლიშეებით გადადის (გოიხმანი 1999: 109).

დიდი მოცულობის სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადი/მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების ერთერთი ეფექტური საშუალება ორიგინალ დოკუმენტში დასკვნების მოძებნაა. ასეთ შემთხვევაში აბსტრაქტების მეთოდურ მარტივად შეიძლება განხორციელდეს.

ხშირად ორიგინალი ტექსტის შინაარსის ანალიზის პროცესის გაიოლების მიზნით რეფერენტი ტექსტზე მუშაობას იწყებს აბზაცების დანომვრით. ეს ნიშნავს იმას, რომ რეფერენტი ორიგინალი ტექსტის გაცნობის შემდგომ თვითონ ნომრავს აბზაცებს ტექსტში ძირითადი ინფორმაციის ლოკაციის მიხედვით, რასაც შედეგად შეიძლება მოყვას ის, რომ რეფერირებისთვის განკუთვნილი ტექსტის ორიგინალი აბზაცები არ დაემთხვეს რეფერენტის მიერ შექმნილ აბზაცებს. ტექსტის აბზაცებად დაყოფა მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც შინაარსის აღქმის, ისე აბსტრაქტების პროცესის გამარტივების თვალსაზრისით. რეფერატის შედგენისას დიდი ყურადღება ექცევა ტექსტის აბზაცებად დაყოფას იმდენად, რამდენადაც ის ყველაზე ინფორმაციული ნაწილია და შეიცავს ე.წ. საყრდენ-აზრობრივ ფრაგმენტებს, რომლებიც თავის მხრივ, ძირითადი ინფორმაციის მატარებელია.

პირველადი ტექსტის ინფორმაციაში ძირითადი და მეორეხარისხოვანი მონაცემების ერთმანეთისაგან გამიჯვნის კიდევ ერთ მეთოდს მარკირება წარმოადგენს. ტექსტში მნიშვნელოვანი ელემენტების მარკირება ნიშნავს რეფერენტის მიერ საკვანძო/ძირითადი სიტყვების, სიტყვათშეთანხმებებისა თუ წინადადებების გახაზვას. არამთავარი წინადადებები კი ჩვეულებრივ უგულვებელყოფილია.

მთავარი სიტყვებისა თუ წინადადებების გახაზვას მათი ცალკე დაჯგუფება მოყვება. დაჯგუფების პროცესი ორი ეტაპისგან შედგება: პირველ ეტაპზე რეფერენტი გახაზულ წინადადებებს ცალკე მექანიკურად, მათ შორის ლოგიკური ბმულობის გარეშე

აჯგუფებს, ხოლო მეორე ეტაპზე ახდენს ამ წინადადებების ლოგიკური თანმიმდევრობით გაერთიანებას ბმული, დასრულებული ტექსტის მისაღებად.

მარკირების მეთოდის ილუსტრირებისთვის ავიღოთ სამეცნიერო სტატია „ინტერსემიოტიკური თარგმანი -რეკლამის გზავნილის გაგების წინაპირობა“. ამოსავალი ტექსტის ამონარიდში გახაზული წინადადებები ის პირველხარისხოვანი წინადადებებია, რომლებიც გამიჯნულია მეორეხარისხოვანი წინადადებებისაგან და რომლებიც შემდგომ, ჯერ მექანიკურ და მეორე ეტაპზე, ლოგიკურ გაერთიანებას უნდა დაექვემდებაროს.

ტექსტი N 9 „ინტერსემიოტიკური თარგმანი -რეკლამის გზავნილის გაგების წინაპირობა“.

სემიოტიკა ყოველთვის წარმოადგენდა კაცობრიობის არსებობის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საუკუნეებთან ერთად როგორც ადამიანის ცხოვრების, ისე არაერთი მეცნიერების დარგის მზარდად ინტეგრირებული ნაწილი ხდება. სამყაროს არსის წვდომის მცდელობას ნიშანთა სისტემის გარკვეულ წყობამდე მიყვავართ, რომლის დეკოდირება გარკვეული საიდუმლოების ამოხსნის საშუალებას იძლევა.

მეცნიერების დარგებთან ურთიერთკავშირის კონტექსტში უნდა აღინიშნოს სემიოტიკის განსაკუთრებული სიახლოვე მეცნიერების ისეთ დარგებთან, როგორცაა ლინგვისტიკა, თარგმანის თეორია და ინტერკულტურული ურთიერთობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სემიოტიკა მჭიდრო კავშირშია ისეთ სფეროებთან, სადაც დომინირებს ენის, როგორც კომუნიკაციის საშუალების და კულტურის როლი და მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი განპირობებულია ენის სპეციფიკური თვისებით, რომელიც კომუნიკაციის დამყარებაში მდგომარეობს და იმ ვიზუალური და ვერბალური სისტემების კავშირით, რის ფუნქციასაც სწორედ კომუნიკაცია წარმოადგენს.

წარმატებული კომუნიკაციის განხორციელება არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებულია, რომელთაგან აქცენტს, ჩვენს ნაშრომში, ვერბალურ და არავერბალურ ნიშანთა სისტემაზე გავაკეთებთ იმდენად, რამდენადაც მათ თანაბარი წვლილი მიუძღვით ადეკვატურ და ეფექტურ კომუნიკაციაში.

ვერბალური და არავერბალური ნიშანთა სისტემების ერთობლიობა უზრუნველყოფს გზავნილის შესაბამისად და სწრაფად აღქმას ინფორმაციის მიმღები მიერ, ისე რომ ამ უკანასკნელის რეაგირება მიღებულ ინფორმაციაზე იქნება ინფორმაციის გამგზავნის მიზანთან თანხვედრაში.

ძალზედ საინტერესოა ნიშანთა სისტემის ვერბალურ და არავერბალურ გამოვლინებათა ერთობლივი კომბინაციით შედგენილი ტექსტის სწორად და ადეკვატურად გაგების თავისებურებების კვლევა ინტერკულტურულ კონტექსტში, სადაც კონკრეტულ რეალობაში არსებული ნიშანთა სისტემის მნიშვნელობა შესაძლოა ან არასწორად იქნეს ინტერპრეტირებული, ან საერთოდ ყურადღების მიღმა დარჩეს. ამის მიზეზი სხვადასხვა ენის მატარებელი ადამიანების მიერ ნიშანთა სისტემის განსხვავებულად აღქმაში მდგომარეობს, რაც თავის მხრივ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიერ სხვადასხვა კულტურული ღირებულებების და ფასეულობების აღიარებით აიხსნება.

არსებული სხვაობა ცხოვრების წესში, ტრადიციებში, ქცევის ნორმებსა და ერის კულტურული ცხოვრების სხვადასხვა გამოვლინებებში, განსაკუთრებულად დელიკატურ მიდგომას საჭიროებს ინტერკულტურულ გარემოში კომუნიკაციის დროს, როდესაც გასაკუთრებით შესამჩნევი ხდება თარგმანის თეორიის მნიშვნელოვანი ასპექტების სემიოტიკასთან შერწყმა და როდესაც მთარგმნელს წმინდა ლინგვისტური სირთულეების დაძლევის გარდა ისეთი ბარიერის გადალახვა სჭირდება, რასაც თარგმანმცოდნეობაში ეთნიკური ბარიერი ქვია. სწორედ ასეთ დროს დიდ მნიშვნელობას თარგმანის პროცესში არალინგვისტური ნიშნების ჩართულობა იძენს, როდესაც არალინგვისტური ნიშნები მთარგმნელს ორიგინალ ტექსტში ლინგვისტურად ასახული შინაარსის სწორად გადმოცემის საშუალებას აძლევს, როდესაც აუცილებელია ნიშანთა არავერბალური სისტემების სწორად გამოყენება კომუნიკაციისას მიზნის მიღწევის მიზნით.

კულტურულ განსხვავებებზე საუბრისას განსაკუთრებით საინტერესოა კულტურული სხვაობის ისეთი გამოვლინება, როგორცაა ფერების აღქმის თავისებურება.

სამყაროს ფერთა გამა სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანების მიერ. გარდა ვიზუალური ზემოქმედებისა, თითოეულ ფერს გარკვეული აზრობრივი დატვირთვა აქვს და შეიცავს სხვადასხვა გზავნილს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა ცნობიერებაში. ფერის აღქმის თავისებურება ხშირად უკავშირდება მაგალითად ქვეყნის ისტორიას. ისტორიული წარსულით აიხსნება ხოლმე ქვეყნის დროშაზე გარკვეული ფერების შერჩევა. ფერის მიმართ ადამიანის დამოკიდებულება ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გეოგრაფიულ არეალში ცხოვრობს ადამიანი...

აღნიშნული განსხვავება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეკლამების თარგმნის დროს, მაშინ, როდესაც ვერბალური კოდით გადმოცემული შინაარსი და ემოცია

არავერბალური ნიშნებით გამოხატულ ემოციას და შინაარსს უნდა ემთხვეოდეს.

რეკლამა ტექსტია. კომუნიკაციის ძირითადი ერთეული ტექსტია. ტექსტის ტიპის დადგენა ხდება მასში გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების ტიპისა და რაოდენობის მიხედვით. ამ თვალსაზრისით რეკლამა ტექსტია, რომელიც კომუნიკაციის დამყარების არაერთ საშუალებას იყენებს, სადაც ინფორმაციის სწორად აღქმისთვის არამხოლოდ ენობრივი, არამედ გრაფიკულ-სიმბოლური ნიშნების, ხმის... ჩართვა ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ რეკლამა კრეოლიზებული ტექსტი, სადაც აზრის გადმოცემის სხვადასხვა საშუალებების ურთიერთგადაკვეთა ხდება.

რეკლამის ზემოთ აღნიშნულმა თავისებურებებმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება ფერის აღქმის თავისებურებით სხვადასხვა პროდუქციის რეკლამებში და ფერის შენარჩუნება/შეცვლის აუცილებლობით პროდუქციის რეკლამირებისას სხვადასხვა კულტურის მატარებელ სოციუმში.

ნებისმიერი პროდუქციის კონკრეტული ერისთვის რეკლამირების დროს ფერის სწორად შერჩევამ შეიძლება ვერბალურად გადმოცემულ მხარეს ეფექტი შეუწარმუნოს. თუმცა ფერის არასწორი შერჩევა შეიძლება ლინგვისტურად მიღწეული შედეგის დამსხვრევის მიზეზი გახდეს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელი ხდება თუ რატომ ხდება ერთიდაიგივე პროდუქტის სხვადასხვაგვარად წარმოდგენა სხვადასხვა ენაზე რეკლამირებისას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი პროდუქცია, წარმოებული ერთ კონკრეტულ ქვეყანაში სხვადასხვაგვარად შუქდება სხვადასხვა კულტურის მატარებელი სამიზნე აუდიტორიისთვის. სწორედ ამიტომაც, მაგალითად, კოკა კოლის ბოთლის ფერები და თვით ბოთლში არსებული სითხის ფერიც იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში ხდება მისი რეკლამირება. განსაკუთრებულად განსხვავებული მიდგომა, კოკა კოლას ბოთლის ფერების შერჩევის დროს, მოცემული პროდუქციის ჩინეთში რეკლამირებისას შეიმჩნევა. უმეტეს შემთხვევაში კოკა კოლას მინის ბოთლი მთლიანად წითელი ფერისაა და ფონადაც წითელი ფერია შერჩეულია. ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ წითელ ფერს დადებითი დატვირთვა აქვს ჩინურ კულტურაში ნიშნავს რა ის ბედნიერებას და წარმატებას ჩინელი ხალხისთვის. უფრო მეტიც, თუ ევროპის ქვეყანათა დიდ ნაწილში თეთრი ფერი იწვევს დადებით ემოციებს ასოცირდება რა ის ნათელთან, ხალისთან, ბედნიერებასთან და შესაბამისად პატარძლები ამ ქვეყნებში თეთრ კაბაში იმოსებიან, ჩინეთში, განსხვავებით ამ ქვეყნებისგან, პატარძლებს წითელი ფერის კაბა აცვიათ იმდენად, რამდენადაც სწორედ წითელი ფერი წარმოადგენს ბედნიერებისა და წარმატების სიმბოლოს ჩინურ კულტურაში. აქედან გამომდინარე ჩინეთში რეკლამების

უდიდეს ნაწილში წითელი ფერის სიჭარბე განსაკუთრებით თვალშისაცემია, რის ნათელ მაგალითსაც ზემოთაღნიშნული კოკა კოლას ბოთლის რეკლამა წარმოადგენს.

იგივე კოკა კოლას რეკლამაში, რომელიც იაპონიაში შუქდება განსაკუთრებით თვალშისაცემია მწვანე ფერი. პეპსი მთლიანად მწვანე ფერებშია წარმოდგენილი, ხოლო კოლა კოლას იარლიყი მწვანე ფერებითაა გაფორმებული.

მეტად საინტერესოა ყვითელი ფერის დატვირთვა რეკლამებში. განსაკუთრებით დადებითი დატვირთვა აქვს მას გერმანულ და ფრანგულ კულტურებში, სადაც ყვითელი ბედნიერებას, კარგ გემოვნებას ნიშნავს. აქედან გამომდინარე გერმანული და ფრანგული რეკლამების უმეტეს ნაწილში ყვითელი ფერი სჭარბობს. შესაბამისად მაკდონალდსის რეკლამაც ფრანგული სოციუმისთვის მაქსიმალურად ყვითელ ფერებშია შესრულებული. ასევე საინტერესოა კოკა კოლის რეკლამა ფრანგულ კულტურაში, სადაც კოკა კოლას წითელი ბოთლი ყვითელი ფერის ფონზეა წარმოდგენილი.

იგივე ყვითელი ფერის სიჭარბე თვალშისაცემია ჩინურ რეკლამებში, რაც მოცემული ერის აღნიშნული ფერისადმი განსაკუთრებული უპირატესობით გამოირჩევა და ის კარგ გემოვნებას და სიამოვნების მიღებას ნიშნავს. ჩინეთში ყვითელი ფერი ასევე ენერჯისა და ძალაუფლებას ნიშნავს, რითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ჩინური კომპანიების მუშა პერსონალის უნიფორმა ყვითელი ფერისაა, რამდენიმე კომპანიის თანამშრომელთა ჩაცმულობა კი ყვითელი პერანგებით და წითელი ხელსაბამებით კარგად ასახავს ამ ორი ფერისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ჩინურ კულტურაში.

ცნობილი მაკდონალდსის ლოგოზე ინგლისური ასო „M“ ყვითელი ფერითაა შესრულებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყვითელი ფერი ასახავს თუ არა რამე განსაკუთრებულ გრძნობას თუ დამოკიდებულებას ამ ფერისადმი არ ვიცით, თუმცა ჩვენთვის ცნობილია ის რომ აღნიშნული ლოგო ოქროს თაღს ნიშნავს და შესაბამისად ყვითელი ფერისაა.

ფერებისადმი განსხვავებული მიდგომა ასევე კარგად ჩანს მაკდონალდსის კერძების რეკლამებშიც. მაგალითად, მაკდონალდსის ყველაზე ცნობადი ბურგერის შიგთავსი რეკლამებში განსხვავებულად და თავისებურადაა წარმოდგენილი ქვეყნების მიხედვით. ამ კონტექსტში საინტერესოა გერმანელების დამოკიდებულება ყვითელი ფერისადმი. გერმანული ბურგერის შიგთავსი ყვითელია და განსხვავებულია ჩინური, იაპონური თუ ინდური ბურგერისაგან.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ხშირად ფერის მნიშვნელობა კონკრეტულ კულტურაში მისი ისტორიით არის განპირობებული რაც კარგად აისახება ქვეყნის დროშის ფერებშიც. ამ მხრივ საინტერესოა ამერიკული კულტურა და ლურჯი ფერის დადებითი დატვირთვა მასში, რაც თვალნათლივ ჩანს დროშის ფერებშიც.

ისევე როგორც დროშაზე, ლურჯი ფერი ასევე ჭარბობს ამერიკული რეკლამებიც დიდ ნაწილში, სადაც პროდუქტის სხვა ფერებში წარმოდგენის შემთხვევაშიც კი ფონად ლურჯი ფერია შერჩეული.

მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი ფერი ბევრი ქვეყნის კულტურაში დადებით ფერად არის მიჩნეული და შესაბამისად რეკლამებშიც თვალშისაცემია ლურჯი ფერის გამოყენება, შვედეთი არც ისე მეგობრულადაა განწყობილი ამ ფერის მიმართ და რეკლამებშიც ნაკლებად შეხვდებით მას. ეს შესაძლოა ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას და კლიმატს უკავშირდებოდეს. აღნიშნული ფერი სიცივეს, ყინვასთან ასოცირდება და შესაბამისად ნაკლებად იყენებენ მას დადებითი მესიჯის გადმოცემისას.

ყოველივე ზემოთ მოცემულიდან ნათლად ჩანს თუ რა დიდი დატვირთვა აქვს არავერბალური ნიშნების, და კონკრეტულ შემთხვევაში ფერის სწორად შერჩევას ისეთ კომუნიკაციაში, როდესაც ინფორმაციის გამგზავნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იცოდეს კონკრეტული ნიშნის თუ სიმბოლოს მიღმა რა გრძნობა და ემოცია იმალება კონკრეტული კულტურის მატარებელი სოციუმისთვის. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს წარმატებული, ეფექტური კომუნიკაცია, ადრესატმა დელიკატურად უნდა მოახდინოს ვერბალური და არავერბალური ნიშნებით გამოხატული შინაარსის შერწყმა ისე, რომ მაქსიმალური თანხვედრა განაპირობებდეს.

(მაზმიშვილი ნ. ინტერსემიოტიკური თარგმანი-რეკლამის გზავნილის გაგების წინაპირობა; სემიოტიკის სამეცნიერო კონფერენციის მასალები; ბათუმი 2017)

მოცემულ კვლევაში გახაზული წინადადებები მარკირების მეთოდის შედეგად შერჩეული წინადადებებია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მარკირების შედეგად გახაზული წინადადებები შესაძლოა შეიცვალოს მკითხველის მიზნის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ მკითხველს აინტერესებს კონკრეტული ქვეყნის კონკრეტული ფერისადმი დამოკიდებულება, მარკირების მეთოდით შეირჩევა ის წინადადებები, რომლებიც ჩვენს მიერაა გახაზული მარკირების მეთოდის ილუსტრირებისთვის მოცემულ ტექსტში. ხოლო თუ მკითხველს უბრალოდ აინტერესებს თუ რაზეა საუბარი კვლევაში „**ინტერსემიოტიკური თარგმანი-რეკლამის გზავნილის გაგების წინაპირობა**“, მარკირების შედეგად გაიხაზება შემდეგი წინადადებები:

რეკლამა ტექსტია, რომელიც კომუნიკაციის დამყარების არაერთ საშუალებას იყენებს, სადაც ინფორმაციის სწორად აღქმისთვის არამხოლოდ ენობრივი, არამედ გრაფიკულ-სიმბოლური ნიშნების, ხმის... ჩართვა ხდება.

რეკლამის ზემოთ აღნიშნულმა თავისებურებებმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება ფერის აღქმის თავისებურებით სხვადასხვა პროდუქციის რეკლამებში და ფერის შენარჩუნება/შეცვლის აუცილებლობით პროდუქციის რეკლამირებისას სხვადასხვა კულტურის მატარებელ სოციუმში.

ნებისმიერი პროდუქციის კონკრეტული ერისთვის რეკლამირების დროს ფერის სწორად შერჩევამ შეიძლება ვერბალურად გადმოცემულ მხარეს ეფექტი შეუწარმოს. თუმცა ფერის არასწორი შერჩევა შეიძლება ლინგვისტურად მიღწეული შედეგის დამსხვრევის მიზეზი გახდეს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს წარმატებული, ეფექტური კომუნიკაცია, ადრესატმა დელიკატურად უნდა მოახდინოს ვერბალური და არავერბალური ნიშნებით გამოხატული შინაარსის შერწყმა ისე, რომ მაქსიმალური თანხვედრა განაპირობებდეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მარკირების მეთოდი ორი ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე ხდება შერჩეული წინადადებების მექანიკური დაჯგუფება, რისი ილუსტრირებაც ჩვენ ზემოთ უკვე განვახორციელეთ.

მარკირების მეორე ეტაპზე რეფერენტის მიერ შერჩეული, ცალკე დაჯგუფებული წინადადებები ლოგიკურად უნდა გაერთიანდეს. ამ მიზნით რეფერენტი იყენებს შესაბამის მაკავშირებელ სიტყვებს და რეფერირების პროცესის თანმხლებ, ტექსტის შემჭიდროვება-შეკუმშვის სხვა მეთოდებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მეორადი ტექსტის მარტივად, გასაგებად და უწყვეტად აღქმა. აღნიშნულ ეტაპს სხვაგვარად შეიძლება შერჩეული, გახაზული წინადადებების სინთეზი ვუწოდოთ, რაზედაც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

პირველად ტექსტში ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გამიჯვნის კიდევ ერთ ხერხს გადახაზვის ხერხი ქვია. გადახაზვა მარკირების საპირისპირო მოვლენაა და გულიხმობს ტექსტში მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გადახაზვას და ძირითადი ინფორმაციის დატოვებას. იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი მოცულობითი ტექსტი, განსაკუთრებით სამეცნიერო, დიდი რაოდენობით მეორეხარისხოვან ინფორმაციას შეიცავს, გადახაზვის მეთოდის განხორციელება არც ისე პრაქტიკულია, თუმცა აღნიშნული მეთოდი კარგად მუშაობას მცირე ტანის ტექსტებთან მუშაობისას.

გადახაზვის მეთოდის განხორციელების შედეგად ტექსტში რჩება ისეთი ელემენტები,

რომლებიც არსებით ინფორმაციას შეიცავენ. ეს ელემენტები შემდგომ აზრობრივად ჯგუფდება და ბოლო ეტაპზე ენობრივად მუშავდება, ისე რომ უზრუნველყოფილი იყოს მიღებული მეორეული ტექსტის-რეფერატის, სემანტიკური და ჟანრობრივ-სტილისტური თვალსაზრისით, პირველად დოკუმენტთან ადეკვატურობა.

გადახაზვის მეთოდის თვალსაჩინოებისათვის მოვახდინოთ ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა სამეცნიერო სტატიაში „**იმიჯ-მეტაფორები ინგლისურ და ქართულ პოლიტიკაში და მათი თარგმანის თავისებურებები**“ მოცემული ინფორმაციის ანალიზის მაგალითზე. მოცემულ სტატიაში გადახაზულია სწორედ ის ელემენტები, რომლებიც რეფერენტმა მეორეხარისხოვან ელემენტებად მიიჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნიმუშში, გადახაზვის მეთოდის განხორციელება ხდება იმ კონკრეტული ამოცანის ფარგლებში, როდესაც მკითხველის მიზანი ორიგინალი ტექსტის ძირითადი ინფორმაციის შესახებ წარმოდგენის შექმნაა.

ტექსტი N 10 „იმიჯ-მეტაფორები ინგლისურ და ქართულ პოლიტიკაში და მათი თარგმანის თავისებურებები“

~~უმრავლესობა თვლის რომ მეტაფორა მხოლოდ მხატვრული წარმოსახვის ხერხია, რასაც მხოლოდ პოეტები, ხელოვანნი იყენებენ. ჩვეულებრივ მოკვდავთა ცხოვრება კი მეტაფორების გარეშეც ადვილად შესაძლებელია. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მეტაფორა კაცობრიობის ყოფიერების, ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მეტაფორა ის კოგნიტური მექანიზმია, რომელიც ჩვენი კონცეპტუალური აზროვნების სისტემის საფუძველს წარმოადგენს. ეს კოგნიტური მექანიზმი დიდ როლს თამაშობდა და დღესაც თამაშობს მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოადგენს რა, აღნიშნული მხატვრული წარმოსახვის ხერხი, გავლენის მოხდენის მნიშვნელოვან მექანიზმს. პოლიტიკური ფიგურების წარმატება მათ რიტორიკულ ნიჟთან ასოცირდება. რიტორიკის ერთერთი ყველაზე ფუნდამენტალური შემადგენელი მაწილი კი მიმზიდველი მეტაფორების სწორად და ეფექტურად გამოყენებაა (ლაკოფი, ჯონსონი 1980: 3).~~

ჩვენი კვლევის მიზანს ინგლისური და ქართული პოლიტიკური ცხოვრების მეტაფორული გამოხატულებების თავისებურებათა გამოვლენა წარმოადგენს. ჩვენი ~~მიზანია~~ შევისწავლოთ ~~უნივერსალური და მხოლოდ კონკრეტული ენისთვის (ქართული ან ინგლისური) დამახასიათებელი მეტაფორები, რასაც ქართველი და ინგლისურენოვანი პოლიტიკოსები იყენებენ თავიანთ საჯარო გამოსვლებში.~~ კვლევა ფოკუსირებულია იმიჯ-მეტაფორების ლინგვისტური აგებულების თავისებურებებზე ინგლისურ და ქართულ ენაზე მოლაპარაკე პოლიტიკოსების რიტორიკაში და აღნიშნული მეტაფორების მეორე ენაზე ადეკვატურად გადმოცემის ხერხებზე. ~~კვლევა ორიენტირებულია მთარგმნელობითი~~

კუთხით პრაქტიკულად მნიშვნელოვანი მიგნებების ძიებაზე, რაც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციისპირობებში.

„მეტაფორა იმდენად ჩვეულებრივი საშუალებაა, რომ ჩვენ მას გაუთვინცობიერებლად და ავტომატურად ვიყენებთ, იმდენად მცირეოდენი ძალისხმევით, რომ თითქმის ვერც კი ვამჩნევთ ამას. მეტაფორა ყველაგანაა: მეტაფორითაა გაქვნილი ჩვენი აზრები, მიუხედავად იმისა თუ რაზე ვფიქრობთ. ის მისაწვდომია ყველასათვის: როგორც ბავშვები, ჩვენ ავტომატურად, ბუნებრივად ვეუფლებით ყოველდღიური მეტაფორის გამოყენების ხელოვნებას...“ (ლაკოფი, თურნერი 1989: 1).

მეტაფორა იმდენად ბუნებრივადაა შესისხლხორციელებული ჩვენს ყოველდღიურ ყოფასთან, რომ ვერც კი ვამჩნევთ თუ როდის ვიყენებთ მას. ლაკოფს მსგავსი შემთხვევის ილუსტრირებისთვის მოყავს მეტაფორის, სიკვდილზე საუბრისას, გამოყენების მაგალითი: ინგლისურ ენაზე გარდაცვალებაზე საუბრისას ხშირად გამოიყენება ისეთი ეფემიზმები, როგორიცაა: *He's gone, He's left us, He's been taken from us, He's gone to the great beyond*... (ლაკოფი, თურნერი 1989:1).

ქართულ კულტურაში გარდაცვალების შესახებ საუბრისას შემდეგ გამოთქმებს ვიყენებთ: *იმქვეყნად წავიდა, დაგვტოვა, ჩაიღურის წყალი დაღია, სული დაღია... ყველა ეს გამოთქმა მეტაფორულია და სიკვდილის, დაბადებისა თუ სიცოცხლის ჩვენეულ აღქმას ასახავს.*

ქართულ კულტურაში ადამიანის სტერეოტიპის დახასიათებისას ისეთი ფრაზის გამოყენება, როგორიცაა, *ნამდვილი მგელია*, ასევე მეტაფორული გამოთქმა და ადამიანის გარკვეულ დადებით თვისებებზე, ფიზიკური ძალის ქონაზე მიუთითებს.

როგორც ვხედავთ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მეტად დატვირთულია მეტაფორებით, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ადამიანებს შორის ურთიერთობების ეფექტურად წარმართვაში წარმოადგენენ რა ისინი ზემოქმედების მოხდენის მეტად მნიშვნელოვან საშუალებას.

სწორედ ის ფაქტი რომ მეტაფორა ზემოქმედების მოხდენის ეფექტური საშუალებაა, წარმოადგენს პოლიტიკოსების მიერ მეტაფორათა ხშირად გამოყენების საფუძველს იმდენად, რადენადაც სწორედ ენა წარმოადგენს საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვების ყველაზე ძლიერ იარაღს და ენა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანების მეტაფორული აზროვნების ვერბალური გამოხატულებაა. აქედან გამომდინარე, ენას შეიძლება ვუწოდოთ პოლიტიკოსების მიზნების მიღწევის საშუალება.

~~პოლიტიკოსები ხშირად გადატანითი მნიშვნელობებით საუბრობენ, იყენებენ — რა კომუნიკაციის ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა სიტყვათა თამაში, — მიახლოებითი ციფრების მოყვანა, ისტორიული პირების დასახელება, ციტატების მოყვანა სხვადასხვა წყაროდან — და სხვ. ერთერთ მსგავს კომუნიკაციის სტრატეგიას მსოფლიო პოლიტიკოსებისთვის, მეტნაკლები სხვაობებით კონკრეტული პოლიტიკური ცხოვრების კულტურულ ისტორიული ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, სწორედ მეტაფორა წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც მეტაფორა ნააზრევის არაპირდაპირი გზით გამოხატვას უზრუნველყოფს და ამ ბუნების გამო ძალზედ ფართოდ გამოყენებადია პოლიტიკურ კონტექსტებში.~~

~~პოლიტიკოსები ფაქტიურად საკუთარ თავს მალავენ, რითაც ისინი ცდილობენ რომელიმე კონკრეტული ვალდებულება არ აიღონ თავზე. პოლიტიკოსს შეუძლია გაილაშქროს მისი ოპონენტი პოლიტიკოსის წინააღმდეგ, ჩრდილი მიაყენოს მის სახელს და თავისი სახე უკეთ წარმოაჩინოს; ეფექტური კომუნიკაციის ხერხების გამოყენებით პოლიტიკოსებს შეუძლიათ მოახდინონ ხალხის გრძნობებზე და აზრებზე ზემოქმედება და შეუძლიათ დააჯერონ ადამიანები თავიანთი სიტყვების სიმართლეში. სწორედ ამ მიზნების მისაღწევად პოლიტიკოსები იყენებენ იმ პრაგმატულ უნარებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ამ მიზნების მიღწევა. რაც უფრო ხშირია და მრავალფეროვანი აღნიშნული პრაგმატული უნარები და კომუნიკაციის სტრატეგიები ამ პრაგმატული უნარების საშუალებით განხორციელებული, მით უფრო ეფექტურია პოლიტიკოსის გამოსვლა და შესაბამისად მით უფრო წარმატებულია ის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკოსის რიტორიკა მისი წარმატებულობის საწინდარია, რიტორიკა პრაგმატული უნარების სწორ დროს და სწორ ადგილას გამოყენებითაა განსაზღვრული.~~

~~ჩვენი ნაშრომის მიზანს ინგლისურ და ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მეტაფორების გამოყენების თავისებურებების შესწავლა წარმოადგენს. უნივერსალური და მხოლოდ ერთი კულტურისთვის დამახასიათებელი მეტაფორების კვლევა და მათი მეორე კულტურაში სწორად გადმოცემის ხერხებისა და შესაძლებლობების მიგნება მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკურ სივრცეში ადეკვატური ენათმეორისი კომუნიკაციის უზრუნველყოფისთვის.~~

მსოფლიო პოლიტიკის სფეროში გამოყენებული მეტაფორების დიდი ნაწილი ე.წ. იმიჯ-მეტაფორებია, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის ძირითადი ფოკუსია, იმდენად, რამდენადაც სწორედ იმიჯ-მეტაფორები წარმოადგენს მეტაფორების იმ ტიპს, რითაც პოლიტიკური გამოსვლები მეტად გაჟღენთილია და რაც წარმატებული რიტორიკის გასაღებია.

საინტერესოა იმიჯ მეტაფორების ლაკოფისეული გაგება, რომელიც თვლის, რომ იმიჯ მეტაფორა „ერთ ტრადიციული მენტალური იმიჯისგან ქმნის მეორე ტრადიციულ მენტალურ იმიჯს მათი შიდა სტრუქტურებიდან გამომდინარე“. მაგალითისთვის ლაკოფს მოყავს იმიჯ მეტაფორა, ანდრე ბრეტონის 91993/1984) ნაწარმოებიდან „Free Union“, რომელშიც ავტორი თავის მეუღლეზე საუბრისას ამბობს „My Wife... Whose Waist is an Hourglass“ (გვ. 183). ეს წინადადება ქართულად შედეგნაირად ჟღერს „ჩემი ცოლი... მისი წელი ქვიშის საათია“. მოცემული წინადადება სწორედ იმიჯ მეტაფორაა, რომელშიც ქვიშის საათის მენტალური იმიჯი ნაწარმოების ავტორის მეუღლის მენტალურ იმიჯში გადადის, რის მიხედვითაც ქვიშის საათის შედარებით ვიწრო ცენტრალური ნაწილი ფორმით ავტორის მეუღლის წელის მსგავსია (ლაკოფი 1987: 218).

იმიჯი, რომელსაც იმიჯ მეტაფორა იყენებს ტრადიციული იმიჯია, რომელსაც მეტად ფართოდ იყენებენ გაუთვინცობიერებლად და ავტომატურად წლების მანძილზე. მაგალითად, ჩვენ ყველას გაქვს ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრებული ქვიშის საათის იმიჯი, რომელსაც წარმოვიდგენთ ისე, რომ მისი ჩვენება ჩვენვის არც არის აუცილებელი (ლაკოფი 1987:220).

საინტერესოა ასევე ლაკოფის მიერ იმიჯ მეტაფორების სტრუქტურული აგებულების განსაზღვრა და მათი გამოყოფა კონცეპტუალური მეტაფორებისგან, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს არ გამოირჩევიან პირველისაგან, თუმცა მათ შორის განსხვავება რეალურად არსებობს და ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იმიჯ მეტაფორები კონცეპტუალურისგან განსხვავებით შეიცავენ ორ იმიჯს წყარო იმიჯი და სამიზნე იმიჯი, იმდენად რამდენადაც მეტაფორის არსი სწორედ ერთი იმიჯის მეორე იმიჯში გადაყვანაში მდგომარეობს (ლაკოფი 1987: 222).

იმიჯ მეტაფორების სტრუქტურული აგებულებიდან გამომდინარე ჩვენთვის ნათელი ხდება მათი გამოყენების სინშირის საფუძველი და აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის განმაპირობებელი პოლიტიკოსების გამოსვლებში. ადამიანების აზროვნებაში მოხინაღრე იმიჯების, ხატების მარაგების ცოდნის საფუძველზე, პოლიტიკოსები კარგად იყენებენ ასოციაციურ ჯაქვს, ერთი იმიჯის გამოყენებით მეორე იმიჯის გამოხატვას, რომ გაუადვილონ მსმენელებს წარმოსახვის უნარის ჩართვა და უფრო მძაფრად დაანახონ ის რაც თვითონ წარმატებულ რიტორიკოსებს სურთ რომ მათ დაინახონ.

ჩვენს მიერ შესწავლილი ქართველი პოლიტიკოსების გამოსვლებში კარგად ჩანს მეტაფორების გამოყენების სინშირე. ხშირია იმიჯ მეტაფორების გამოყენება, სადაც, წყარო და სამიზნე იმიჯის ურთიერთშეღწევაში კარგად ჩანს ის ისტორიული წარსული, გამოცდილება, კულტურული ფონი, რაც ქართველი ერისთვისაა დამახასიათებელი და

შესაბამისად ადვილად გასაგები. ამ მხრივ მეტად ხშირია ჩატენილი ხიდის იმიჯის გამოყენება ჩაშლილი/გაწყვეტილი ურთიერთობების იმიჯის აღსანიშნავად. შესაბამისად ჩატენილი ხიდისაღდგენა ურთიერთობების აღდგენის, წარსულის დაბრუნების მნიშვნელობით გამოიყენება. იმიჯი აუღებელი ციხესიმაგრე ძლიერი ქვეყნის, რეგიონის, ხალხის იმიჯის აღსანიშნავად გამოიყენება:

„... კოდორის ხეობა აუღებელი ციხესიმაგრეა...“

ხდება ასევე სახრჩობელას იმიჯის გამოყენება მტრის დამარცხების/განადგურების იმიჯის აღსანიშნავად. საინტერესოა ქვეყნის მეტად დამაბუნებულ მდგომარეობაში ყოფნის იმიჯის მუხლებზე დგომის იმიჯითადაც. იმიჯი საკუთარ ფესვებთან დაბრუნებაგამოიყენება სამშობლოში დაბრუნების მნიშვნელობით. ხბოს თვალების იმიჯიგამოიყენებულაა გამოუცდელი ადამიანის აღტაცებული მზერის იმიჯის შესაქმნელად; იმიჯები არწივი, ლომი ხშირად საკუთარი თავის სიმლიერეზე საუბრისას გამოიყენება, ხოლო ცხოველების ტურა, მელა, მგელი, გველი, ძერა იმიჯები ოპონენტების სუსტი მხარეების აღსანიშნავად. პოლიტიკოსების უმრავლესობა ხშირად იყენებს იმიჯს ვალდებულების გრძნობა საკუთარი თავის/ლიდერის იმიჯთან ურთიერთმიმართებაში, რაც კარგად ჩანს მაგალითში:

„...სათავეში დგას ვალდებულების გრძნობა“

ემპირიულ მასალაში ასევე გვხვდება იმიჯ მეტაფორა კომუნისტური პარტია მეტასტაზა...“. იმიჯი დამცველი ძალა, ხშირად საკუთარი პარტიის იმიჯის მნიშვნელობის გადმოცემის მიზნით გამოიყენება:

პოლიტიკის სამყაროში იმიჯ მეტაფორების ჩვენი კვლევის მნიშვნელოვან მიზანს აღნიშნული მეტაფორების მეორე ენაზე, ადეკვატურობის დაცვით, გადმოცემის შესაძლებლობებისა და მათი თარგმნისას ეფექტური/ოპტიმალური მთარგმელობითი მიდგომების შესწავლა წარმოადგენს.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ინგლისური და ქართულენოვანი პოლიტიკოსების რიტორიკის შესწავლით, ორ განსხვავებულ კულტურაში გამოყენებულ იმიჯ-მეტაფორებზე დაკვირვებით, პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული თანხვედრებისა თუ განსხვავებების განსაზღვრას და წყარო ენაში გამოყენებული იმიჯ-მეტაფორის სამიზნე ენაზე გასაგებად და ადეკვატურად გადმოცემის შესაძლებლობის დადგენას.

აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მეტაფორების თარგმანის თავისებურებები ქართული და ინგლისურენოვანი პოლიტიკური იმიჯ-მეტაფორების

თარგმანისთვის, — აუცილებელია ვნახოთ თუ რა იმიჯი მეტაფორებია გამოყენებული ინგლისურენოვანი პოლიტიკოსების გამოსვლებში და არის თუ არა რაიმე სახის ანალოგიები ორ კულტურაში, ორი ერის თვალთახედვასა და სამყაროს აღქმის თავისებურებებში იმდენად, რამდენადაც მსგავსი საერთო იმიჯის კონცეპტების არსებობა მთარგმნელის ამოცანას აადვილებს აძლევს რა მას საშუალებას წყარო ენაში გამოყენებული ერთეული სამიზნე ენაში არსებული ეკვივალენტი ერთეულით შეცვალოს. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი მაგალითი:

„From governments and peoples across the Middle East there has to be a common effort to extract this cancer, so that it does not spread...”

იმიჯი *cancer* (სიმსივნე) მოცემულ მაგალითში გამოყენებულია *მოწინააღმდეგე ძალის, მოძალადის* მნიშვნელობასთან ერთად. ამ მხრივ გვაქვს მსგავსება ქართულ და ინგლისურენოვან პოლიტიკურ სფეროში, გამოიყენება რა იმიჯი მეტაფორა *მეტასტაზა* ქართველიპოლიტიკოსებისმიერ ასევე *მოძალადის, სასტიკი ოპონენტის* მნიშვნელობით, რაც უკვე ვნახეთ ქართულ ენაზე მოპოვებულ ემპირიულ მასალაში. ხშირია ასევე სიტყვების *path* (ბილიკი), *journey* (მოგზაურობა) *ქვეყნის ისტორიული წარსულის ანმომავლის* იმიჯთან გამოყენების შემთხვევები, რაც ასევე დამახასიათებელი ქართველი პოლიტიკოსების სიტყვებისთვისაც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართულ ემპირიულ მასალაში ძირითადად გვხვდება სიტყვა *გზა*, ხოლო *მოგზაურობის იმიჯი (journey)* არ ფიგურირებს. საინტერესოა ასევე *rugged path* (სიტყვასიტყვით ნიშნავს *დაღარულ, დასერილ ბილიკს*), იმიჯის *მძიმე, რთული ისტორიული წარსულის მნიშვნელობასთან* გამოყენება, რასაც ქართულ სინამდვილეში, *მძიმე, ეკლიანი გზა* შეიძლება შეესაბამებოდეს. ცნება *policeman* (პოლიცია) გამოიყენება *ერის, ქვეყნის იმიჯთან* ერთად, რაც ჩანს შემდეგ მაგალითში:

„...We should not be the world’s policeman”.

იმიჯი *anchor of global security* (სიტყვასიტყვითი თარგმანი: *გლობალური უსაფრთხოების ლუჯა*), გამოყენებულია იმიჯ მეტაფორაში ამერიკის შეერთებული შტატების მენტალურ იმიჯთან მიმართებაში იმიჯი *ლუჯა* არ არის დამახასიათებელი ქართული პოლიტიკური სივრცისთვის.

„My fellow Americans, for nearly seven decades, the United States has been the anchor of global security.”

საკუთარი პოლიტიკის დადებითად წარმოჩენის მიზნით ხშირად ამერიკელი პოლიტიკოსები იყენებენ იმიჯ მეტაფორას, სადაც ცნება *policy* (პოლიტიკა) და *accommodation* (თავშესაფარი) ერთადაა გამოყენებული, ისე, რომ პირველი მეორეს იმიჯის

~~გადმოსაცემადაა გამოყენებული, იმაზე ხაზგასმით თუ რაოდენ ზრუნავს სიტყვით გამომსვლელი პოლიტიკოსის პოლიტიკური კურსი საზოგადოების კომფორტზე და თავშესაფარზე:~~

„They call their policy “accommodation”.

მაგალითში: *„They saw America bigger than the sum of our individual ambitions...”* (სიტყვათსიტყვითი თარგმანი: მათთვის ამერიკა ჩვენი ინდივიდუალური ამბიციების ჯამზე დიდია) *ქვეყნის, ამერიკის* იმიჯთან მიმართებაში გამოყენებულია საინტერესო მენტალური იმიჯი *ინდივიდუალური ამბიციების ჯამი*. მსგავსი კომბინაციის იმიჯ-მეტაფორა მხოლოდ ინგლისურენოვან ემპირიულ მასალაში გვხვდება.

~~როგორც ვხედავთ, ორ სხვადასხვა კულტურაში არსებობს, როგორც საერთო, ასევე სრულიად ინდივიდუალური, მხოლოდ ერთი ენისთვის დამახასიათებელი იმიჯ-მეტაფორები. შესაბამისად, უნივერსალური ცნებების არსებობის შემთხვევაში, ინტერკულტურულ კონტექსტში ურთიერთობისას სამიზნე აუდიტორიისთვის წყარო კონტექსტში მოცემული იმიჯ-მეტაფორის გადმოცემა შედარებით მარტივი იქნება, მაშინ, როდესაც უნიკალური კონცეპტების ტრანსფორმაცია გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება ორი ენის ენობრივ ფონდში საერთო კონცეპტის არ არსებობის გამო.~~

ზოია პროშინას თავის ნაშრომში *„თარგმანის თეორია“* მეტაფორების თარგმანის თავისებურებებზე საუბრისას მოყვას ცნობილი თარგმანის თეორეტიკოსის პიტერ ნიუმარკის შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც არსებობს მეტაფორის თარგმანის რამდენიმე გზა: მსგავსი იმიჯის შექმნა სამიზნე ენაზე, რაც იმ შემთხვევაში გამოიყენება თუ კონკრეტული იმიჯი მსგავს ასოციაციებს იწვევს სამიზნე კულტურაში; წყარო მეტაფორის იმიჯის შეცვლა სამიზნე ენაში არსებული სტანდარული/ეკვივალენტი იმიჯით; მეტაფორული იმიჯის არამეტაფორული იმიჯით, აზრობრივად გადმოცემა; გამოტოვება; მეტაფორული იმიჯის კალკირება და შემდეგ შესაბამისი ახსნა-განმარტებების უზრუნველყოფა (პროშინა 2008:208-210).

ინგლისური და ქართული ემპირიული მასალის განხილვის შედეგად გამოვლენილი, აღნიშნულ ორ კულტურაში პოლიტიკური იმიჯ-მეტაფორების უნივერსალურობის ინდექსი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ინგლისურენოვანი პოლიტიკური იმიჯ-მეტაფორების ქართულ ენაზე და პირიქით თარგმნა უმეტესწილად შესაძლებელია თარგმნის ისეთი ტექნიკის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს წყარო მეტაფორული იმიჯის სამიზნე მეტაფორული იმიჯის ზუსტი ეკვივალენტით შეცვლას. ~~მაგალითად იმიჯ-მეტაფორა *გზა...გავლილი ცხოვრება, ინგლისურ ენაზე შეიცვლება იმიჯ-მეტაფორით *road...life we past**~~

პოლიტიკური იმიჯ-მეტაფორების საკმაოდ დიდი ნაწილი შეიძლება სამიზნე ენაზე გადმოიცეს მთარგმნელობითი ტექნიკის საშუალებით, რომელიც ითვალისწინებს წყარო მეტაფორული იმიჯის შეცვლას სამიზნე ენაზე არსებული სტანდარტული/ეკვივალენტი იმიჯით. ~~მაგალითად — შეიძლება — მოვიყვანოთ — მეტაფორული — იმიჯის — მეტასტაზა...კომუნისტური — პარტია — თარგმნა — სამიზნე — მეტაფორული — იმიჯით — cancer...enemy;~~ სხვა შემთხვევაში იმიჯ-მეტაფორების თარგმნა უნდა მოხდეს არა-მეტაფორული კონცეპტებით. ~~მაგალითად — იმიჯ მეტაფორა გამომვლდება...სააშკარაოზე გამოტანა — უმჯობესია — ინგლისურ — ენაზე — ითარგმნოს — ნეიტრალური — ერთეულით;~~ მაგალითად სიტყვით *reveal, show* და არა იმიჯ მეტაფორით. ~~იმიჯ მეტაფორა — anchor of global security~~ ქართულ ენაზე კალკირებით უნდა გადმოვიდეს.

~~პოლიტიკური — ტექსტების — მეორე — ენაზე — ადეკვატურად — გადმოცემის — ერთერთი აუცილებელი პირობა — იმიჯ-მეტაფორების — მნიშვნელობის — სწორად — განსაზღვრა — და ეფექტურად — თარგმნაა.~~ ზემოთ მოყვანილი მთარგმნელობითი მექანიზმები გარკვეულწილად დაეხმარება პრაქტიკოს მთარგმნელს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

(მაზმიშვილი ნ. „იმიჯ-მეტაფორები ინგლისურ და ქართულ პოლიტიკაში და მათი თარგმანის თავისებურებები“. სტატია საერთაშორისო კონფერენციის „ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები“, მასალების კრებულში; I ტომი; თბილისი 2014).

მოცემულ ამოსავალ ტექსტში მეორეხარისხოვანი ელემენტების გადახაზვის შედეგად ნათლად იკვეთება ძირითადი ინფორმაცია, რომელიც შემდგომ, როგორც უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ, ენობრივად სწორდება და ბმულ ტექსტად ერთიანდება შესაბამისი მაკავშირებელი სიტყვების გამოყენებით.

იმ შემთხვევაში თუ ზემოთ მოცემული სამეცნიერო სტატიის რეფერირების მიზანი მკითხველისთვის იმიჯ-მეტაფორების და მათი სტრუქტურული აგებულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა, რეფერენტი ბუნებრივია ორიგინალი ტექსტის ანალიზის დროს სხვა ინფორმაციას გადახაზავს, რის შემდგომაც მას ძირითადი ინფორმაციის სახით დარჩება შემდეგი წინადადებები:

საინტერესოა იმიჯ-მეტაფორების ლაკოფისეული გაგება, რომელიც თვლის, რომ იმიჯ-მეტაფორა „ერთ ტრადიციული მენტალური იმიჯისგან ქმნის მეორე ტრადიციულ მენტალურ იმიჯს მათი შიდა სტრუქტურებიდან გამომდინარე“. მაგალითისთვის ლაკოფს მოყავს იმიჯ-მეტაფორა, ანდრე ბრეტონის ნაწარმოებიდან „Free Union“, რომელშიც ავტორი თავის მეუღლეზე საუბრისას ამბობს „My Wife... Whose Waist is an Hourglass“ (გვ. 183). ეს წინადადება ქართულად შედეგნაირად ჟღერს „ჩემი ცოლი...მისი წელი ქვიშისსაათია“. მოცემული წინადადება სწორედ იმიჯ-მეტაფორაა, რომელშიც ქვიშის

საათის მენტალური იმიჯი ნაწარმოების ავტორის მეუღლის მენტალურ იმიჯში გადადის (ლაკოფი 1987: 218).

იმიჯი, რომელსაც იმიჯ-მეტაფორა იყენებს ტრადიციული იმიჯია, რომელსაც მეტად ფართოდ იყენებენ გაუთვინობიერებლად და ავტომატურად წლების მანძილზე. მაგალითად, ჩვენ ყველას გაქვს ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრებული ქვიშის საათის იმიჯი, რომელსაც წარმოვიდგენთ ისე, რომ მისი ჩვენება ჩვენვის არც არის აუცილებელი (ლაკოფი 1987:220).

იმიჯ მეტაფორები კონცეპტუალურისგან განსხვავებით შეიცავენ ორ იმიჯს-წყარო იმიჯი და სამიზნე იმიჯი, იმდენად რამდენადაც მეტაფორის არსი სწორედ ერთი იმიჯის მეორე იმიჯში გადაყვანაში მდგომარეობს (ლაკოფი 1987: 222).

როგორც ვხედავთ გადახაზვის მეთოდი მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველადი ტექსტის ინფორმაციასთან მუშაობის მიზანთან. ინფორმაციის გადახაზვა ხდება იმის მიხედვით თუ რა კონკრეტული ინფორმაციის გადმოტანა სურს რეფერენტს მეორეულ დოკუმენტში.

მაშასადამე, პირველადი დოკუმენტის ინფორმაციის ანალიზის სწორად განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია რეფერირების პროცესის სწორად წარმართვისთვის. არსებობს აღნიშნული პროცესის გაადვილების მიზნით ტექსტთან მუშაობის მეთოდები, რომელთა ცოდნა და განხორციელების უნარი რეფერენტის საქმიანობას და მისი კონკრეტული ამოცანის მიღწევის პროცესს უფრო რაციონალურს და წარმატებულს ხდის.

10. სინთეზი და განზოგადება

რეფერირების დროს ანალიზი ინფორმაციის სინთეზის წინაპირობაა. ანალიზი და სინთეზი ინტელექტუალური შრომის ორი ურთიერთდამოკიდებული პროცესია, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან რეფერატის შედგენისას. თუ კი ანალიზი პირველადი დოკუმენტის ინფორმაციის გადმოსაცემად მნიშვნელოვანი საგნების, მოვლენების თუ მონაცემების შერჩევას ნიშნავს, სინთეზი გულისხმობს გაანალიზებული ინფორმაციის ლოგიკურ გაერთიანებას.

სინთეზი არ ნიშნავს პირველადი ტექსტის ცალკეული ელემენტების მექანიკურ შეერთებას, ძირითადი, მნიშვნელოვანი მონაცემების ლოგიკის გარეშე დაკავშირებას. სინთეზის პროცესში იქმნება ახალი დოკუმენტი, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია ლოგიკური თანმიმდევრობით განლაგდება, რის შედეგადაც ბმულ, კოჰერენტულ და მარტივად აღსაქმელ მეორეულ ტექსტს ვღებულობთ. სწორედ

ასეთნაირად შედგენილი მეორეული ტექსტი შეასრულებს თავის ფუნქციას მაქსიმალური ინფორმაციის მინიმალურ დროში მიწოდების თვალსაზრისით (გოიხმანი 1999: 110).

სინთეზის პროცესში, ლოგიკურად დაჯგუფებული და განზოგადებული ინფორმაციის მისაღებად რეფერენტს ინფორმაციის გადმოცემის ტევადი და ზუსტი საშუალებების მოძიება სჭირდება. ერთერთ ასეთ ეფექტურ საშუალებას განზოგადება წარმოადგენს. განზოგადების პროცესი ნიშნავს ერთ ცნებაში მრავალი მოსაზღვრე, მომიჯნავე ტერმინის გაერთიანებას.

განზოგადება რეფერატის შინაარსის კომპაქტურად გადმოცემის ერთერთი პირობაა. როგორც ზემოთ, ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ტიპების განხილვისას ვნახეთ, ორიგინალში ძირითადი ინფორმაცია შიშლდება გადმოცემული იყოს ძალიან ვრცლად და დეტალურად. რეფერატის შედგენისას ამ ვრცელი ინფორმაციიდან უნდა ამოიკრიბოს ზედმეტი, ის რაც რამდენჯერმე მეორდება ან ფერიფერიულ ინფორმაციას წარმოადგენს და ა.შ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება განზოგადება რეფერირების დროს, რომელიც გულისხმობს მთელი რიგი ცნებების ერთ, უფრო მოცულობით ცნებამდე დაყვანას, ანუ რამდენიმე ცნების ერთი ცნებით შეცვლას, რომელიც რამდენიმე სიტყვის სახით გამოხატული ცნებების გამაერთიანებლ, საერთო ცნებას წარმოადგენს. მაგალითად პირველად დოკუმენტში გამოყენებული ისეთი ცნებები, როგორცაა: რეფერატული ჟურნალი, ბიბლიოგრაფია, კატალოგი რეფერატის შედგენისას განზოგადდება ცნებით-მეორადი დოკუმენტების ფონდი. ან კიდევ სიტყვები: შინაგან საქმეთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, დეპუტატი შეიცვლება ცნებით-ოფიციალური პირები ან მთავრობა. სიტყვები: სათნოების სახლები, პოლისი, სადაზღვევო კომპანიები შეიცვლება სიტყვით-საზოგადოებრივი სამსახური და სხვ.;

სინთეზის პროცესის განხორციელებაში, წინადადებების ერთმანეთთან ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფაში რეფერენტს ასევე ეხმარება ისეთი მაკავშირებელი სიტყვების გამოყენება, როგორცაა: მამასადამე, აქედან გამომდინარე, ამ მიზნით, ამ მიზეზით, ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე, ბოლოს...

რეფერატში ბმული ტექსტის მისაღებად ასევე მნიშვნელოვანია კლიშეების გამოყენება. კლიშეები განსაკუთრებით გამოიყენება სამეცნიერო კვლევის რეფერატების შედგენისას. ასეთი კლიშეებია: წინამდებარე ნაშრომი, წარმოდგენილი ნაშრომი, ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითი/ნიმუში, ავტორის შეხედულებით, შესავალში მითითებულია, პირველ თავში გაშუქებულია, მეორე თავი ეძღვნება, დასკვნაში აღნიშნულია...

იმ შემთხვევაში თუ პირველად დოკუმენტში მოცემულია საილუსტრაციო მასალა,

ცხრილები, მაგალითები, დიაგრამები... რეფერატში ხდება ისეთი კლიშეების გამოყენება, როგორცაა: საკუთარ მსჯელობებს ავტორი ილუსტრაციას უკეთებს კონკრეტული მაგალითების, ფაქტების მოყვანით, სურათების გამოყენებით, ფოტოსურათების დახმარებით და ა.შ.

აქვე უნდა ითქვას, რომ მაკავშირებელი სიტყვების და კლიშეების გამოყენების სიხშირე გარკვეულწილად რეფერენტის მიერ გაკონტროლებას მოითხოვს იმდენად, რამდენადაც აღნიშნული მეთოდების დიდი რაოდენობით გამოყენება ზრდის მეორეული ტექსტის მოცულობას და შესაბამისად რეფერატის ენობრივ-სტრუქტურული თავისებურებების მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში მოდის.

განვიხილოთ რეფერირების დროს პირველადი დოკუმენტის ინფორმაციის ანალიზის შედეგად ამოკრებილი ძირითადი ინფორმაციის სინთეზის შედეგად მიღებული პროდუქტი ჩვენს მიერ ზემოთ მოცემული ტექსტის N 9 მაგალითზე;

ინტერსემიოტიკური თარგმანი-რეკლამის გზავნილის გაგების წინაპირობა

პირველადი დოკუმენტიდან ამოკრებილი ინფორმაციის მექანიკური დაჯგუფება

რეკლამა ტექსტია, რომელიც კომუნიკაციის დამყარების არაერთ საშუალებას იყენებს, სადაც ინფორმაციის სწორად აღქმისთვის არამხოლოდ ენობრივი, არამედ გრაფიკულ-სიმბოლური ნიშნების, ხმის... ჩართვა ხდება.

რეკლამის ზემოთ აღნიშნულმა თავისებურებებმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება ფერის აღქმის თავისებურებით სხვადასხვა პროდუქციის რეკლამებში და ფერის შენარჩუნება/შეცვლის აუცილებლობით პროდუქციის რეკლამირებისას სხვადასხვა კულტურის მატარებელ სოციუმში.

ნებისმიერი პროდუქციის კონკრეტული ერისთვის რეკლამირების დროს ფერის სწორად შერჩევამ შეიძლება ვერბალურად გადმოცემულ მხარეს ეფექტი შეუნარჩუნოს. თუმცა ფერის არასწორი შერჩევა შეიძლება ლინგვისტურად მიღწეული შედეგის დამსხვრევის მიზეზი გახდეს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს წარმატებული, ეფექტური კომუნიკაცია, ადრესატმა დელიკატურად უნდა მოახდინოს ვერბალური და არავერბალური ნიშნებით გამოხატული შინაარსის შერწყმა ისე, რომ მაქსიმალური თანხვედრა განაპირობებდეს.

გავიხსენოთ, რომ მოცემული წინადადებები წარმოადგენს რეფერენტის მიერ, მკითხველისთვის სამეცნიერო სტატიის „ინტერსემიოტიკური თარგმანი-რეკლამის

გზავნილის გაგების წინაპირობა“, ძირითადი შინაარსის გაცნობის მიზნით, პირველადი ტექსტიდან ამოკრებილ ინფორმაციას. მოცემული წინადადებებისგან ბმული ტექსტის მიღების მიზნით განხორციელებული სინთეზის პროცესის შედეგად მივიღებთ შემდეგ ბმულ მეორეულ ტექსტს:

წინამდებარე სტატიის ავტორი განიხილავს ფერების სწორად შერჩევის აუცილებლობას სხვადასხვა კულტურის მატარებელი რეციპიენტისთვის პროდუქციის რეკლამირების დროს.

ავტორი თვლის, რომ რეკლამა ტექსტია, რომელშიც ინფორმაციის სწორად აღქმისთვის არამხოლოდ ენობრივი, არამედ გრაფიკულ-სიმბოლური ნიშნების, ხმის... ჩართვა ხდება. აქედან გამომდინარე ფერის სწორად შერჩევამ რეკლამაში შეიძლება ვერბალურად გადმოცემულ მხარეს ეფექტი შეუნარჩუნოს. თუმცა ფერის არასწორი შერჩევა შეიძლება ლინგვისტურად მიღწეული შედეგის დამსხვრევის მიზეზი გახდეს.

სამეცნიერო სტატიის ავტორის შეხედულებით, წარმატებული და ეფექტური რეკლამისთვის ადრესატმა სწორად უნდა მოახდინოს ვერბალური და არავერბალური გამოსახვის საშუალებების შერწყმა ინფორმაციის მიმღების კულტურული თავისებურების გათვალისწინებით.

როგორც ვხედავთ მოცემული მეორეული ტექსტი წარმოადგენს პირველადი დოკუმენტის ანალიზის შედეგად შერჩეული ინფორმაციის სინთეზს. წარმოდგენილ ნიმუშში ნათლად ჩანს, რომ რეფერენტი, მართალია ძირითადად პირველადი დოკუმენტის ინფორმაციის ანალიზის შედეგად ამოკრებილ წინადადებებს ეყრდნობა, თუმცა სრულყოფილი და შესაბამისი ტექსტის მისაღებად იყენებს რეფერირების პროცესის თანმხლებ სხვადასხვა პროცედურებს, როგორც კლიშეების, მაკავშირებელი სიტყვების გამოყენება. გარდა ამისა რეფერენტი ახდენს პირველად ნაკრებში მოხვედრილი წინადადებების სინტაქსურ ცვლილებებს და ლექსიკური ერთეულების სინონიმებით შეცვლას, იმისათვის, რომ რეფერატის ტექსტი არა მხოლოდ მოცულობით შემცირებული, არამედ ენობრივად და სტილისტურად გამართული და ორიგინალ ტექსტთან მიმართებაში სემანტიკურად ადეკვატური იყოს.

რეფერირების დროს სინთეზის პროცესთან ასოცირდება ინფორმაციის კომპაქტურად გადმოცემის ისეთი ხერხები, როგორცაა სინტაქსური და სემანტიკური კვეცა/კონდენსაცია.

კონდენსაცია შიდა ტექსტური კვეცა/შემცირებაა. სინტაქსური კონდენსაცია გულისხმობს ორიგინალი ტექსტის ძირითადი ინფორმაციის ანალიზის შედეგად

შერჩეული/ამოკრებილი წინადადებების სინტაქსური სტრუქტურის შეცვლას ენობრივად გამართული ბმული ტექსტის მიღების მიზნით (გოიხმანი 1982: 110).

სინტაქსური კონდენსაცია, რომელიც ასევე ხორციელდება ზმნური კონსტრუქციების სახელადი კონსტრუქციებით გადმოცემით, მოქმედებითი გვარის ვნებითი გვარით შეცვლით, ტექსტის მთლიანი კომპრესიის საფუძველია. კომპრესია, თავის მხრივ, ტექსტის მთლიანი შემჭიდროვებაა და გულისხმობს ინფორმაციის მთლიან შეკვეცას, რომლის საშუალებითაც ხდება ტექსტის გარეგანი ფორმის, მისი მოცულობის შემცირება შინაარსობრივი ფაქტორის სრული შენარჩუნებით. კომპრესიის წყალობით ტექსტის წინადადებათა მცირე რაოდენობა გამოხატავს ძირითად ინფორმაციას. კომპრესიის, ტექსტის შეკვეცის კოეფიციენტი, ტექსტის სინტაქსური კონდენსაციის პირდაპირპროპორციულია. რაც უფრო წარმატებით ახერხებს რეფერენტი ორიგინალი დოკუმენტის სინტაქსურ კონდენსაციას, მით უფრო მაღალია მთლიანი ტექსტის შეკვეცის მაჩვენებელი.

რეფერატული კომპრესიის მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს პარაფრაზი, რაც გულისხმობს ორიგინალ ტექსტში მოცემული ინფორმაციის მთელი სინტაქსური სტრუქტურის გარდაქმნას.

მეორეული ტექსტის შექმნის მექანიზმი ყველა სახის მეორეული ტექსტისთვის მსგავსია. პირველ რიგში ჩვენ ვცდილობთ გადმოვცეთ ორიგინალი ტექსტის შინაარსი შეკუმშული ფორმით, რაც პირველადი ტექსტის შინაარსის კომპრესიით და არა რაიმე ინფორმაციის ამოგდებით ხორციელდება. ხშირად კომპრესია ინფორმაციის ამოგდებაში ეშლებათ, რაც რეფერატის მიზნის მოთხოვნების დარღვევას ნიშნავს. აქედან გამომდინარე ცოდნა მეორეული ტექსტის შექმნისთვის გასავლელი პროცედურებისა და სხვადასხვა ხერხების ირგვლივ, მნიშვნელოვანია რეფერატის დაწერის მიზნის მისაღწევად.

რეფერირების პროცესის ბოლო ეტაპს ბმული, თანმიმდევრული მეორეული ტექსტის შედგენა წარმოადგენს, რომლის მოცულობა განპირობებულია მკითხველის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მკითხველის და რეფერირების მიზანზეა დამოკიდებული პირველად ტექსტში მოცემული ინფორმაციის კომპრესიის ხარისხი. სხვადასხვა ხარისხის კომპრესიის შედეგად მეორეული ტექსტის სხვადასხვა სახე მიიღება, რაზედაც ქვევით გვექნება საუბარი.

რეფერირების დასასრულს, ბმული ტექსტის შექმნის შემდგომ, ხდება საცნობარო ნაწილზე მუშაობა. საცნობარო ნაწილი მეორეულ ტექსტს დაერთვის და მოიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა: რეფერატის შიფრი ანუ ნომერი, ცნობები ორიგინალ ტექსტში მოცემული ილუსტრაციების, ნახაზებისა და ცხრილების შესახებ, რეფერენტის გვარი

(ზოგ შემთხვევაში ორგანიზაციის სახელწოდება იმ შემთხვევაში თუ რეფერატი ორგანიზაციის სახელით მომზადდა). გარდა აღნიშნული მონაცემებისა რეფერატის საცნობარო ნაწილი მოიცავს ინფორმაციას დოკუმენტის შენახვის ადგილის შესახებ (შიფრის სახით).

11. ზოგადი ცნობები რეფერატის სტრუქტურისა და ენობრივი გაფორმების შესახებ

მეორეული დოკუმენტები მყარი სტრუქტურული თავისებურებებით გამოირჩევიან. რეფერატი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ბიბლიოგრაფიული მონაცემები სათაურის ჩათვლით, საკუთრივ რეფერატული ნაწილი ან რეფერატული ტექსტი და საცნობარო ნაწილი, რომელშიც შედის შენიშვნები, მითითებები და სხვა სახის დამატებითი ინფორმაცია.

მეტად მნიშვნელოვანია რეფერატის მეორე ნაწილის ანუ საკუთრივ რეფერატული ტექსტის აგებულების თავისებურება. არსებობს აბზაცებით აგებული და უაბზაცო რეფერატი. აბზაცებისგან შედგება რეფერატი, თუ ის: დიდი მოცულობისაა, მასში საუბარია რამდენიმე საკვლევი ობიექტის შესახებ, ინფორმაცია დაწვრილებითაა გადმოცემული და ის გამოქვეყნებულია რეფერატულ ჟურნალებში, რეფერატულ გამოცემებში. ხოლო რეფერატი არ შეიცავს აბზაცებს იმ შემთხვევაში თუ ის: მაქსიმალურად არის შეკუმშული, მასში მხოლოდ ერთი პრობლემა განიხილება და წინადადებების სინტაქსური წყობა ორიგინალი ტექსტის ანალიზის შედეგად შერჩეული წინადადებების ლოგიკურად, ერთ კომპაქტურ ერთეულად, ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.

დიდი მნიშვნელობა აქვს რეფერატული ნაწილის დასაწყისს მეორეული ტექსტის ეფექტური და რაციონალური დასაწყისის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. რეფერენტი უნდა ეცადოს, რეფერატის დასაწყისში, წარმოადგინოს ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები/ინფორმაცია. კარგად შედგენილ რეფერატის დასაწყისს სათაურის დამატებასაც უწოდებენ; ავსებს რა ის სათაურს, რეფერატული ტექსტის დასაწყისის პირველი რამდენიმე წინადადება, სათაურთან ერთად, გამოხატავს ორიგინალი ტექსტის ძირითად იდეას. აღნიშნული თვისების გამო, შეიძლება ითქვას, რომ რეფერატის დასაწყისი, მისი პირველი წინადადება ერთი წინადადებისგან შედგენილი რეფერატია, თუ კი ის ნამდვილად ასახავს ორიგინალი ტექსტის ძირითად შინაარსს. თუმცა რეფერატული ტექსტის პირველი წინადადების დაწერა, ისე რომ ის სათაურთან ერთად იძლეოდეს სრულ მინიშნებას პირველადი ტექსტის თემის, იდეის

შესახებ, რთულია. შესაბამისად მსგავსი, კარგად შესრულებული დასაწყისი იშვიათია.

რეფერატული ტექსტის დასაწყისის რაციონალურად ფორმულირება რეფერენტის უნარის გარდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოაქციოს პირველ რამდენიმე წინადადებაში, ორიგინალი ტექსტის ტიპზეა დამოკიდებული. კერძოდ საზოგადოებრივი მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში რეფერატი იწყება საცნობარო ნაწილით, შესაბამისად პირველი წინადადება ტექსტის სათაურის დამატება ვერ იქნება. რაც შეეხება ტექნიკური დარგის ტექსტების რეფერატს, აქ პირველი წინადადების ფორმულირება რეფერენტის შემოქმედებითობას და რეფერირების კარგ უნარებს მოითხოვს იმდენად, რამდენადაც აღნიშნული დარგის რეფერატების რეფერატული ნაწილი ახალი ინფორმაციის გაცნობით იწყება.

რეფერატული ტექსტის პირველი წინადადების ეფექტური ფორმულირება მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც რეფერირების დროს ღირებულია ყველაფერი ის, რაც ადვილად იპყრობს მკითხველის ყურადღებას და ტექსტის აღქმას აიოლებს. ეს, თავის მხრივ, დროის რაციონალურად დახარჯვის საშუალებას იძლევა, რაც რეფერატის პირველადი ფუნქციაა. მკითხველითვის უფრო ადვილად აღსაქმელია რეფერატი, თუ კი თემა, პრობლემა, ამოცანა დასაწყისშივეა ფორმულირებული და თანაც განზოგადებულად. თუმცა განზოგადება ხარისხიანად, ძირითადი ინფორმაციის დანაკარგის გარეშე უნდა იყოს მიღწეული.

თუ რეფერატში მოცემულია რაიმე პროდუქციის, ტექნიკური პროცესების, კვლევის მეთოდების აღწერა, რეფერატის სათაურში დასახლდება საგანი და რეფერატის დასაწყისში აღსაწერი საგნის დანიშნულება.

არსებობს რეფერატების ტექსტების განზოგადების გრადაცია, რის მიხედვითაც განასხვავებენ სხვადასხვა ტიპის რეფერატებს. აქედან გამომდინარე, რეფერატების ზოგიერთი სახეობისთვის ბუნებრივია დასაწყისში თემის, იდეის და ა.შ. აღწერა. მაშინ, როდესაც ზოგიერთი მათგანის დასაწყის ნაწილში გვაქვს მხოლოდ მინიშნება ორიგინალი ტექსტის ძირითად ინფორმაციაზე.

მეორეულ დოკუმენტებში ინფორმაციის განზოგადების ხარისხი რეფერატის სახეობას უკავშირდება და შესაბამისად მეორეული დოკუმენტის მოცულობის ვარირებას იწვევს, რაც ასევე დამოკიდებულია წარმოდგენილი ტექსტის დარგზე/სფეროზე და შეიძლება შეადგინოს ორიგინალი ტექსტის 3 %-იც კი.

მნიშვნელოვანია ასევე რეფერატში ორიგინალის შინაარსის გადმოცემის თანმიმდევრობის დაცვის საკითხი. იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია ავტორისეული

ტექსტის შინაარსის გადმოცემის ავტორისეულივე თანმიმდევრობის დაცვა, რეფერატი სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის ორიგინალი ტექსტის იდეურ-სტრუქტურული მახასიათებლების შესახებ. თუმცა, რეფერატის ენობრივ-სტრუქტურული აგებულების მოთხოვნები ამის საშუალებას ხშირად არ იძლევა. შესაბამისად, რეფერენტმა მეორეულ ტექსტში ინფორმაციის გადმოცემა ისეთი თანმიმდევრობით უნდა მოახდინოს, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ინფორმაციის ლოგიკურად ჩამოყალიბებულ, ერთ მთლიანობად აღქმას. ასეთი სახით შედგენილი რეფერატის ტექსტი უფრო მარტივად აღსაქმელია მკითხველისთვის.

რეფერირების საფუძველი საწყისი ტექსტის ინფორმაციის მიზანმიმართული კუმშვაა გარკვეული აუდიტორიისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფერატი ორიენტირებულია ადრესატზე. სწორედ ამ მიზნით, მნიშვნელოვანია ადრესატზე ორიენტირების უზრუნველყოფა რეფერატში პირველადი ტექსტის ინფორმაციის გადმოცემისას, შესაბამისი თანმიმდევრობის დაცვითა და ადრესატისთვის უფრო უპრიანი ენობრივი ნორმების შერჩევით. აღნიშნულის მიხედვით, ერთიდაიგივე საწყისი ტექსტის ინფორმაციის ანალიზის შედეგად შესაძლებელია შეიქმნას განსხვავებული რეფერატები, როგორც რეფერატების სხვადასხვა სახეობების, ისე მათი ენობრივი გაფორმების, რეფერენტის მიერ შერჩეული ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური ერთეულების თვალსაზრისით. მაგალითად: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარსადგენად განკუთვნილი მოხსენება/რეფერატი, რომლის აუდიტორია იქნება მეცნიერები და აკადემიკოსები, აღნიშნული აუდიტორიისთვის შესაბამისი ენობრივი ერთეულებით იქნება დაწერილი. ხოლო თუ იგივე მოხსენება/რეფერატი განკუთვნილია, მაგალითად, სტუდენტებისთვის, დოკუმენტის შესაქმნელად შერჩეული იქნება სტუდენტებისთვის მისაღები, შესაბამისი ენობრივი ნორმებით აგებული მარტივად გასაგები ტექსტი.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ორიგინალი ტექსტების ადაპტირება სასწავლო აუდიტორიისთვის რეფერატული მუშაობის ერთერთი ნაირსახეობაა.

მაშასადამე, რეფერატის კიდევ ერთ მოთხოვნას მკითხველზე/მსმენელზე ორიენტირებული ენობრივი გაფორმების დაკმაყოფილება წარმოადგენს.

12. ზოგადი ცნობები რეფერატის ენობრივი თავისებურებების შესახებ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეორეულ ტექსტში პირველადი ტექსტის ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაციის კვეცის/განზოგადების ხარისხის, ფუნქციისა და მიზნის მიხედვით განასხვავებენ რეფერატის სხვადასხვა ტიპებს.

მიუხედავად ბევრი საერთო თვისებისა, მეორეული ტექსტები განსხვავდებიან რამდენიმე ნიშან-თვისებით, რის საფუძველზეც ხდება მეორეული ტექსტის ტიპის დადგენა.

მეორეული ტექსტების ერთერთი განმასხვავებელი ნიშანი არის მათი მიზანი, რის მიხედვითაც გამოყოფენ ინფორმაციულ და ინდიკატურ რეფერატებს.

ინფორმაციული რეფერატი განზოგადებული სახით გადმოსცემს პირველადი ტექსტის შინაარსს, თუმცა შეიცავს მის ყველა მნიშვნელოვან ცნობას, არგუმენტაციას, რის გამოც აღნიშნული ტიპის რეფერატს რეფერატ-კონსპექტსაც უწოდებენ.

ინფორმაციული რეფერატისგან განსხვავებით ინდიკატურ რეფერატში მოცემულია მხოლოდ ძირითადი დებულებები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველადი დოკუმენტის თემასთან. ასეთი ტიპის რეფერატს სხვაგვარად რეფერატ-რეზიუმეს უწოდებენ.

რეფერატების განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშან-თვისებას ასევე წარმოადგენს მათში ასახული წყაროების/ლიტერატურის რაოდენობა, რის მიხედვითაც განასხვავებენ მონოგრაფიულ და მიმოხილვით რეფერატებს. რეფერატები, რომლებიც შედგენილია მხოლოდ ერთი წყაროს ბაზაზე მონოგრაფიული რეფერატებია, ხოლო რეფერატებს, რომლებიც შედგენილია ერთი თემის ირგვლივ რამდენიმე წყაროს გამოყენებით-მიმოხილვითი რეფერატები ეწოდება.

რეფერატები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ასევე გადმოცემის ფორმით, რაც განაპირობებს რეფერატების სამი-ტექსტური, ილუსტრაციული და სხვა -ტიპის არსებობას. ტექსტური რეფერატი ისეთი სახის დოკუმენტია, რომელიც ტექსტის ფორმით, სიტყვიერად გადმოგვცემს ინფორმაციას, ხოლო ილუსტრაციული რეფერატი მოიცავს ნახაზებს, სქემებს, ცხრილებს და სხვა საილუსტრაციო მასალას.

იმის მიხედვით თუ ვინ ქმნის მეორეულ დოკუმენტს, გამოყოფენ ასევე სამი ტიპის-ავტორისეულ, რეფერენტულ და მანქანურ- რეფერატებს. ავტორისეული რეფერატი იქმნება თავად საწყისი ტექსტის ავტორის მიერ. ასეთ მეორეულ ტექსტს ავტორეფერატებსაც უწოდებენ. რეფერენტული რეფერატები იქმნება პირველადი ტექსტის პროფესიონალი რეფერენტის მიერ ანალიზის და სინთეზის გზით. რაც შეეხება მესამე ტიპის-მანქანურ-მეორეულ ტექსტებს, მათი შექმნა სპეციალური მოწყობილობების მიერ ხდება.

მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ყველა რეფერატს აქვს საერთო მახასიათებლები, რაც უმთავრესად განპირობებულია რეფერატის სტრუქტურისა და ენობრივი

გაფორმებისადმი წაყენებული გარკვეული მოთხოვნებით. ეს არის რეფერატული ენა, რაც, პირველ რიგში, აზრის ლაკონურად, მკაფიოდ და გასაგებად გამოხატვაში მდგომარეობს. გარდა ამისა, დაუშვებელია რეფერატში რეფერენტის სუბიექტური აზრის, ავტორის მსჯელობებსა და საერთოდ ტექსტის თემისა და იდეს შესახებ საკუთარი შეხედულების გამოხატვა.

ობიექტურობის შენარჩუნებაში დიდ როლს ასრულებს ტერმინები, რომლებიც განსაკუთრებით უხვადაა გამოყენებული ტექნიკურ დოკუმენტაციაში. შესაბამისად, გასაღები ტერმინების გამოყენება მეორეულ ტექსტში რეფერენტის ამოცანას აადვილებს. თუმცა, ტერმინების გამოყენებისას რეფერენტს ასევე დიდი სიფრთხილე მართებს. კერძოდ, იმდენად, რამდენადაც თითო ტერმინი მხოლოდ ერთ ცნებას, ერთ დენოტატს უნდა აღნიშნავდეს, მას მკაცრად განსაზღვრული ერთი მნიშვნელობა უნდა ქონდეს როგორც პირველად, ისე მეორეულ ტექსტში, ისე რომ უზუსტობას და ორაზროვნებას არ ქონდეს ადგილი.

გარდა ამისა, უნდა ითქვას რომ ქართულ ენაში ტერმინოლოგიური სისტემა ჯერჯერობით საკმარისად ჩამოყალიბებული არ არის, რაც სირთულეს ქმნის განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირველადი დოკუმენტი სხვა ენაზეა შესრულებული. ხშირ შემთხვევაში ორიგინალ ტექსტში მოცემული ტერმინის შესატყვისი ქართულ ენაზე არ არსებობს, ან კიდევ არსებობს, თუმცა ეს არსად, დოკუმენტალურად არ არის დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ ამოსავალი ტექსტი შეიცავს ისეთ ტერმინებს, რომელთა შესატყვისი ტერმინები ქართულ ენაზე არ მოიპოვება, რეფერენტი იძულებულია ის ახსნა-განმარტებითი მეთოდით გადმოიტანოს მეორეულ ტექსტში. ეს ზრდის რეფერატის მოცულობას და შესაბამისად არღვევს რეფერატის მოცულობის, აზრის მკაფიოდ, ლაკონურად გადმოცემის აუცილებლობის პრინციპს.

რეფერატის ლაკონურობას ასევე განაპირობებს მარტივი, მოკლე/ლაკონური, მაგრამ ინფორმაციული წინადადებები. თითოეული წინადადება ახალი აზრის შემცველი უნდა იყოს და არ უნდა იმეორებდეს იმას, რაც წინა წინადადებებში შეიძლება იყოს მოცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრის განმეორებას, ჭარბსიტყვიანობას ექნება ადგილი, რაც დაუშვებელია მეორეულ დოკუმენტებში.

თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც. კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროს ტექსტებში ხშირია რთული გრამატიკული კონსტრუქციების მქონე წინადადებები, რადგან მსგავს ტექსტებში ვხვდებით ავტორისეულ მსჯელობებს, საკუთარი შეხედულების დასაბუთების აუცილებლობას, რაც რთული წინადადებების

გამოყების გარეშე ვერ მიიღწევა. შესაბამისად აღნიშნული სფეროს მეორეულ დოკუმენტებშიც რთული სინტაქსური სტრუქტურა გარკვეულწილად შენარჩუნებულია.

აქვე უნდა ითქვას, რომ რეფერატის ენობრივ თავისებურებას, პირველ რიგში, განსაზღვრავს ორიგინალი ტექსტის ჟანრი, ის ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულები და კონკრეტული რეგისტრი, რაც ამოსავალი ტექსტის ავტორს აქვს შერჩეული გარკვეული თემატიკის, იდეის გასაშლელად. შესაბამისად, მეორეული ტექსტის ავტორი ძირითადად ამოსავალი ტექსტის ფუნქციონალური სტილის ძირითად ხაზს მიყვება, თუმცა არც მეორეული ტექსტის ენობრივი გაფორმების წესების ჩარჩოებს სცდება. აქედან გამომდინარე, თუ ამოსავალ ტექსტში მაღალმახტვრულობის ხარისხი დიდია, გვხვდება ეპითეტები, ხატოვანი გამონათქვამები და სხვა სტილისტური ხერხები, რა თქმა უნდა რეფერატში ეს არ აისახება.

რაც შეეხება, მაგალითად, ციტირებას, რომელიც ხშირად შეიძლება შეგვხვდეს სამეცნიერო ხასიათის პირველად დოკუმენტებში, ის გადმოდის მეორეულ დოკუმენტში, თუმცა ინფორმაციის ობიექტურად გადმოცემის შენარჩუნებისთვის, ირიბი მეტყველების გზით.

მაშასადამე, მეორეული დოკუმენტის ენობრივი თავისებურებები განპირობებულია როგორც რეფერატული დოკუმენტების ენობრივი და სტილისტური აგებულებისადმი წაყენებული მოთხოვნებით, ისე პირველადი დოკუმენტის ჟანრობრივი მახასიათებლებით. სწორედ ამ ორი პრინციპის შერწყმა წარმოადგენს რეფერენტის ძირითად და საკმაოდ რთულ ამოცანას, რისი სწორად და ეფექტურად გადაჭრა როგორც რეფერატული ნაშრომების შედგენის ირვლივ რეფერენტის შესაბამის ცოდნაზე, ისე რეფერირების პრაქტიკულ უნარებზეა დამოკიდებული.

13. რეფერატების განსხვავება მათი ფუნქციების მიხედვით

იმის მიხედვით, თუ რამდენად ობიექტურადაა გადმოცემული საწყისი ტექსტის ძირითადი ინფორმაცია, რა ხარისხით ხდება ორიგინალი ტექსტის შინაარსის კომპრესია, განასხვავებენ ინფორმაციულ/აღწერილობით რეფერატს, ინდიკატურ რეფერატს და ანოტაციას.

ინფორმაციულ რეფერატში ორიგინალი დოკუმენტის ძირითადი შინაარსი თითქმის დეტალურადაა ასახული, ფაქტები თანმიმდევრობითაა გადმოცემული. ინფორმაციული რეფერატის მაგალითს წარმოადგენს მაგალითად, სადოქტორო ნაშრომის ავტორრეფერატი,

სადაც ვრცლადაა აღწერილი კვლევაში მოცემული ინფორმაცია, კერძოდ: პრობლემატიკა, კვლევის ამოცანა, მიზნები, აქტუალობა და სიახლე, კვლევის მეთოდები; ავტორეფერატში, ინფორმაციული რეფერატის მოთხოვნების შესაბამისად, ინფორმაცია წარმოდგენილია საწყის დოკუმენტში ინფორმაციის გადმოცემის თანმიმდევრობის დაცვით, აღწერილია სათითაოდ კვლევის თითოეულ თავში მოცემული ინფორმაცია, მოყვანილია ავტორის შეხედულება საკვლევის თემის ირგვლივ, მისი მსჯელობები, საკუთარი აზრის დამადასტურებელი არგუმენტაცია და ა.შ.

ინფორმაციულ რეფერატში რეფერენტს შეუძლია მაქსიმალურად ისარგებლოს ორიგინალ ტექსტში მოცემული ენობრივ-სტრუქტურული ნორმების ტრანსფორმაციის შესაძლებლობით და გააკეთოს საწყისი ტექსტის სინტაქსური კონსტრუქციების ადაპტირება, ისე რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს შინაარსის აღქმის სიმარტივე და ეფექტურობა მკითხველისთვის.

ინფორმაციული რეფერატის მიზანია, ხშირ შემთხვევაში, მკითხველისთვის შეასრულოს ორიგინალი დოკუმენტის ფუნქცია. რეფერენტმა ისე უნდა აღწეროს წყარო ტექსტში მოცემული მასალა, რომ მკითხველს არ დასჭირდეს საწყისი დოკუმენტისადმი მიმართვა გარდა იმ შემთხვევისა თუ მას არ გაუჩნდა კვლევის უფრო სიღრმისეული დეტალების გაცნობის სურვილი.

ინფორმაციული რეფერატისგან განსხვავებით, ინდიკატური რეფერატი შეიცავს მხოლოდ მითითებას იმის შესახებ თუ რა და როგორ განიხილება ამოსავალ ტექსტში, იმდენად, რამდენადაც ინდიკატური რეფერატის მიზანია მხოლოდ მითითება ფაქტებისა თუ მოვლენების შესახებ. შესაბამისად ინდიკატური რეფერატის შედგენისას მნიშვნელობა ენიჭება არა მასალის ორიგინალ ტექსტში მოცემული თანმიმდევრობით გადმოცემას, არამედ ინფორმაციის ერთ მთლიანად, ლოგიკურ გაერთიანებას და ამის საფუძველზე ბმული ტექსტის შედგენას. ეს ნიშნავს იმას, რომ რეფერენტი ინდიკატურ რეფერატზე მუშაობისას პირველადი ტექსტის მხოლოდ ძირითად, ყველაზე აქტუალურ ფაქტებზე და მოვლენებზე აკეთებს აქცენტს.

ინფორმაციული რეფერატისგან განსხვავებით ინდიკატურ რეფერატში ინფორმაცია შეიძლება გადმოიცეს საკუთარი სიტყვებით მხოლოდ მაქსიმალური განზოგადებით. ინდიკატური რეფერატის მაგალითია ანოტაცია, რომელიც წინ უძღვის ნებისმიერ-სამაგისტრო, სადოქტორო- კვლევას და სამეცნიერო სტატიებს სხვადასხვა სფეროში. მსგავს შემთხვევებში ანოტაციის დანიშნულებაა მკითხველს სწრაფად, ობიექტურად მიაწოდოს ინფორმაცია კვლევის ამოცანის და მიზნის შესახებ. ხშირ შემთხვევაში ანოტაცია ასევე შეიცავს კვლევის მეთოდოლოგიების ჩამონათვალს.

ინდიკატური რეფერატის, კერძოდ ანოტაციის ენობრივ-სტრუქტურული მახასიათებლების ილუსტრირებისთვის მოვიყვანოთ სამეცნიერო სტატიის „ეთნიკური იუმორი კულტურათა გადაკვეთის ზღვარზე“ ანოტაციის ნიმუში. იმისათვის, რომ შევაფასოთ ანოტაციაში მოცემული ინფორმაციის ადეკვატურობა ანოტაციის ენობრივ-შინაარსობრივ მოთხოვნებთან, პირველ რიგში უნდა გავეცნოთ ამოსავალ ტექსტს და შემდგომ განვსაზღვროთ რამდენად კომპრესირებულად და განზოგადებულად, თუმცა ძირითადი შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით, სრულყოფილად არის შესრულებული ანოტაცია, რომელიც ამოსავალი დოკუმენტის შემდგომ არის მოცემული (ჩვენს შემთხვევაში. თუმცა ჩვეულებრივ ანოტაცია წინ უძღვის ყველა სამეცნიერო დოკუმენტს).

ტექსტი N 10

ეთნიკური იუმორი კულტურათა გადაკვეთის ზღვარზე

იუმორი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მისი ყოველდღიური საქმიანობის თანმსვლელები კომპონენტი და სასურველი კომუნიკაციის დამყარების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც ასახავს არა მარტო ადამიანის ყოფის ისეთ სუბიექტურ მხარეებს, როგორცაა ხასიათი, განწყობა, დამოკიდებულება მოვლენებისა თუ საგნების, ადამიანების მიმართ, არამედ კარგად უჩვენებს ერის კულტურას, ფსიქიკას, სამყაროს აღქმის თავისებურებას.

იუმორი წარმოადგენს ფენომენს, რომელიც იმართება კონკრეტული კულტურის მიერ. რთულია იმ ასპექტების დადგენა და განსაზღვრა, რაც უმთავრეს როლს ასრულებს იუმორის აღქმის თავისებურების განსაზღვრაში იმდენად, რამდენადაც ეს დაკავშირებულია ერთის მხრივ ისეთ სუბიექტურ ფაქტორებთან, როგორცაა პეროვნების ასაკი, ცხოვრებისეული გამოცდილება, განათლების, ინტელექტის დონე და საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული მდებარეობაც. მეორეს მხრივ, იუმორის აღქმის თავისებურება განპირობებულია კონკრეტული ენის მატარებელი ერის ისტორიით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, რელიგიითა და სხვა ღირებულებებით. აქედან გამომდინარე იუმორის მეორე ენაზე გადმოცემა ძალზედ რთულია და ხშირად შეუძლებელიც კი. ის რაც იუმორია ერთი ქვეყნის წარმომადგენლისთვის, შესაძლოა იყოს აბსოლუტური აბსურდი სხვა ეროვნების წარმომადგენლისთვის.

იუმორის სწორად აღქმისთვის საჭიროა ადეკვატური დისტანციის შენარჩუნება ინფორმაციის გამგზავნისა და მიმღებს შორის. დისტანციაში იგულისხმება არა მხოლოდ ტერიტორიული დაშორება ორი კომუნიკანტისა, არამედ მენტალური განსხვავების დონე მათ შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ დისტანცია გულისხმობს განსხვავებასა თუ მსგავსებას კომუნიკანტების კულტურაში, მსოფლმხედველობაში, სამყაროს აღქმის თავისებურებაში და მისთ.

იუმორი უამრავი ლიტერატურული ნაწარმოების, ფილმის და საერთოდ ხელოვნების შედევრის განუყოფელი ნაწილია. გარდა იმისა, რომ იუმორს ღრმად აქვს ფესვები გადგმული კონკრეტულ კულტურასა და ლინგვისტიკაში, ის ასევე ინტერკულტურული კომუნიკაციისა და მასობრივი გართობის საშუალებაა. იუმორის მეორე ენაზე გადმოცემის პროცესში, მთარგმნელს უხდება ისეთი სირთულეების გადალახვა, როგორცაა ორიგინალ ენაზე მოცემული იუმორის დატვირთვის შენარჩუნება და შესაბამისი რეაგირების გამოწვევა სხვა კულტურის მატარებელ ადრესატში. სხვადასხვა ერში არსებული კულტურული სხვაობანი, განსხვავებული შეხედულებები, სამყაროს აღქმის თავისებურებანი იუმორის უნივერსალურობის უზრუნველყოფას ხელს უშლის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ იუმორი არის საერთო სოციალური ფენომენი, რისი მანიფესტაცია ძლიერ განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში.

წინამდებარე სამეცნიერო კვლევაში საუბარია იუმორის აღქმის სირთულეებსა და თავისებურებებზე კულტურათშორისი კომუნიკაციის კონტექსტში. საუბარია იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დგას მთარგმნელი იუმორის ერთი ენიდან სხვა ენაზე ტრანსფორმირების პროცესში. სიტყვას ტრანსფორმირება ვიყენებთ იმდენად, რამდენადაც იუმორის კონკრეტული სტრუქტურული და მასში კოდირებული კულტურულ-შინაარსობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე ამ კულტურული ფენომენის თარგმნის მცდელობა მეორე ენის (სამიზნე ერის) ენობრივი ერთეულების გამოყენებით ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ამას ართულებს ასევე იუმორის სხვადასხვა ტიპების ანუ კატეგორიების სახით გამოვლინების ფაქტი.

არ არსებობს იუმორის ერთი, კონკრეტული განსაზღვრება იმდენად, რამდენადაც ყველა მეცნიერი ამ ფენომენს სხვადასხვა კუთხით უდგება და სხვადასხვანაირად განსაზღვრავს. ცხადია, რომ იუმორის განსაზღვრება პირდაპირ დამოკიდებულია მისი გამოყენების მიზანზე. ლიტერატურის კრიტიკოსების შეხედულებით აუცილებელია იუმორის დეტალური, ღრმაკატეგორიზაცია, მაშინ, როდესაც ლინგვისტების აზრით ყველაფერი რაც იწვევს სიცილს თუნდაც ღიმილს და რაც სასაცილოდ მიიჩნევა არის იუმორი.

მეცნიერების უმეტესი ნაწილი გამოყოფს იუმორის სამ ძირითად ტიპს: ლინგვისტური ხუმრობა, ეთნიკური ხუმრობა და უნივერსალური ხუმრობა. ლინგვისტური ხუმრობის ერთერთი ნაირსახეობა არის სიტყვათა თამაში. ეთნიკური ხუმრობა ითვალისწინებს ერთი ეთნიკური ჯგუფის სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებზე და საკუთარ თავზე ხუმრობას. ეთნიკური ხუმრობების ძირითად სამიზნეს წარმოადგენს სხვადასხვა სტერეოტიპები და ხასიათები. უნივერსალური ხუმრობა კი წარმოადგენს იუმორის ისეთ სახეს, რომელიც სხვა კატეგორიის იუმორთან შედარებით ადვილი სათარგმნია იმდენად, რამდენადაც იუმორის ეს სახეობა ზოგადსაკაცობრიო თემებს ეხება და შედარებით გასაგები და ნათელია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი რეციპიენტისთვის.

იუმორის მთარგმნელმა უნდა იცოდეს არა მარტო ის შინაარსი, რაც ხუმრობაში დევს, არამედ ერკვეოდეს იმ ტექნიკაში, რითაც ხდება იუმორის თუ ხუმრობის გამოვლენა. გარდა ამისა აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა ტიპის, რა კატეგორიის, რა ხასიათის ადრესატს ექნება ადეკვატური თუ არაადეკვატური რეაგირება იუმორზე. ამასთან ერთად არ არის საკმარისი მხოლოდ კონკრეტული ერის წარმომადგენელი ადამიანის სავარაუდო რეაგირების ცოდნა, არამედ სხვადასხვა სტერეოტიპების, განსხვავებული კულტურული მემკვიდრეობის რეციპიენტის საპასუხო რეაქცია.

მოცემულ სამეცნიერო სტატიაში განვიხილავთ იუმორის ადეკვატური თარგმანის შესაძლებლობას. უფრო კონკრეტულად კი გავანალიზებთ ეთნიკური ანუ კულტურული იუმორის თარგმნის თავისებურებებს და ადეკვატურობის შენარჩუნების შესაძლებლობის დონეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ ეთნიკური იუმორის შინაარსობრივი პრინციპი ითვალისწინებს ხუმრობას სხვადასხვა სტერეოტიპებზე და ასევე საკუთარი კულტურის წარმომადგენლებზე.

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე გასაგებია, რომ ეთნიკურ იუმორში მონაწილეებს არა მარტო ერთი, არამედ ორი და მეტი ეთნიკური ჯგუფისა და კულტურის წარმომადგენელი. ასეთ იუმორს საფუძვლად უდევს ერთ კულტურულ სივრცეში მცხოვრები ადამიანების ცრუ ან სწორი წარმოდგენა სხვა, განსხვავებული კულტურის მქონე ხალხზე. იმდენად რამდენადაც კულტურული ანუ ეთნიკურ იუმორისტული სიტუაციის მონაწილეები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან ცხადია, რომ ეთნიკური იუმორის ადეკვატური თარგმანის შესაძლებლობის აღბათობა არც ისე მცირეა. ეთნიკურ იუმორს სხვა სიტყვებით შეიძლება ვუწოდოთ ხუმრობა სტერეოტიპებზე.

ეთნიკური ხუმრობა ერთ რომელიმე კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფზე, რომელიც ჩამოყალიბდა და გავრცელდა ერთ ერში შესაძლებელია ადვილად გასაგები და ბუნებრივი იყოს ისეთი მეორე კულტურის წარმომადგენლისთვის, რომელიც ასევე იცნობს ხუმრობის ობიექტის კულტურას. გარდა ამისა ხუმრობაში მონაწილე ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა შეხედულება ხუმრობის ობიექტ ეთნიკურ ჯგუფზე მსგავსი უნდა იყოს. ეს არის ეთნიკური იუმორის სწორად და ეფექტურად თარგმნის წინაპირობა. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს არ უხდება მთელი რიგი სირთულეების გადალახვა იუმორის სხვა, სამიზნე ენაზე გადმოსაცემად. მსგავსი იუმორის სწორად, ეფექტის შენარჩუნებით თარგმნისთვის საკმარისი არააერთი ენის ენობრივი საშუალებების მეორე ენის საშუალებებით შეცვლა. სხვა სიტყვებით მთარგმნელს უხდება არა მხოლოდ ლინგვისტური ბარიერის გადალახვა, არამედ ეთნიკური კედლის გარღვევა, რაც თარგმანის სწორი შესრულების მთავარი ასპექტია.

იმისათვის, რომ უფრო გასაგები გახდეს ზემოთ მოცემული მაგალითად მოვიყვანთ ერთერთ გავრცელებულ იუმორს, სადაც დაცინვის ობიექტი საქარველოს კულტურის ერთერთი ნაწილი, ქალიშვილობის ინსტიტუტია, რის დაუცველობას კონტექსტის მიხედვით ეწირება სვანის ახლადშერთული მეუღლე. მოცემულ იუმორში არის

დაცინვის ორი ობიექტი. ერთ ობიექტს ჩვენ ვუწოდებდით პირდაპირ ობიექტს და ამ შემთხვევაში ეს არის სვანის სტერეოტიპი და მეორე ანუ არაპირდაპირი ობიექტი არის ქალიშვილობის ინსტიტუტი.

მოცემული იუმორი, როგორც უკვე არაეთხელ აღვნიშნეთ არის ეთნიკური ანუ კულტურული იუმორი. ამ იუმორის თარგმნა მაგალითად სომეხი რეციპიენტისთვის საჭიროებს მთარგმნელის მიერ მხოლოდ ლინგვისტური ბარიერის გადალახვას იუმორის ადეკვატური ტრანსფორმირებისთვის. საქმე იმაშია, რომ II კულტურის წარმომადგენელი (სომეხური კულტურა) კარგად იცნობს I კულტურის (ქართული კულტურა) შემადგენელ საბაზისო ელემენტს, რაც უზრუნველყოფს მის მიერ შინაარსის ადეკვატურად გახსნას. თუმცა ძალზედ რთულია იგივე იუმორის თარგმნა მაგალითად ამერიკული კულტურის წარმომადგენელი რეციპიენტისთვის, რომლისთვისაც აბსოლიტურად გაუგებარია ქალიშვილობის ინსტიტუტის მნიშვნელობა გარდა იმ შემთხვევისა თუ კი კონკრეტულ პიროვნებას აქვს გარკვეული თეორიული წარმოდგენა ქართულ კულტურაზე. ამერიკელი ვერ გაითავისებს ამ იუმორს და შესაბამისად იუმორს არ ექნება ადეკვატური ეფექტი. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი მიმართავს მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს, რისი საშუალებითაც ხსნის შინაარსს, თუმცა ვერ ინარჩუნებს ფორმას.

განვიხილოთ კიდევ ერთი ეთნიკური ხუმრობა ირლანდიელებზე, სადაც ხაზგასმულია ირლანდიელის დამოკიდებულება და უფრო კონკრეტულად მიჯაჭვულობა ალკოჰოლურ სასმელებთან. ანეგდოტში მღვდელი აშინებს პადის, რომ დაღვევის გაგრძელების შემთხვევაში გადაიქცევა თაგვად. თუმცა ირლანდიელების სიყვარული სასმელისადმი იმდენად დიდია, რომ ის მაინც განაგრძობს დაღვევას და თან მეუღლეს აფრთხილებს, რომ სახლში კატა არ შემოუშვას.

ამ ხუმრობაში ხაზგასმულია ირლანდიელების ხასიათი და მათი სტერეოტიპი, რომელიც ცნობილია სასმელისადმი დიდი სიყვარულით. ანეგდოტი რომ გასაგები და ეფექტური იყოს განსხვავებული კულტურის მატარებელი რეციპიენტისთვის მან უნდა იცოდეს ირლანდიელების ხასიათი და კულტურა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ გაიგებს ანეგდოტის დატვირთვას.

განვიხილოთ კიდევ ერთი ანეგდოტი ამერიკელისა და შოტლანდიელის სტერეოტიპებზე.

–“სადაური ხარ?”-კარგა ხნის საუბრის შემდეგ შეეკითხა შოტლანდიელი პოლს.

–“მსოფილოს ყველაზე მაგარი ქვეყნიდან!”-უპასუხა ამერიკელმა.

–“მართლა?!”-აღმოხდა შოტლანდიელს. “შოტლანდიელისთვის ძალზედ უცნაური და სასაცილო აქცენტი გაქვს”.

აღნიშნული ანეგდოტი კარგად ასახავს შოტლანდიელებისა და ამერიკელების ხასიათის ისეთ შტრისს, რასაც პირველობის სიყვარული ქვია. ამერიკელის და შოტლანდიელის სტერეოტიპის შესახებ გარკვეული ფონური ინფორმაციის ფლობის გარეშე მკითხველი სათანადოდ ვერ შეაფასებს მოცემული ანეგდოტის ღირებულებას.

ზემოთ მოცემული და სხვა ჩვენს მიერ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ანეგდოტი არის კომუნიკაციის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რისი სწორად თარგმნაც დამოკიდებულია არა მარტო მთარგმნელის მიერ თარგმანის სწორად შესრულებაზე, არამედ თავად რეციპიენტის ცოდნასა და გამოცდილებაზე. აქედან გამომდინარე ანეგდოტი წარმოადგენს ტექსტის ისეთ სახეს, რომელიც ხშირ შემთხვევაში საერთოდ უთარგმნელი და უცნობი რჩება ძალზედ ბევრი კულტურის წარმომადგენელი რეციპიენტისთვის. ეს ეხება განსაკუთრებით ისეთ ანეგდოტებს, რასაც ეთნიკური ხუმრობები ქვია. სიტყვათა თამაშთან და უნივერსალურ ანეგდოტებთან შედარებით ეთნიკური ხუმრობა ყველაზე რთულად სათარგმნი ტექსტია. ზოგ შემთხვევაში ასეთი ხუმრობები ნაწილობრივ, ახსნა-განმარტების მეთოდით ითარგმნება, ზოგჯერ კი საერთოდ უთარგმნელი რჩება იმ ენის კულტურული მემკვიდრეობის ფონდში, რა ენაზეც შეიქმნა.

(ნ. მაზმიშვილი; ეთნიკური იუმორი კულტურათა გადაკვეთის ზღვარზე; კულტურათშორისი კომუნიკაციები; N 19; 2012; თბილისი)

ანოტაცია

სამეცნიერო სტატიაზე „ეთნიკური იუმორი კულტურათა გადაკვეთის ზღვარზე

ნ. მაზმიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი

იუმორი დიდ როლს ასრულებს ადამიანებს შორის სასურველი, კარგი კომუნიკაციის დამყარებაში. გარდა ამისა, იუმორი, ისეთი მოვლენაა, რომელიც გამოხატავს არა მხოლოდ ადამიანის პიროვნულ თვისებებს, არამედ მის დამოკიდებულებას გარესამყაროსთან, უჩვენებს რა ის კონკრეტული ერის კულტურის სპეციფიკას, ფსიქოლოგიურ-მენტარულ თავისებურებას. აქედან გამომდინარე იუმორის სწორად აღქმა გადაწყვეტ როლს ასრულებს სხვადასხვა კულტურისა და ენის მატარებელ ადამიანების შორის ურთიერთობის დამყარებაში. ეს ზრდის მთარგმნელის პასუხისმგებლობას ერთი კომუნიკანტის ხუმრობის, ანეგდოტის... კომუნიკაციის მეორე მხარისთვის სწორად და ადეკვატურად გადაცემის თვალსაზრისით, რისი უზრუნველყოფაც მთარგმნელის არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ ლინგვო-ეთნიკურ ცოდნასაც მოითხოვს. ამ უკანასკნელთა და იუმორის თარგმნის მთარგმნელობითი მეთოდების სწორად განხორციელების უნარი იუმორის ინტერკულტურულ კონტექსტში სწორად აღქმის წინაპირობაა.

როგორც მაგალითიდან ჩანს, ანოტაცია ორიგინალი დოკუმენტის შინაარსის უკიდურესი განზოგადების შედეგია, რომელიც ინფორმაციის კომპრესირებით მიიღწევა.

გარდა ამოსავალი ტექსტის ძირითადი შინაარსისა, ანოტაცია ასევე შეიცავს მონაცემებს ავტორის ვინაობის, დოკუმენტის სახეობის შესახებ.

ხშირად პირველადი დოკუმენტი უცხო ენაზეა გამოქვეყნებული და იგი (ორიგინალი დოკუმენტი) რთულად მოსაპოვებელია. ასეთ შემთხვევაში ანოტაცია არის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში გარკვეული სიახლეებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ერთერთი მნიშვნელოვანი საშუალება. ინდიკატური რეფერატი ამავე დროს ენობრივი ბარიერის გადალახვის საშუალებაცაა იძლევა რა ის ინფორმაციას პირველადი, უცხოენოვანი წყაროს შესახებ.

არსებობს ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც წარმოადგენს წიგნებში, სამეცნიერო სტატიებში და სხვა დოკუმენტაციაში გამოყენებული ციტირებების ჩამონათვალს. თითოეულ ციტატას ახლავს (დახლოებით 150 სიტყვისგან შემდგარი) მოკლე აღწერილობითი და შემაფასებელი პარაგრაფი ანუ ანოტაცია. აღნიშნული ანოტაციის მიზანია მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ციტირებული წყაროების რელევანტურობის, სიზუსტისა და ხარისხის შესახებ. მსგავი ანოტირებული ბიბლიოგრაფია ეხმარება მკითხველს მისთვის საჭირო ლიტერატურის არჩევაში.

ანოტაციის შესახებ ზემოთ მოყვანილი ახსნა-განმარტება კარგად წარმოაჩენს ანოტაციის, როგორც მეორეული დოკუმენტის, საძიებო ფუნქციას. თუმცა, ინფორმაციულობა ასევე ანოტაციის ერთერთ და უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას წარმოადგენს.

საინფორმაციო ფუნქციის მატარებელი ანოტაციის ერთერთ მაგალითს წამლის ანოტაცია წარმოადგენს, რომელიც გვაწვდის საჭირო ინფორმაციას წამლის შემადგენლობის, მისი მიღების წესისა და გვერდითი მოვლენების შესახებ. საგნის ან მოვლენის უარყოფითი თვისებების აღწერა ანოტაციის შინაარსობრივი აგებულების ერთერთი აუცილებელი ელემენტია.

შეჯამება

მაშასადამე პირველად დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის განზოგადების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ მეორეული დოკუმენტების გარკვეულ სახეობებს. თითოეული მათგანი გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა მათ აერთიანებთ ისეთი თვისებები, როგორცაა: საინფორმაციო, სამიუბო და საკომუნიკაციო ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციების მიხედვით მეორეული დოკუმენტი მკითხველისთვის ან ერთგვარი სახელმძღვანელო დოკუმენტია, რის საფუძველზეც ის იღებს გადაწყვეტილებას გაეცნოს თუ არა პირველად დოკუმენტს უფრო სიღრმისეულად, ან კიდევ ასრულებს პირველადი წყაროს როლს აწვდის რა მკითხველს სრულ ინფორმაციას პირველადი ტექსტის ძირითადი შინაარსის შესახებ.

ბიბლიოგრაფია

1. თურაბიანი ქ. ლ. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისთვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტებისა და მკვლევარებისათვის. მეშვიდე გამოცემა. გადამუშავებულია უენ ს. ბუთის, გრეგორი ჯ. კოლომის, ჯოზეფ მ. უილიამსის, და ქალაქ ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ. ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 2007;
2. პაპავა პ., ჭანტურია თ. წიგნიერება, მასწავლებლის სახელმძღვანელო. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. თბილისი, 2012;
3. Caswell R., Mahler B. Strategies for Teaching Writing. Alexandria Virginia, USA, 2004;
4. Fairbairn G., Fairbairn S., Writing your Abstract: A guide for Would-be Conference Presenters, The University of California, 2006;
5. Serravallo J., The Reading Strategies Book: Your Everything Guide to Developing Skilled Readers. Heinemann, 2015;
6. Swales John M., Feak B. Christine. Abstracts and the Writing of Abstracts. Volume 2. University of Michigan Press, 2009;
7. Гойхман О.Я. Теория и Практика Референтской Деятельности. Москва.1999;
8. Гордон Д., Лакофф Дж. Постулаты речевого общения // Новое в зарубежной лингвистике. Выпуск XVI. Москва. 1985.
9. Гойхман О.Я. Основы речевой коммуникации. Москва. 1997;
10. Громова Н.М. Основы деловой переписки. Москва. 1993.

